

ცლანი გოგიაშვილი



ფოლკლორის თიპის თეორიები და მათოდან



ფოლკლორისტიკის
თეორიები და
მეთოდები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ფოლკლორისტიკის კათედრა

ელენე გოგიაშვილი

ფოლკლორისტიკის
თაორიენტი და
მათოდები



უნივერსიტეტის
გამოცემა

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია პრინციპული დებულებები და მოსაზრებები ზეპირსიტყვიერების, როგორც კულტურული ფენომენის, წარმომავლობისა და განვითარების საკითხების შესახებ.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში მომუშავე მკვლევართა და ფოლკლორისტიკის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის.

რედაქტორი ქეთევან სიხარულიძე,
ფილოლოგიის დოქტორი

რეცენზენტი ხვთისო მამისიმედიშვილი,
ფილოლოგიის დოქტორი

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო
საბჭოს გადაწყვეტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020

ISBN 978-9941-13-950-5 (pdf)

ყოველგვარი მეცნიერების გვირგვინს კანონზო-
მიერებათა აღმოჩენა წარმოადგენს.

ვლადიმირ პროპი

საინტერესოა ქართული სიტყვა-ცნება „კვლე-
ვა“, რომელიც სხვას არაფერს გულისხმობს თა-
ვისი სემანტიკით, თუ არა კვალზე სვლას, რაც
მონადირეობის არსებითი მეთოდია. ნადირის
კვალზე სვლა შესანიშნავი და ზუსტი მეტაფო-
რაა (და სიმბოლოც) მეთოდური სვლისა ჭეშმა-
რიტების კვალზე, რომელიც იდეების სამყარომ
დატოვა ხილულ რეალობაში.

ზურაბ კიკნაძე

ნებისმიერი კვლევა, თუ მას საფუძვლად არ
უდევს ან, სულ ცოტა, დასახელებული მაინც არა
აქვს მეთოდი, რომლითაც ის შედეგებამდე მივი-
და, არამეცნიერულია.

გერმანული სახელმძღვანელოდან

ფოლკლორისტიკა – სიყვარულის შემსწავლელი

სამეცნიერო დისციპლინა.

პიერ სენტიცი

შინაარსი

წინათქმა	9
შესავალი	11

I ნაწილი

წარმოშობისა და გავრცელების თეორიები	15
მითოლოგიური სკოლა	17
ეტიმოლოგიური მიმართულება	21
ანალოგისტური მიმართულება	22
სოლარული მითოლოგია	23
„მოხეტიალე სიუჟეტები“	29
ანთროპოლოგიური სკოლა	41
ინგლისური ანთროპოლოგიური სკოლა	43
ამერიკული ანთროპოლოგიური სკოლა	50
გეოგრაფიულ-ისტორიული მეთოდი	53
კულტურულ-ისტორიული სკოლა	61
„ჩაძირული კულტურა“	68

II ნაწილი

აღმოჩენისა და ტექსტის ანალიზის მეთოდები	73
საველე კვლევა	75
ფილოლოგიური მეთოდი	82
სტრუქტურული ანალიზი	86
ვლადიმირ პროპი	87
ალან დანდესი	92
კლოდ ლევი-სტროსი	94
კურტ დერუნგსი	96
ინტერტექსტუალობა	103

III ნაწილი	
შედარებითი კვლევები	109
ზღაპარი და წეს-ჩვეულება	111
„გადასვლის რიტუალები“	118
შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდი	122
IV ნაწილი	
თხრობა, როგორც კომუნიკაცია	125
ფუნქციონალიზმი	127
თხრობის ფუნქცია	131
ფოლკლორისტიკა, როგორც ცნობიერების კვლევა	135
პერფორმანსი	137
ფოლკლორი და პოპკულტურა	141
თხრობა და ბავშვთა აღზრდის საკითხები	145
ბიბლიოგრაფია	148

ნიცათქმა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1927 წელს ვახტანგ კოტეტიშვილმა პირველი ღია ლექცია წაიკითხა ქართულ ზეპირ-სიტყვიერებაზე. 1929 წლიდან ქართული ფოლკლორის კურსი ქართული ფილოლოგიის პროგრამაში დამკვიდრდა და დღემდე სავალდებულო საგნის სტატუსი აქვს. ზეპირსიტყვიერების შემს-წავლელი არჩევითი კურსები ჩართულია ქართული ფილოლოგიის, კავკასიოლოგიის, ეთნოლოგიის, ამერიკისმცოდნეობის, სკანდი-ნავისტიკის პროგრამებში. ფოლკლორისტიკის საგნებისადმი დიდ ინტერესს იჩინენ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების სტუ-დენტებიც.

ნინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა ივანე ჯავახშვი-ლის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანი-ტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ფოლკლორის-ტიკის კათედრაზე და გამიზნულია ფილოლოგისა და ანთრო-პოლოგიის თეორიულ საკითხებზე ორიენტირებული სასწავლო კურსებისთვის.

გულითად მადლობას მოვახსენებ ფოლკლორისტიკის კათე-დრის ასოცირებულ პროფესორებს – ქეთევან სიხარულიძესა და ხვთისო მამისიმედიშვილს სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესში განეული კონსულტაციებისა და სტუდენტებს აზრ-თა გაზიარებისა და დისკუსიებისათვის, რომელთა გარეშეც ეს სახელმძღვანელო არ შეიქმნებოდა.

შესავალი

ფოლკლორისტიკის შესწავლის ობიექტია ტრადიციული კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი – ზეპირსიტყვიერება, მისი ფილოლოგიური, სტრუქტურულ-სემანტიკური და ტიპოლოგიური ანალიზი სოციალურ, ლოკალურ, რეგიონალურ და ეპოქალურ კონტექსტში.

ფოლკლორის სწავლების სირთულეს მეთოდოლოგიის სხვა-დასხვაობა განაპირობებს. ერთი მხრივ, ფილოლოგიურ, მეორე მხრივ, ეთნოლოგიურ კვლევებთან ფოლკლორის გარდაუვალი კავშირის გამო სწავლა ინტერდისციპლინურად მიმდინარეობს. სხვა დარგის სპეციალისტების მხრიდან ხშირად ვაწყდებით გაუგებრობას ფოლკლორის ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ზოგჯერ ფოლკლორი ლიტერატურათმცოდნეობის დამხმარედისციპლინად მოიაზრება, მაშინ როცა ანთროპოლოგებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ფოლკლორი კულტურული ანთროპოლოგიის ერთ-ერთი განშტოებაა. სინამდვილე კი ის არის, რომ ფოლკლორისტიკა დამოუკიდებელი მეცნიერებაა.

ზეპირსიტყვიერება შეიძლება ბევრი სამეცნიერო დარგის ყურადღების ცენტრში მოექცეს – ენათმეცნიერების, კულტურის მეცნიერებების, გენდერული კვლევების, რეგიონული კვლევების, პოსტკოლონიური კვლევების, ფსიქოლოგიისა და სხვა, მაგრამ მხოლოდ ფოლკლორისტის კომპეტენცია მოიცავს ზეპირსიტყვიერი მასალის დამუშავების ყველა სივრცეს – სინქრონულს, დიაქტონულს და იდეოლოგიურ-კრიტიკულსაც.

ფოლკლორისტიკის მეთოდები მასალის აღმოჩენას, ფიქსაციას, ზუსტ აღწერას, შედარებით კლასიფიკაციას გულისხმობს და, საბოლოო ჯამში, კულტურული ფენომენების გააზრებისკენ არის მიმართული. სამეცნიერო თეორიები ფოლკლორის წარმომავლობისა და განვითარების საკითხებს სხვადასხვაგვარად განმარტავს, თუმცა, საბოლოო ჯამში, მათი კვლევის შედეგები ერთ-მანეთს ავსებს.

ფოლკლორისტიკის მეთოდოლოგიის დამსახურებაა, რომ თხრობითი ტრადიციის საერთაშორისო კვლევები მრავალმხრივ განვითარდა. ვარიანტთა დამუშავებით, მათი გეოგრაფიული გავრცელებისა და ისტორიული სილრმის ანალიზით ნათელი გახდა ზეპირი გადმოცემის სტაბილურობა.

შედარებითი შესწავლით შესაძლებელი ხდება ცალკეული ფოლკლორული ნიმუშის ისტორიის რეკონსტრუქცია. ზეპირი სიუჟეტის არსებობა დროსა და სივრცეში ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია მისი დათარიღებაც. მაგრამ რამდენადაც თხრობა შემოქმედებით აქტს განეკუთვნება, მხოლოდ სიუჟეტის წარმოშობის ადგილისა და დროის დაზუსტებით ვერ მივიღებთ ინფორმაციას მთხობელის შესახებ. ამისთვის აუცილებელია გადმოცემის ფსიქოლოგიის, ისტორიულ-საზოგადოებრივი ფონის დინამიკისა და გადმოცემის პროცესის შესწავლა. აუცილებელია დაკვირვება ზეპირი გადმოცემის საკომუნიკაციო და გავრცელების სისტემაზე.

ფოლკლორისტიკის თეორიებისა და მეთოდების გაცნობა, ფაქტობრივად, ფოლკლორისტიკის მეცნიერებად ჩამოყალიბებისა და ამ მეცნიერების ისტორიის გაცნობაა. ფოლკლორისტიკის თეორიები სამეცნიერო სკოლათა ურთიერთობებსა და მომიჯნავე დისციპლინათა სამეცნიერო პრობლემატიკასაც მოიცავს.

თეორია მეცნიერულად დასაბუთებულ დებულებებათა სისტემაა, რომელიც ემსახურება კანონზომიერებათა ახსნას და სამომავლო პროგნოზის დადგენას. როცა თეორია გავლენას ახდენს მკვლევართა ჯგუფზე და ჩნდებიან მიმდევრები, იქმნება სკოლა.

სკოლა გულისხმობს რომელიმე იდეური მიმართულების ან ერთი დომინანტი მეცნიერის გარშემო შემოკრებილ მეცნიერთა გაერთიანებას, რომელიც მსგავს აზროვნების ტრადიციასა და მუშაობის პრინციპებს მისდევს. პუმანიტარულ მეცნიერებებში სკოლების სახელწოდებები ხშირად იმ ადგილს უკავშირდება, სადაც დაინტერ მისი ფორმირების პროცესი. ფოლკლორისტიკისა ასეთია „ფინური“, იგივე „ჩრდილოეთური“ სკოლა. ფოლკლორისტული თეორიების სახელწოდებები ხშირად მომიჯნავე დისცი-

პლინებიდან არის ნასესხები, მაგალითად, „ანთროპოლოგიური“, „კულტურულ-ისტორიული“ და სხვა. მოსაზღვრე დისციპლინათა გამოცდილება ფოლკლორისტიკაში წარმატებით გამოიყენება ხალხური სიტყვიერების გარკვეული უანრების შესწავლისთვის.

სახელმძღვანელო რამდენიმე თემატურ ნაწილად არის დაყოფილი. პირველ ნაწილში წარმოდგენილია თეორიები ზეპირსიტყვიერების გენეზისისა და გავრცელების შესახებ. მეორე ნაწილი ეთმობა მასალის მოპოვებისა და ტექსტის ანალიზის მეთოდებს. მესამე ნაწილი მოიცავს შედარებით-ტიპოლოგიური კვლევის პრინციპების მოკლე აღწერას. მეოთხე ნაწილში მიმოხილულია თანამედროვე ფოლკლორისტიკის აქტუალური მიმართულებები და კვლევის სფეროები. პარაგრაფებს ერთვის თემა პრაქტიკული სამუშაოს ან დისკუსიისთვის. თეორიული საკითხების გასააზრებლად მითითებულია მოცემული თეორიისა თუ მეთოდის თვალსაჩინოდ ამსახველი ან სხვა ასპექტით მასთან დაკავშირებული ნაშრომები ქართველი მეცნიერებისა.

სახელმძღვანელოში არ არის შეტანილი ფოლკლორის ცნების განსაზღვრება, სპეციფიკური ნიშნები და უანრთა დახასიათება, რადგან ეს საკითხები დეტალურად არის დამუშავებული ქართული ზეპირსიტყვიერების ყველა ფუნდამენტურ სახელმძღვანელოში: მიხეილ ჩიქვანის „ქართული ფოლკლორი“ და „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“ (1938, 1946, 1952, 1956, 1975 წლების გამოცემები), ზურაბ კიკნაძის „ქართული ფოლკლორი“ (2008), თეიმურაზ ქურდოვანიძის „ქართული ფოლკლორი“ (2000), „ქართული ხალხური სიტყვიერების სპეციფიკა და უანრები“ (2008) და „ქართული ფოლკლორის პოეტიკა“ (2011).

ფოლკლორისტიკის თეორიებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია ზომიერების დაცვა. ფოლკლორის ყოველი ნიმუში უნდა განიხილოდეს შესაბამის კონტექსტში და არა ბრმად მორგებული ამა თუ იმ თეორიის ჩარჩოს. რომელიმე თეორიისადმი ფანატიკური მიკერძოება საფუძველშივე მცდარია. ზოგი ფოლკლორული ნაწარმოები შეიძლება პოლიგენურია, ზოგი დიფუზიის შედეგად გავრცელებული ერთი ადგილი-

დან სხვა მხარეებში და ერთი კონკრეტული ეპოქიდან სხვა ეპოქებში. ფოლკლორისტიკაში ყველა საკითხი მუდმივი გადახედვის და ახალი ინტერპრეტაციის საგანია, იქნება ეს დამაინტრიგებელი კითხვები წარმოშობაზე თუ სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა ფორმა, ფუნქცია და გავრცელება. სადაც შესაძლებელია ჰქონდებოდეს შემოწმება, იქ ყოველთვის მეტი ალბათობაა ჭეშმარიტების დასადგენად.

| ნაწილი

ნარმოშობისა და გავრცელების
თეორიები



მითოლოგიური სკოლა

XIX საუკუნის მეცნიერებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ინდოევროპულ ენათა ნათესაობის აღმოჩენა. შედარებითი გრამატიკის, უნივერსალური ლექსიკონების, ეტიმოლოგიური ძიებებისა და ენათა წარმოშობის თეორიების ანალოგით გაჩნდა ცნება „შედარებითი მითოლოგია“ – კვლევის მიმართულება, რომლიდანაც არსებითად იწყება ხალხური შემოქმედების მეცნიერული შესწავლა.

მითოლოგიური სკოლის ძირითადი პრინციპები

- მსოფლიოს ყველა კუთხეში საერთო სიუჟეტების ძიება;
- სიუჟეტთა არქაულობის დამადასტურებელ ნიშანთა პოვნა;
- ზღაპრების ინდოევროპული წარმომავლობით ახსნა;
- ზღაპრებში ინდოევროპელ ხალხთა მითოლოგიის ნაშთების არსებობა.

თეორიის სხვა სახელწოდებები

- არიული თეორია;
- ინდოევროპული თეორია.

ენათმეცნიერებმა იაკობ და ვილჰელმ გრიმებმა წამოაყენეს პიპოთეზა, რომ ზღაპრები ინდოევროპული წარმომავლობისა და ინდოევროპელ ხალხთა მითოლოგიის ნაშთებია. ეს მოსაზრება ლოგიკური და დამაჯერებელი ჩანდა ინდოევროპელ ხალხთა საერთო წარმოშობის ფონზე.

ძმები გრიმების 1835 წელს გამოცემული „გერმანული მითოლოგია“ სამეცნიერო ნაშრომის მოდელად იქცა XIX საუკუნის ფილოლოგიაში. ამ ნაშრომის სახელწოდებამ განაპირობა თავად თეორიის სახელიც. რადგანაც იაკობ გრიმს მოცემული აქვს ინდოევროპული მითების სისტემატიზაციისა და მნიშვნელობათა ახსნის მცდელობა, ამ სფეროში მუშაობას საერთო სახელი – „მითოლოგიური სკოლა“ ეწოდა.

რომანტიკულ ფილოსოფიაში მითოლოგიის განმარტებები სუბიექტივისტურ-პოეტურ გააზრებას, რომანტიკულ შემეცნებას, ტრანსცენდენტურობის უშუალო წვდომის ფორმებს უკავშირდება. გერმანელი რომანტიკოსი მწერლის, ნოვალისის (1772-1801) მიხედვით, მითოლოგია „თავისუფალი პოეტური გამონაგონია, სინამდვილეს მრავალი სიმბოლოთი მოსავს“, ეს იგივე იგავთმეტყველებაა, ანუ პოეტური შემოქმედება, თავისუფალი პოეტური გამონაგონი, თავად პოეზია (ბრეგაძე, 2012: 19).

მითოლოგიურ თეორიას ენათმეცნიერული და ფილოსოფიური საფუძვლები ჰქონდა: 1) ინდოევროპულ ენათა ნათესაობა და 2) მითოლოგია, როგორც ხელოვნების ფუნდამენტი. ხელოვნებისა და მითოლოგიის ფილოსოფიური გააზრება ფრიდრიხ შლეგელის (1772-1829) სახელს უკავშირდება, ხოლო ხელოვნებისა და ფილოსოფიის მიმართება ფოლკლორთან – რომანტიკოსი მწერლების შემოქმედებას: ლუდვიგ ახიმ ფონ არნიმი (1781-1831), კლემენს ბრენტანო (1778-1842), იოპან იოზეფ გიორგესი (1776-1848).



იაკობ გრიმი (1785-1863) და ვილჰელმ გრიმი (1786-1859)

იაკობ გრიმი მითების წყაროებს ყველგან ხედავდა: ხალხურ თქმულებებსა და ზღაპრებში, საბავშვო თამაშებში, გათვლებსა და ხატოვან სიტყვა-თქმებში. მითოსს ის პოეზიისა და ენის საფუძვლად მოიაზრებდა: „ამ ზღაპრებში წინარეგერმანული მითოსია, რომელიც დაკარგული გვეგონა და თუ მას ჩვენი სამშობლოს კურთხეულ მხარეებში მოვძებნით, დაუჯერებელ ამბებად გადაქცეული აურაცხელი განძი დაგვხვდება“ („საბავშვო და საოჯახო ზღაპრების“ წინასიტყვაობიდან).

გრიმები ჯადოსნურ ზღაპრებს მითის „ნამსხვრევებად“ მოიაზრებდნენ. ზღაპარს „შავი და თეთრი საცოლე“ ხსნიდნენ, როგორც დღისა და ღამის მითოლოგემას. „მძინარე მზეთუნახავს“ უკავშირებდნენ ძველ გერმანულ ბრუნჟილდას ამბავს, რომელიც ეკლის ჩხვლეტამ ჩააძინა; „ოქროს ჩიტს“ – ტრისტანსა და იზოლდას, „ოქროს ბატს“ კი – „უმცროს ედაში“ მოთხრობილ ლოკის თავგადასავალს. ყველა ზღაპრისთვის საერთოა ძველი დროის რწმენათა ნაშთები, რომლებიც ზეპუნებრივი საგნების სახით შემოგვრჩა. ეს „მითოსური“ პატიოსანი ქვის ნამსხვრევებს ჰგავს, ბალახითა და ყვავილებით დაფარულ მიწაზე რომაა მიმოფანტული და მხოლოდ მახვილი თვალი თუ შეამჩნევს (ი. გრიმი).

ვილჰელმ გრიმი თავის წიგნში „ძველი დანიური საგმირო სიმღერები, ბალადები და ზღაპრები“ წერს: „სხვადასხვა ხალხის პოეტური შემოქმედების ურთიერთშედარებისას ნათლად ჩანს მათი მსგავსება. [...] ღვთაებრიობა, პოეტური სული ყოველ ხალხში არსებობს და ერთადერთი წყარო აქვს; ამიტომაც ვხედავთ ყველგან ერთსა და იმავეს, შინაგან თანხმობას, ნათესაობას, რომლის გენეალოგიური ხე დაიკარგა, მაგრამ საერთო საწყისზე მიანიშნება; ბოლოს კი, ანალოგიური განვითარება, ოლონდ განსხვავებული გარემოპირობები და გავლენები. ამიტომ არის, რომ ყოველ ბერაში ვპოულობთ გარეგნული სახის მრავალფეროვნებას, ციდან მოვლენილს, რომლის ქვეშაც მცენარეები ხარობს და თითოეულში ვხედავთ უსასრულობას“ (Grimm, 1811: 420-421).

ჰიპოთეზა, რომ ზღაპრები წარსულის ანარეკლია, დღესაც ძალაშია, რადგან რიგ ზღაპრებში მართლაც ჩანს სიძველის კვალი. თუმცა ამის შემოწმება მხოლოდ ზეპირი ტრადიციების მეშ-

ვეობით რთულია და მეცნიერები ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ მონაცემებს მიმართავენ. გარდა ამისა, ზღაპრები მუდმივად კვლავნარმოქმნის პროცესშია, ბევრი ზღაპარი სწორედ ახალი ეპოქის კუთვნილებაა. ეს ჭეშმარიტება, ცხადია, ძმებმა გრიმებმაც კარგად იცოდნენ. მათი ინდოევროპული თეორია გულისხმობდა არა ყველა ზღაპრის, არამედ მხოლოდ ზღაპრის გარკვეული ტიპების, კერძოდ, ჯადოსნური ზღაპრების მითებთან მსგავსებას.

მითოლოგიური სკოლის მეთოდოლოგია, ძირითადად, ლინგვისტიკის მეთოდებს, კერძოდ, შედარებით-ისტორიულ მეთოდს ეყრდნობა. ძმები გრიმების მთავარი დებულებები მოცემულია „საბავშვო და საოჯახო ზღაპრების“ წინასიტყვაობასა და „გერმანულ მითოლოგიაში“. ისინი მითს ამოსავალ ფორმად მიიჩნევდნენ, რომლისგანაც წარმოიშვა ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრი: ზღაპარი, ლეგენდა, თქმულება, ბალადა და სხვა. მითოლოგიური სკოლა მეორე სახელწოდებითაც გახდა ცნობილი – არიული თეორია, რადგან კვლევისთვის გამოყენებული იყო არიული ფოლკლორული მასალა. იაკობ გრიმი ცდილობდა გერმანული მითოლოგიური პანთეონის აღდგენას ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ანალიზის მეშვეობით. იგი წინარე ენის თეორიიდან ამოდიოდა და განზრახული ჰქონდა წინარეარიული მითების რეკონსტრუქცია.

ხალხური გადმოცემები, საგმირო თქმულებები, ბალადები და ლეგენდები ნაციონალურ ისტორიულ გმირებს უკავშირდება. ფოლკლორული მასალის შეკრება ერთ-ერთი პროგრამული აქტივობა გახდა XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებში, რადგან კულტურული მემკვიდრეობა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა იმპერიებში შემავალი პატარა ქვეყნებისთვის. აღმოსავლეთ ევროპის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა შთაგონებული იყო იოპან გოტფრიდ ჰერდერის (1744-1803) „იდეებით კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიისათვის“. ჰერდერი ხალხურ პოეზიაში „ხალხის სულის“ (Volksgeist) ჭეშმარიტ გამოხატულებას ხედავდა. იგი მიიჩნევდა, რომ ერის ტრადიციებში აირევლა ერის თვისებები, რომლებიც ბუნებრივი ცვლილებებისა და სულიერი იდეალების შედეგად ჩამოყალიბდა.

მითოლოგიურ სკოლას ახასიათებდა რომანტიკული ნაციონალიზმი და იდეალიზმი, რაც ხანდახან მისტიკურ ელფერსაც კი იღებდა. ამ სკოლის მიმდევრები იყვნენ ადალბერტ კუნი, ვილჰელმ შვარცი, ვილჰელმ მანკარდტი, მაქს მიულერი, ჯორჯ უილიამ კოქსი, ალექსანდრ აფანასიევი და სხვები.

მითოლოგიური სკოლის წიაღში კიდევ რამდენიმე მიმართულება აღმოცენდა. იმისდა მიხედვით, თუ რა იყო საკვლევი ობიექტი, გამოიყო სხვადასხვა მიმდინარეობები: ეტიმოლოგიური, ანალოგისტური, ასტრალური და სოლარული.

ეტიმოლოგიური მიმართულება ინდოევროპელთა მითების რეკონსტრუქციას ახორციელებდა ღმერთების სახელების ლინგვისტურ ანალიზზე დაყრდნობით.

ადალბერტ კუნი (1812-1881) შედარებითი მითოლოგიის ერთერთი შემქმნელია გრიმებთან ერთად. კუნის ნაშრომი „ცეცხლისა და ლვთიური სასმელის გაჩენა“ („Die Herabkunft des Feuers und des Göttertranks“, 1859) პრომეთეს მითის ეტიმოლოგიურ ანალიზს წარმოადგენს. კუნის მიხედვით, ძველი ბერძნული მითოლოგიური გმირის, პრომეთეს სახელი დაკავშირებულია ძველინდურ „პრამათიუსთან“, რაც სანსკრიტზე ნიშნავს „მბურღავს“, „მხესავს“. ამგვარად, კუნი პრომეთეს მიერ ცეცხლის მოტანის მითსა და ცეცხლის დანთების პირველყოფილ წესს ხის ბურღვას უკავშირებდა. მისი კიდევ ერთი ნაშრომი „მითების შექმნის საფეხურებრივი განვითარება“ („Entwicklungsstufen der Mythenbildung“, 1873) ეხება მითოსურ სახელთა ლინგვისტურ ანალიზს, რითაც იხსნება მითოლოგიურ გმირთა ბუნების ძალებთან (ელვა, ქუხილი, ქარი, ღრუბელი) კავშირი.

კუნმა შედარებითი გრამატიკის ანალოგიით განიხილა ძველინდურ და ევროპულ მითთა პარალელები:

დიაუსი – ზევსი – თიუსი;

პარიანია – პერკუნასი;

ვარუნა – ურანოსი;

პერმესი – სარამეგასი და ა.შ.

ეტიმოლოგიური მიმართულებით კვლევა კიდევ უფრო გაფართოვდა ანალოგისტური მეთოდით.



ვილჰელმ შვარცი

ანალოგისტური მიმართულება
გულისხმობს პირველყოფილ აზროვნების ანალოგით უძველესი მითების რეკონსტრუქციას.

ვილჰელმ შვარცის (1821-1899) ნაშრომების სათაურებია „ღრუბლები და ქარი, ჭექა-ქუხილი და ელვა“ („Wolken und Wind, Donner und Blitz“, 1878), „მზე, მთვარე და ვარსკვლავები. უძველესი დროის მითოლოგისა და კულტურის ისტორიისათვის“ („Sonne, Mond und Sterne. Ein Beitrag zur Mythologie und Kulturgeschichte der Urzeit“, 1864). შვარცის მიხედვით, მითები სიბნელისა და სინათლის ბრძოლას განასახიერებენ, სადაც ცენტრალური პერსონაჟები შიშის-მომგვრელი ზებუნებრივი არსებები არიან. შვარცი ისტორიულ მეხსიერებას მითოსურ ტრადიციასთან ერთად განიხილავდა გერმანიის ერთ-ერთი მხარის, ჰარცის ფოლკლორის მაგალითზე (Pöge-Alder dawn 2011: 74).

ვილჰელმ მანქარდტი (1831-1880) მითებს პირველყოფილ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირებდა, რითაც მან მითოლოგიური თეორია ანთროპოლოგიურ თეორიას მიუახლოვა. მის წიგნში „ტყისა და მინდვრის კულტები“ („Wald- und Feldkulte“, 1875) მოცემულია ცდა, თანამედროვე ხალხური წეს-ჩვეულებების ასსით დადგინდეს ცივილიზებული ხალხების მიერ გავლილი განვითარების საფეხურები.

კუნისა და შვარცის მიხედვით, უზენაესი ღვთაბებები ჭექა-ქუხილის და ამინდის გამგებლები არიან. მათი ნაშრომების თემატიკის გამო მათ თეორიებს მეტეოროლოგიურსაც უწოდებენ.

მითოლოგიური სკოლის წარმომადგენლებს, რომლებიც ხალ-ხურ გადმოცემებს მნათობთა შესახებ ასტრალურ მითოლოგიად მოიაზრებდნენ, მითებს კი – ბუნების მოვლენების ალეგორიად, გერმანიაში წატურმითოლოგიური სკოლის (Naturmythologische Schule) მიმდევრებად მოიხსენიებენ.

სოლარული მითოლოგიის, როგორც კვლევის მიმართულების, შექმნა უკავშირდება ლინგვისტისა და სანსკრიტოლოგის, მაქს მიულერის (1827-1900) მოღვაწეობას. ამ თეორიით, მითების საფუძველს შეადგენს უძველესი წარმოდგენები მზისა და მნათობთა მოძრაობის შესახებ. მიულერს მოცემული აქვს მითების ახსნა ლინგვისტური თეორიით, რომელიც ენაში სემანტიკურ ცვლილებებს ეხება.

მიულერმა „მითოპოეტური“ ერა უწოდა არიული ღმერთების წარმოშობის ხანას. ეს უნდა ყოფილიყო არა ცივილიზაციის და-საწყისი, არამედ ის დრო, როცა ენებში ჯერ კიდევ აბსტრაქტული ცნებები ჭარბობდა. კომუნიკაციის ორი პროცესი მიმდინარეობდა: პოლიონომია, როცა ერთ სიტყვას მრავალი მნიშვნელობა აქვს, და პომონიმია, როცა ერთი იდეა სხვადასხვა სიტყვით გამოითქმება. დიაუსი, უმაღლესი ღმერთი, გაგებული უნდა ყოფილიყო, როგორც ცა, მზე, ჰაერი, სინათლე, სიკაშვაშე. ამის საპირისპიროდ, სხვადასხვა სიტყვას შეიძლებოდა გამოეხატა მზე. მითოპოეტური აზროვნებისა და მეტყველების ეს ფენომენი მიულერმა „ენის ავადმყოფობით“ ახსნა. ამგვარად, მეტაფორების განვითარების ორი გზა არსებობს. ერთი და იმავე ზმნის ძირიდან, მაგალითად, „ანათებს“, შეიძლება მომდინარეობდეს მზეც და ნათელი გონების აღმნიშვნელი სიტყვაც. ასე ფორმირებული სახელები შემდგომ შეიძლება გადაიქცეს პოეტურ ობიექტად: მზის სხივები – თითებად, ღრუბლები – მთებად, სხივი – ისრად ან ბილიკად. ეს მეტაფორული სიტყვები, მიულერის აზრით, მითების არსის აღმნიშვნელია.

მიულერი დარწმუნებული იყო, რომ სოლარული ინტერპრეტაცია ფონეტიკის მკაცრ კანონებს ემორჩილებოდა. მითოპოეტური აზროვნებით, ღვთაებათა პანთეონი მზის, განთიადისა და ცის



მაქს მიულერი



ადალბერტ კუნი

გარშემო აიგო. „განა შეიძლებოდა სხვაგვარად? – ამბობს მიულერი, – რასაც ჩვენ დილას ვუწოდებთ, ძველი არიელი მზეს ან აისს უწოდებდა. რასაც საღამოს ვუწოდებთ, ღამეს, რასაც გაზაფხულსა და ზამთარს, რასაც წელიწადს ვუწოდებთ, სიცოცხლეს და მარადისობას – ამ ყველაფერს ძველი არიელი მზეს უწოდებდა. და ამის მიუხედავად, განათლებულ ადამიანს უკვირს, რატომ ჰქონდათ ძველ არიელებს ამდენი სოლარული მითი. რამდენჯერაც ჩვენ ვამბობთ „დილა მშვიდობისა“, იმდენჯერ ვადასტურებთ სოლარული მითის არსებობას. ყველა პოეტი, რომელიც იმდერებს მაისსა და ზამთრის გასვლაზე, სოლარული მითის არსებობას ადასტურებს. ჩვენი გაზეთების ყოველი საშობაო ნომერი, რომელიც ძველ წელიწადს აცილებს და ახალს გვამცნობს, სოლარული მითით არის სავსე. ნუ გეშინიათ სოლარული მითების“ (Dundes, 1965: 64).

ჯორჯ უილიამ კოქსმა (1827-1902) სოლარული და ეტიმოლოგიური მიმართულება განავრცო მითების, საგმირო თქმულებებისა და ზღაპრების საერთო ელემენტების ძიებით. კოქსმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო ანტიკური მითოლოგიდან“ („Tales from Greek Mythology“, 1861), მითოლოგიის სახელმძღვანელო („Manual of Mythology“, 1867), „არიელი ხალხების მითოლოგია“ („The Mythology of the Aryan Nations“, 1870) და „შესავალი შედარებითი მითოლოგიისა

და ფოლკლორის მეცნიერებებში“ („An Introduction to the Science of Comparative Mythology and Folklore“, 1881). კოქსის წიგნებში ხშირად არის ციტირებული მაქს მიულერი. არიული მითები, ლეგენდები და ზღაპრები დაყვანილია მზისა და სიბნელის ბრძოლაზე.

თუ მაქს მიულერი ძველინდურ და ძველბერძნულ ღმერთებს ადარებდა ერთმანეთს, კოქსმა კვლევა უფრო გააფართოვა. ყოველი ბერძენი გმირი, აქილევსი, ოდისევსი, პერაკლე, თეზევსი, ბელეროფონი, მელეაგროსი და პარისიც კი ერთსა და იმავე ნიშნებს ატარებენ. თუ მიულერი პარისს დამეს ადარებდა, კოქსმა დღეცა და ღამეც მიუსადაგა: პარისი თავის კარიერას იწყებს სიბნელის ძალით, მაგრამ ამთავრებს, როგორც სოლარული ღვთაება. კოქსმა ყურადღება მიაქცია გმირების იარაღს, მათ შუბებს, ისრებს, მაგიურ ხმლებს, რომლებიც, მისი აზრით, მზის სხივებს წარმოადგენენ. მათი თავგადასავალი ერთსა და იმავე სქემაზეა აგებული, რაც ისევ და ისევ მზის ღვთაების გზაა. მზის ამბავი იწყება სისუსტით და მთავრდება გამარჯვებით სიბნელეზე. ანტიკურ გმირებთან ერთად, კოქსმა ევროპული ეპოსის გმირები და ბიბლიური პერსონაჟებიც სოლარული ღვთაებების გვერდით დააყენა (Dundes, 1965: 72).

ფოლკლორისტები ცალკე გამოყოფენ ვენის მითოლოგიურ სკოლას. 1914 წლიდან ვენაში დაიწყო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა, რომელსაც ინდური სინათლის ღმერთის სახელი ეწოდა – „მითრა. ჟურნალი მითების შედარებითი კვლევისთვის“ („Mitra. Zeitschrift für vergleichende Mythenforschung“. ვენის სკოლის წარმომადგენლები იყვნენ ვილჰელმ შმიდტი, რობერტ ბლაიხშტაინერი, ლეოპოლდ შროვედერი და სხვები).

XIX საუკუნის ბოლოს მითოლოგიურ თეორიას მიმართავდნენ ქართველი მეცნიერებიც – ალექსანდრე ხახანაშვილი და ვასილ ბარნოვი.

ალექსანდრე ხახანაშვილმა „საერო პოეზიაში“ ზეპირსიტყვიერების განვითარების სამი პერიოდი გამოყო: მითოსური, გმირული და ისტორიული. მისი კლასიფიკაცია უყრდნობოდა იმ ეპოქის თვის აქტუალურ მითოლოგიურ თეორიას. ალ. ხახანაშვილი მითოსურ პერიოდს ქართულ სიტყვიერებაში შემდეგნაირად ასა-



ალ. ხახანაშვილი

ბუთებს: „ის ქართული არაკები, რომელნიც მოგვითხრობენ მნათობების, ქვეყნიერების გაქვავების და გველე-შაპების შესახებ, ეკუთვნიან ნაწყვეტ-თა ქართველთა მითოლოგიისას“ (ჯა-გოდნიშვილი, 2004: 655).

ალსანიშვილია, რომ ქართული ხა-ლხური ზღაპრების პირველ კრებულ-ზე, რომელიც ლადო აღნიაშვილმა გამოსცა 1890 წელს, პირველი რეცენ-ზია ალექსანდრე ხახანაშვილს ეკუთ-ვნის, იმ დროს სრულიად ახალგაზრ-და, მაგრამ უკვე ცნობილ მეცნიერს (ხახანაშვილი, 1891).

ვასილ ბარნოვი ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი პირვე-ლი სახელმძღვანელოს ავტორია. მისი „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები“ 1919 წელს გამოქვეყნდა, შემდგომ კი – სხვადასხვა ნარკვევი ქართული ფოლკლორის შესახებ, რომლე-ბიც აკადემიურ ფოლკლორისტულ თეორიებს ემყარება. ვასილ ბარნოვის მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებე-ლი ნიშანია ისტორულ პირთა რომანტიკულ საბურველში გახვევა. მის ნაწარმოებებში რომანტიზმისა და რეალიზმის სინთეზია, რაც იმ პერიოდის მეცნიერებაშიც ღრმად იყო შეჭრილი. არ არის გა-საკვირი, რომ რომანტიზმიდან აღმოცენებული მითოლოგიური თეორიის გავლენა ბარნოვის სამეცნიერო წერილებშიც საგრძნო-ბია. ბარნოვი მითოლოგიური სკოლის ნარმომადგენლების მსგა-ვსად ცდილობს, ახსნას მითოსური აზროვნების შრეები. ისევე, როგორც ალ. ხახანაშვილი, ბარნოვიც სამ საფეხურს გამოყოფს ფოლკლორულ ჟანრთა განვითარებაში: მითიურს, ბუმბერაზულს და ისტორიულს, როგორც ეს მიღებული იყო ფოლკლორისტიკა-ში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. ბარნოვის მიხედვით, მითოსში ღმერთი არის კეთილი საწყისის გამოვლენა, მისი განსახიერებე-ბია მნათობები და ცეცხლი, ბოროტებისა კი – სიბნელე, დევები, ავსულები, ვეშაპები. ბუმბერაზთა შორის ბარნოვი ღმერთკაცებსა


და კაცლმერთებს განასხვავებს. ამირანის ეპოსში, მისი აზრით, ღმერთკაცები არიან სულკალმახი, ცამცუმი, იგრი ბატონი, ამბრი არაბი; კაცლმერთები არიან ამირანი, ბადრი, უსუპი (ჯაგოდნიშვილი, 2004: 791).

მიუხედავად იმისა, რომ თავის ნარკვევებში აღ. ხახანაშვილი და ვ. ბარნოვი მითოლოგიურ თეორიას იყენებდნენ, ისინი მითოლოგიური სკოლის მკაცრ მიმდევრებად არ მიიჩნევიან. მათი სამეცნიერო კვლევის პრინციპები მხოლოდ ამ თეორიით არ იყო შეზღუდული.

თვით მითოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომებშიც ვხვდებით ისეთ დებულებებს, რომლებიც სხვა თეორიებთანაც არის გარკვეულ კავშირში.

მითოლოგიური თეორია, ცხადია, არ არის უნივერსალური. ფოლკლორული ჟანრების წარმოშობას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, არა მარტო მითოლოგია. ზეპირ გადმოცემებს თავის კვალს ამჩნევს რელიგიური მსოფლმხედველობა, მნიგნობრული ტრადიცია, კულტურული-ისტორიული პროცესები, სოციალური გარემო, ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

სიუჟეტთა და მოტივთა საერთაშორისო გავრცელების ერთერთი მიზეზი ტრადიციათა ურთიერთსესხბაა, რასაც მითოლოგიური სკოლის წარმომადგენლები არ იზიარებდნენ, გარდა ცალკეული შემთხვევებისა. საჭირო იყო, ერთი მხრივ, ინდოევროპელ ხალხთა, მეორე მხრივ კი, ხმელთაშუაზღვისპირეთისა და არაინდოევროპელ ხალხთა თხრობითი ტრადიციების გათვალისწინება. მითოლოგიური თეორიის ეს ნაკლი ახალმა თეორიამ შეავსო, რომელმაც მსოფლიოს ხალხთა საერთო ფოლკლორული სიუჟეტები ისტორიული და კულტურული კონტაქტებით ახსნა. ეს იყო „მოხეტიალე სიუჟეტების“ თეორია.



ვასილ ბარნოვი

სადისკუსიოდ:

ვახტანგ კოტეტიშვილის კომენტარი ბალადაზე „თავფარავნელი ჭაბუკი“ წიგნში:

კოტეტიშვილი, ვახტანგ: ხალხური პოეზია. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“, 1961.

ჩოლოყაშვილი, რუსუდან: უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში. თბილისი: „ნეკერი“, 2004.

„მოხეტიალე სიუჟეტები“

ანუ
მიგრაციული თეორია

„მოხეტიალე სიუჟეტთა“ თეორია მთავარი საყრდენია ყველა დანარჩენი ფოლკლორისტული სკოლისთვის, რომლებიც სიუჟეტების შედარებით შესწავლას მისდევს.

„მოხეტიალე სიუჟეტთა“ თეორიის ძირითადი პრინციპები

- ზღაპრების დიდი რაოდენობა ინდოეთიდან გავრცელდა მსოფლიოში;
- ევროპელი ხალხები ინდოეთიდან მომდინარე სიუჟეტებსა და თემებს იყენებდნენ,
მაგრამ მათი ინტერპრეტაციისას ახალი ნაწარმოებები იქმნებოდა.

თეორიის სხვა სახელწოდებები

- მიგრაციული თეორია;
- სესხების თეორია;
- ნასესხობის თეორია;
- ინდური თეორია;
- მონოგენეზისური თეორია.

სიუჟეტთა სესხების თეორიის შორეული წანამძღვრები XVII საუკუნეში იჩენს თავს. 1670 წელს ფრანგმა მეცნიერმა, ეპისკოპოსმა პიერ დანიელ იუემ (Pierre-Daniel Huet) თავის ნაშრომში „Essais sur l'origine des Romans“ გამოთქვა აზრი, რომ ზღაპრები ადამიანის ფანტაზიის პროდუქტს წარმოადგენს და ყველა დროის ყველა ხალხს ახასიათებს მიბაძვის უნარი: ამიტომ ზღაპრების



პიერ-დანიელ იუჟ
(1630-1721)

ნასიტყვაობაში განაცხადა, რომ მათი დიდი ნაწილი ინდური ნარმომავლობის იყო (Fontaine, 1678).

ევროპელ აღმოსავლეთმცოდნეთა მიერ სიუჟეტთა მსგავსებისა და გავრცელების საკითხის დასმა, უპირველეს ყოვლისა, ინდურ და არაბულ ხალხურ გადმოცემებს უკავშირდება. ინდური ხალხური არაკების კრებული „პანჩატანტრა“ („ხუთი წიგნი“) VI საუკუნეში შეიქმნა და მაშინვე ითარგმნა ფალაურ და ასურულ ენებზე, VIII საუკუნეში კი ფალაურიდან არაბულად თარგმნეს „ქილილა და დამანას“ სახელწოდებით, სწორედ აქედან გავრცელდა სხვა ქვეყნებში. „ქილილა და დამანა“ XII საუკუნეში – ებრაულად, XIII საუკუნეში – ებრაულიდან ლათინურად, ხოლო შემდეგ ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ ენებზე თარგმნეს. XV საუკუნეში არაბულიდან ბერძნულ ენაზე თარგმნილმა ვერსიამ სლავურ სამყაროშიც მოიკიდა ფეხი. „ქილილა და დამანა“ მეტად პოპულარული იყო საქართველოშიც.

სწორედ იმ დროს, როცა ევროპაში ეს კრებული მეცნიერთა ინტერესის საგნად იქცა, საქართველოში 1710-1714 წლებში „ქილილა და დამანას“ კრიტიკულ ტექსტზე მუშაობას შეუდგა მეფე ვახტანგ VI (1675-1737). წიგნის საბოლოო რედაქტორი კი სულხ-

უდიდესი ნაწილი აღმოსავლეთიდან მომდინარეობს (Коккъяра, 1960: 56). მიუხედავად იმისა, რომ ამ დროის-თვის ფოლკლორისტიკა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, როგორც ცალკე დისციპლინა, იუეს ვარაუდმა საუკუნის შემდეგ შეისხა ფრთები „მოხეტიალე სიუჟეტების“ თეორიაში. მომდევნო წლებში სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად გაჩნდა თვალ-საზრისები გარკვეულ სიუჟეტთა აღმოსავლური ნარმოშობის შესახებ.

1678 წელს უან დე ლაფონტენმა (1621-1695) თავისი იგავ-არაკების წი-

ან-საბა ორბელიანი იყო (კეკელიძე, 1958: 462-471; ქილილა და დამანა, 1949).

ინდური იგავების ქართულ ზეპირსიტყვიერებასთან მსგავსებას ვახტანგ მეექვსემ მიაქცია ყურადღება. წინასიტყვაობაში იგი წერს: „იმითიც საცნაურ არს, რაოდენსაცა საქართველოსა შინა ანუ არაკსა, ანუ იგავსა, ანუ ზეპირს მუნასიბსა ლექსსა იტყვიან, უფროსი ერთი ამაში სწერია“ (ჩიქოვანი, 1946: 121).

1816 წელს საფრანგეთში გამოქვეყნდა „ქილილა და დამანა ანუ ბიდპას იგავები არაბულ ენაზე“, რომლის ავტორი, ორიენტალისტი სილვესტრ დე სასი (Silvestre de Sacy) ხალხური გადმოცემების გავრცელებას იკვლევდა. ბუდისტური ლიტერატურის შესწავლისას მან ყურადღება მიაქცია ბრაჟმანებისა და ბუდისტი რელიგიური პირების მიერ გადამუშავებული ლეგენდების, აფორიზმებისა და ანდაზების აურაცხელ რაოდენობას. დე სასიმ ამ გამოქვლევით სათავე დაუდო ხალხური ლიტერატურის გავრცელების საკითხის შესწავლას აღმოსავლურ სამყაროში. მისმა მოსწავლე ლუაზელერ-დელონშანმა კი ეს პრობლემატიკა დასავლურ კულტურაზეც განაზოგადა ნაშრომში „ინდური იგავ-არაკებისა და მათი ევროპაში მოხვედრის შესწავლის გამოცდილება“ (კოკხება, 1960: 320).



ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი

ევროპული იგავების აღმოსავლური წარმოშობის დადგენას შეეცადა აუგუსტ ვაგენერი ნაშრომში „ნარკვევები ინდური და ბერძნული აპოლოგების ურთიერთმიმართებისათვის“. მან გამოთქვა აზრი, რომ ეზოპეს იგავ-არაკებს „კოლექტიური ავტორი“ უნდა ჰყოლოდა. ეზოპე არასოდეს არსებობდა და ეს იგავები აღმოსავლეთიდან შემოვიდა საბერძნეთში. ვაგენერმა ერთმანეთს შეადარა რამდენიმე ბერძნული და ინდური იგავ-არაკი და დაასკვნა, რომ მათი მსგავსება ადრინდელ ვარიანტებში უფრო შესამჩნევია და, აქედან გამომდინარე, ბერძნებმა ყველა იგავი ინდოეთიდან გადმოიღეს (Wagener, 1854: 122-126). სინამდვილეში, ამ თეზისით ვაგენერმა იმის საწინააღმდეგო დაამტკიცა, რაც განზრახული ჰქონდა: მისმა არგუმენტებმა, რომელთაც იგავ-არაკების არაბერძნული წარმომავლობა უნდა ეჩვენებინა, მხოლოდ მათი სიძველე დაადასტურა. ვაგენერის კონცეფციას მალე გამოუჩნდა კრიტიკოსი. გერმანელმა აღმოსავლეთმცოდნე, ალბრეხტ ფრიდრიხ ვებერმა უურნალ „ინდურ კვლევებში“ („Indische Studien“) კრიტიკული სტატიები გამოაქვეყნა და ინდური იგავ-არაკების საბერძნეთში შეღწევა აბსოლუტურად გამორიცხა (Коккъяра, 1960: 319). ვაგენერი თავის თეზისს ამყარებდა „პანჩატანტრას“ შექმნის სიძველით. იგი კრებულს მიახლოებით IV საუკუნეს აკუთვნებს. ვებერი მის დათარიღებას კრიტიკულად მიუდგა. „პანჩატანტრა“ შექმნილია VI საუკუნეში, ხოლო ეზოპეს ნაწარმოების შექმნის თარიღი უფრო დაზუსტებულია – ძვ. წ. VI საუკუნე.

გერმანელი ენათმეცნიერის, სანსკრიტოლოგ თეოდორ ბენფეის მიერ თარგმნილი „პანჩატანტრა“ და მისი მონოგრაფიული გამოკვლევა „ორიენტალისტიკის შედევ-



თეოდორ ბენფეი
(1809-1881)

რად“ აღიარეს ევროპაში (Kokkanya, 1960: 320). ასეთივე მნიშვნელობა აქვს ამ ნაშრომს ფოლკლორისტიკისთვისაც.

თეოდორ ბენფეის სახელი და „მოხეტიალე სიუჟეტთა“ თეორია სამუდამოდ დაუკავშირდა ერთმანეთს.

ზუსტ თარგმანთან სხვადასხვა რედაქციის შედარებასა და ისტორიულ-კულტურულ ანალიზთან ერთად, თეოდორ ბენფეიმ განიხილა „პანჩატანტრას“ გავლენა ხალხურ თხრობით ტრადიციაზე. მეცნიერი არც საპირისპირო გზას გამორიცხავდა – ეზოპეს იგავ-არაკების გავრცელებას ინდოეთში, ოლონდ იმ დროისთვის ინდურ ხალხურ ტრადიციაში უკვე უნდა არსებულიყო მსგავსი სიუჟეტები:

„საზოგადოდ, ევროპული იგავ-არაკების უმეტესობა ე.წ. ეზოპესეულის სახეცვლილებაა; ზოგიერთს კი ინდური წარმომავლობის კვალი ამჩნევია, როგორც საერთოდ ინდური იგავების დიდ ნაწილს; თავისუფლება, რომელიც მათ ახასიათებთ, და კიდევ ბევრი სხვა მომენტი იმაზე მეტყველებს, რომ ინდოელებს უკვე შექმნილი ჰქონდათ ეზოპესეული იგავების მსგავსი. განსხვავება მათ კონცეფციებსა და ეზოპეს იგავებს შორის მდგომარეობდა ზოგადად იმაში, რომ ეზოპეს შემოქმედებაში ცხოველები თავისი სასიათის შესაბამისად მოქმედებენ, ინდური იგავები ცხოველის სპეციფიკურ ბუნებას უგულებელყოფენ და მათი სახით ადამიანი გამოჰყავთ. ეს შესაძლოა ნაწილობრივ ცხოველთა იგავების დიდაქტიკურ ბუნებას მივაწეროთ, ნაწილობრივ კი ინდოეთში გამეფებულ რწმენას სულთა გარდასახვაზე“ (Benfey, 1859: XXI).

ბენფეიმ დაასკვნა, რომ ზღაპრებისა და სხვა ხალხური მოთხრობების დიდი რაოდენობა ინდოეთიდან გავრცელდა მსოფლიოში. მისი აზრით, ეს გავრცელება დაიწყო ჩვენი წელთაღრიცხვის X საუკუნის ახლო ხანებში:

„იგავებისგან განსხვავებით, მოთხრობები, და განსაკუთრებით ზღაპრები, ინდური წარმოშობისა უნდა იყვნენ, და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ინდოელებმა შეიძლება მოგვიანებით გაიცნეს ცხოველთა იგავები, მაგრამ ევროპას გადამუშავებული დაუბრუნეს. აღმოსავლური და დასავლური იგავ-არაკების, ზღაპრებისა და მოთხრობების სფეროს კვლევამ დამარწმუნა, რომ

იგავების მცირე რაოდენობა და გაცილებით მეტი ზღაპარი და მოთხოვთ ინდოეთიდან სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში. რაც შეეხება გავრცელების დროს, ჩვენი წელთაღრიცხვის მეათე საუკუნემდე ცოტა ხნით ადრე რამდენიმე სიუჟეტი მოხვდა და-სავლეთში და იმის მიუხედავად, რომ პანჩატანტრას ან ქალილა და დამანას თარგმანების მეშვეობითაც იყო ცნობილი, მაინც ზეპირი გზით გავრცელდა მოგზაურებისა და ვაჭრების წყალობით (Benfey, 1859: XXII).

ბენფეი გავრცელების გზას მოიაზრებს ინდოეთიდან დასავ-ლეთისკენ და, ასევე, აღმოსავლეთისკენ – ჩინეთთან ურთიერთობით:

„მეათე საუკუნიდან, მაჰმადიანი ხალხების ინდოეთში შეჭრი-სა და დაპყრობის შემდეგ, ინდოეთის გაცნობა უფრო ინტენსი-ურად დაიწყო. იქიდან მოყოლებული, ზეპირი და ლიტერატურუ-ლი ტრადიციები ფეხდაფეხ მოდიან. ინდური მოთხოვნები სპარ-სულად და არაბულად ითარგმნა და მთლიანად ან ნაწილობრივ მალევე გავრცელდა ისლამური ქვეყნების გავლით აზიში, აფრი-კაში, ევროპაში და ქრისტიანულ დასავლეთში. გზაჯვარედინი იყო ბიზანტიის იმპერია, იტალია და ესპანეთი. უფრო დიდი მასშტაბი ჰქონდა ინდური კონცეფციის ზემოთ აღნიშნული სამი უანრის ინ-დოეთის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით გავრცელებას. ჩვენი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მათი საწყისია ბუდისტუ-რი ლიტერატურა. ამით მათ პირველივე საუკუნიდან შეაღწიეს ჩინეთში, რამდენადაც ჩინეთი ბუდისტურ ინდოეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული“ (Benfey, 1859: XXIV).

ხალხური „ლიტერატურა“, უპირველეს ყოვლისა, ზეპირ ტრადიციაში არსებობდა, მოგვიანებით კი ზეპირს ლიტერატურუ-ლი ტრადიციაც დაემატა:

„ევროპულ ლიტერატურაში ნოველებს პირველად ბოკაჩიოს-თან ვხვდებით, ზღაპრებს კი – სტრაპაროლასთან. ხალხის მიერ ლიტერატურიდან აღებული და გადამუშავებული ისევ ლიტერ-ატურაში მოხვდა, იქიდან კი კვლავ ხალხში დაბრუნდა. ამის შე-დეგად უამრავმა მოთხოვნამ ეროვნული სულისა და შემოქმედი ინდივიდუუმების ერთობლივი ზემოქმედებით ის ნაციონალური

ხასიათი მიიღო, რაც მხოლოდ ინდივიდუუმის შრომით მიიღწევა და რაც მას მაღალმხატვრულ ღირებულებას ანიჭებს“ (Benfey, 1859: XXVI).


თეოდორ ბენფეი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ევროპელი ხალხები ინდოეთიდან მომდინარე სიუჟეტებსა და თემებს იყენებდნენ, მაგრამ მათი ინტერპრეტირებისას ახალი ნაწარმოებები იქმნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბენფეის უმთავრესი მიზანი ამა თუ იმ მოტივის გავრცელებაზე დაკვირვება იყო, ის, როგორც ფილოლოგი, ნაწარმოების შემოქმედებითი გენეზისითაც იყო

დაინტერესებული – თუ როგორ იქცევა ერთი ნოველა გადამუშავების შედეგად ახალ ნოველად.

ფრანგი ფილოლოგი გასტონ პარი (1839-1903) თავის ნაშრომებში „შუა საუკუნეების პოეზია“ (La poésie du Moyen Age) და „ფრანგული ლიტერატურა შუა საუკუნეებში“ (La littérature française au Moyen Age) თეოდორ ბენფეის თვალსაზრისს იზიარებს. ფრანგული ხალხური თხრობითი ტრადიციების შესახებ საუბრისას ის ამტკიცებს, რომ ახალ ნიადაგზე გადასვლისას საერთაშორისო წარმომავლობის სიუჟეტები და მოტივები ნაციონალურ თვისებებს იძენენ (Коккъяра, 1960: 338).

უცხო სიუჟეტთა ტრანსფორმაცია ეროვნული თავისებურების მიხედვით – ამგვარ კონცეფციას აკაკი წერეთლის ნაწერებშიც ვხვდებით. წერილში „ზეპირსიტყვაობა“ (1897) აკაკი წერეთელი საკითხს სვამს ბიბლიური და ანტიკური მითოლოგიური მოტივების რეცეფციის შესახებ ქართულ ფოლკლორში: „ძველი და ახალი აღთქმა სულ ერთიანად გალექსილი იყო და ტრიალებდა ჩვენს



გასტონ პარი
(1839-1903)



აკაკი წერეთელი (1840-1915)

გადმოგვიქართულებია, თუ იმათ გადაურჯულებიათ ჩვენი რამე?“ (წერეთელი, 1990: 147).

საზღაპრო სიუჟეტთა წარმომავლობის, სესხების, გავრცელებისა და ორიგინალობის საკითხის შესწავლა ქართულ ფოლკლორისტიკაში აკაკი წერეთლის პუბლიცისტური წერილებიდან იწყება. მანამდე მხოლოდ ცალკეულ კომენტარებს ვხვდებით მითოლოგიურ სიუჟეტთა მსგავსების თაობაზე თეიმურაზ ბაგრატიონის, იოანე ბაგრატიონის, ივანე ცისკარიშვილის, დიმიტრი ყიფიანისა და სხვ. ნაშრომებში (ჯაგოდნიშვილი, 2004: 228-229). აკაკი წერეთელს არაერთი დაკვირვება და თვალსაზრისი აქვს გამოთქმული ზღაპრების შესახებ, რომლებიც „მოხეტიალე სიუჟეტის“ თეორიასა და შედარებით- ისტორიულ მეთოდებს ეყრდნობა (წერეთელი, 1990: 112, 147, 178, 217).

1898 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „შენიშვნა“ აკაკი წერეთელი საზღაპრო მოტივთა გავრცელების რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს ასახელებს: 1) სხვა ქვეყნის ლიტერატურული და ფოლკლორული ნაწარმოების გავლენას, 2) ეროვნული ლიტერა-

ხალხში. ვის არ გაუგონია ჩვენში საუცხოო შაირები „აბრამზე“, „იობზე“, „სოლომონზე“ და სხ?.. არც ერთი შესანიშნავი მოვლინება არ ყოფილა ჩვენში, რომ ხალხს უყურადღებოთ დაეგდოს და შაირი არ გამოეთქვას!.. ამას გარდა, ძველი ხალხების მითოლოგია, განსაკუთრებით ბერძნებისა, სულ ჩვენ ზღაპრებში არიან მოქცეული; აქვე შევხვდებით პომეროსისა და სხვა ძველი დროის მწერლების თხზულებათაც ნაწყვეტ-ნაწყვეტათ, მაგრამ ქართული ხასიათით და სულით კი, ვინ იცის, ჩვენ

ტურის ხალხურ ინტერპრეტაციებს და 3) მწერლის მიერ ზეპირსი-ტყვიერი მასალის დამუშავებას.

აკაკი წერეთელი ფოლკლორისა და ლიტერატურის ურ-თიერთგავლენის პრობლემას სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ მაგალითზე განიხილავს. აკაკი წერეთლის შენიშვნა სიუჟეტთა საერთაშორისო გავრცელებას უკავშირდება: „არა თუ ბერძნების, რომაელების, არაბების, ინდოელების, სპარსელების, ებრაელების (ბიბლია) და სხვანი – არამედ ნაკლებ მნიშვნელობიან ძველ სახელმწიფოების ხალხურ ნაწარმოების ნაშთებსაც-კი შეხვ-დებით ჩვენებურ ზეპირ-გადმონაცემებში“ (წერეთელი, 1990: 218).

მეტად საინტერესო ინფორმაციის შემცველია აკაკი წერეთ-ლის კომენტარი ბოკაჩიოს ნოველის ქართული გახალხურებული ვერსიის თაობაზე: „უფრო ახირებული კიდევ ის არის, რომ ჩვენ ზეპირსიტყვაობაშივე შევხვდებით ზოგჯერ უცხო ქვეყნის ხე-ლოვნურ ნაწარმოებსაც, მაშინ, როდესაც ჩვენს ლიტერატურაში კი არა არის რა იმ გვარი. მაგალითად. ახალ-ქალაქის მაზრიდან შე-მოვიდა ერთი ზღაპარი „გულკეთილი ტერტერა“ – და ეს ზღაპარი თავიდან ბოლომდე გადაკე-თებულია ბოკაჩიოს ერთ ნო-ველათაგან, რომელსაც სახე-ლათ ეს ჰქვია: „მადონნა იზა-ბელლა და მისი საყვარელი ლიონეტტო და ლამბერუჩიო და ბოლოს ქმარიც იზაბელ-ლასი“. ამ ამბავს აქვე ქვემოთ დავბეჭდავთ, მაგრამ ჯერ ვიტყვით, რომ ეს ბოკაჩიოს ნოველები ფრანგის პატრე-ბის გადმოტანილი უნდა იყოს ჩვენში და გავრცელებული, – სხვებ ვერ აიხსნება“ (წერეთე-ლი, 1990: 218).

სიუჟეტის გავრცელების თემასთან აკაკი წერეთელს



ჭოვანი ბოკაჩი (1313-1375)

მუსიკალური ფოლკლორის გავლენის საკითხიც აქვს დასმული იმავე სტატიაში:

„ამ ოცდა ხუთი წინეთ ხიზაბავრაში მოვდიოდი და გზა-ში უცხათ რაღაც უცნაური სიმღერა მომესმა: მინდორში მწყემ-სები იმღეროდენ. მეუცხვავა და შევაჩერე ცხენი, დაუგდე ყური და რა გამოდგა? ფრანცუზებს ერთი ხალხური სიმღერა აქვთ, თუ როგორ წავიდა ჯვაროსნობის დროს რაინდი მალბრუგი სარ-კინოზების გასაჟლეტათ და რა გადახდა. ეს სიმღერა დღესაც ხშირად გაიგონება საფრანგეთში, განსაკუთრებით გამდელები უმღერიან ყმაზეილებს. და სწორეთ ამ ლექსს იმღეროდნენ ხიზა-ბავრელი მწყემსებიც. კილოც დაეცვათ და სიტყვებიც. მხოლოთ „მალბრუგის“ ნაცვლათ „ყაფლანს“ ამბობდენ და ლექსი იწყებო-და: „ყაფლან მიდის ჯარშია“ და სხვ. ხიზაბავრაში გაფრანგებული ქართველები ცხოვრობენ და, რასაკირველია, პატრებისაგან ექ-ნებოდათ მათ ძველებს ნასწავლი ეს ლექსი და ჩარჩენილა. ესევე უნდა ვიფიქროთ ბოკაჩიოს ნოველების შესახებაც“ (წერეთელი, 1990: 218-219).

ქართულ ფოლკლორშიც, სხვა ხალხების მსგავსად, საზღა-პრო სიუჟეტებში უხვად გვხვდება როგორც ნაციონალური მწერ-ლობის, ისე ნათარგმნი ლიტერატურული ნაწარმოებების გახალხ-ურებული ვერსიები („ვეფხისტყაოსანი“, „შაპ-ნამე“ და სხვ.). ქარ-თული ხალხური ზღაპრების შესახებ XIX საუკუნეში გამოთქმული მოსაზრებები ცხადყოფს, რომ ქართველი მკვლევრები „მოხე-ტიალე სიუჟეტთა“ თეორიას კარგად იცნობდნენ და, ამასთანავე, იმ ეპოქისთვის აქტუალურ ფოლკლორისტულ კვლევებში მუდ-მივად ჩართული იყვნენ.

ალექსანდრე ხახანაშვილი ზღაპრების ისტორიულ-შედარე-ბით ანალიზს მიმართავდა და გამოთქმული აქვს მეტად საგულისხ-მო ვარაუდები ინდოევროპელ ხალხთა საზღაპრო სიუჟეტების შესახებ. გაზეთ „Новое обозрение“-ში ალექსანდრე ხახანაშვილი მოსკოვში ახალგამოცემულ კრებულს (Этнографическое обозрение, кн. XIX. Москва, 1894) მიმოხილავს, რომელშიც დაიბეჭდა ვინმე სუმცოვის სტატია „ქმარი ცოლის ქორწილში“. ალექსანდრე ხახან-

აშვილის შეფასება უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ კომენტარი. იგი, ფაქტობრივად, აგრძელებს კვლევას:

„ეს საერთაშორისო გავრცელების სიუჟეტია. ამ მოთხოვნებისა და სიმღერების შესწავლა ლიტერატურის ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის მიერ ფართო სურათს შლის ხალხთა ლიტერატურულ ურთიერთობათა სურათისთვის, ნათელს ხდის მწიგნობრული ლიტერატურისა და ხალხური სიტყვიერების ურთიერთგავლენას. ბეჭდით ამოცნობა – გავრცელებული საზღაპრო სიუჟეტია არა მხოლოდ რუსულ (ბილინა დობრინია ნიკიტიჩე), მალორუსულ, ბოშათა, ინგლისურ და სხვათა ფოლკლორში, ასევე ცნობილი მოტივია ქართულ ლიტერატურაში. სუმცოვის სტატიის შესავსებად მკითხველს შევახსენებთ პოემა „ბეჟანიანს“, „როსტომიანის“ („შაჰ-ნამეს“ ქართული თარგმანი, XVII ს.) გავრცობილ ვარიანტს, რომელშიც როსტომი დატყვევებულ ბეჟანს ნეკა თითის ბეჭედს შეუგზავნის და ამ საშუალებით ატყობინებს, რომ მის დასახსნელად სახელოვანი გმირი ჩამოვიდა. ერთ ძველ ფრანგულ სიმღერაში, დღემდე რომ არის ხალხში შემორჩენილი, ქმრის დაბრუნების მოტივი თქმულებათა სხვა ციკლის ნაწილია – მკვდარი სასიძო. რაინდი შვიდი წლის შემდეგ ბრუნდება შინ სწორედ იმ დღეს, როცა მისი საცოლე უნდა გათხოვდეს. ის ისეა შეცვლილი, ვერავინ იცნობს. მიიწვევენ ვახშმად, ჯდება, თამაშობს ბანქოს და მოიგებს პატარძალს. როცა ნიღაბს მოიხსნის, ყველა დაინახავს მკვდარს ცეცხლოვანი თვალებით. მკვდარი წაიყვანს პატარძალს“ (Хаханов, 1894).

შედარებითი კვლევებისთვის ქართული ზეპირსიტყვიერი მასალა გამოყენებულია XIX საუკუნის რუსი მეცნიერების, ალექსანდრ ვესელოვსკისა და ვსევოლოდ მილერის ნაშრომებშიც, რომლებიც ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობებს „სესხების“ თეორიით ხსნიდნენ, კავკასიას კი განსაკუთრებით საინტერესო რეგიონად მიიჩნევდნენ ეთნოგრაფიული და ფოლკლორული დაკვირვებებისთვის (ჯაგოდნიშვილი, 2004: 497-517).

ალექსანდრე ხახანაშვილი ისტორიულ-შედარებითი ანალიზისთვის მხოლოდ „მოხეტიალე სიუჟეტთა“ თეორიით არ შემო-

იფარგლებოდა, მის კვლევებში მითოლოგიური სკოლის კვალიც აისახა.

ამგვარად, ფოლკლორული სიუჟეტების მსგავსების მიზეზი, მითოლოგიური წარმოშობის გარდა, კულტურულ კონტაქტებშიც იყო საძიებელი, მაგრამ კიდევ ერთი კითხვა რჩებოდა უპასუხოდ: რითი შეიძლება აიხსნას ხალხურ მოტივთა მსგავსება იმ ხალხებში, რომლებსაც ერთმანეთთან არც გენეტიკა აკავშირებთ და არც ისტორია?

ამ კითხვაზე პასუხიც მაღე მოიძებნა ანთროპოლოგიური თეორიის სახით.

სადისკუსიოდ:

ვახტანგ კოტეტიშვილის კომენტარი ლექსზე „აქედანა და შენაძლე“ წიგნში: კოტეტიშვილი, ვახტანგ: ხალხური პოეზია. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“, 1961.

ქსენია სიხარულიძის ნარკვევი „სულხან-საბა ორბელიანის სიბრძნე-სიცრუის ხალხური წყაროები“ წიგნში: სიხარულიძე, ქსენია: ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

ანთროპოლოგიური სკოლა

ანთროპოლოგიური თეორია არის კრებითი სახელი კვლევის სხვადასხვა მიმართულებისა, რომელიც ფოლკლორულ უნივერსალუებს ზოგადადამიანურ ფენომენებად მოიაზრებს.


ანთროპოლოგიური თეორიის ძირითადი პრინციპები

- პოლიგენურისი: ერთი და იგივე სიუჟეტი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეიძლებოდა წარმოშობილიყო;
- პოლიგენურისი ასოცირდება ადამიანის, როგორც ფსიქიკური ერთეულის კონცეპტან;
- ადამიანის მიერ შექმნილი პროდუქტი, ფოლკლორის ჩათვლით, ერთი და იგივე ან მსგავსი იქნება;
- უძველესი გადმოცემების აღდგენა პრიმიტიული ხალხების მითებისა და წეს-ჩვეულებების თანამედროვე გლეხების ფოლკლორთან და ცრურწმენებთან შედარების საფუძველზე.

თეორიის სხვა სახელწოდებები

- თვითჩასახვის თეორია;
- პოლიგენურისური თეორია

ანთროპოლოგიური თეორიის იდეები ჯერ კიდევ ვილჰელმ და იაკობ გრიმების მითოლოგიურ თეორიაში იკითხება: „ხალხური პოეზიის ამ თავისუფალ, დამოუკიდებელ და სულიერ ნათესაობაში არსებობს კიდევ სხვა, რომელსაც საერო ან სამოქალაქო შეიძლება ვუწოდოთ. სახელდობრ, ვერ უარვყოფთ, რომ პოეტური



ადოლფ ბასტიანი
(1826-1905)

ასოცირდება ადამიანის, როგორც ფსიქიური ერთეულის კონცეპტთან. ამ თეორიის დამცველები ამტკიცებენ, რომ ადამიანი ფსიქოლოგიურად ყველგან ერთი და იგივეა. შესაბამისად, მისი ფსიქოლოგიური პროდუქტი, ფოლკლორის ჩათვლით, ერთი და იგივე ან მსგავსი იქნება.

ზოგადადამიანურ მსგავსებებზე დაკვირვება ცენტრალური იდეაა გერმანელი ფილოსოფოსის თეოდორ ვაიცის ნაშრომისა „პირველყოფილ ხალხთა ანთროპოლოგია“ (*Anthropologie der Naturvölker*, 1858), რომელშიც ბუნებისა და ადამიანის უძველესი ერთიანობა დღევანდელ მრავალფეროვნებასთან არის დაკავშირებული ევოლუციის თეორიის მეშვეობით. ამავე ხასიათის დაკვირვებები აქვს გერმანელ ეთნოგრაფ ადოლფ ბასტიანს წიგნში „ადამიანი ისტორიაში. ფსიქოლოგიური მსოფლმხედველობის დასაბუთებისთვის“ (*Der Mensch in der Geschichte. Zur Begründung einer psychologischen Weltanschauung*, 1860). ბასტიანის აზრით, სრულყოფილების მწვერვალზე მდგომ ქმნილებათა გააზრებისთვის უნდა შევიცნოთ მათი ელემენტარული თვისებები და რეაქციები, რაც ფსიქოლოგიურად პირველყოფილი ხალხების ფიქრებშია (Elementargedanken).

ნაწარმოები გარკვეული სახით ერთი ხალხიდან მეორეში გადადის და ხშირად შორ გზასაც გაივლის; ისინი თუმცა ახალი სამშობლოს წესებს ემორჩილებიან, მაგრამ მაინც თავისი ნარმომავლობის კვალს ნათლად ატარებენ“ (Grimm, 1811: 421).


ანთროპოლოგიური თეორიის ძირითადი პრინციპია პოლიგენეზისი: ერთი და იგივე საგანი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არაერთგზის შეიძლებოდა ნარმოშობილიყო. პოლიგენეზისი ძირითადად

დაუნჯებული. ზოგადად, ადამიანის ფენომენის გაგებისთვის ადა-
მიანი უნდა განვიხილოთ თავისი მოქმედებისა და განვითარების
ფაზების კანონზომიერებებით (Bastian, 1875, 345-346).

ინგლისური ანთროპოლოგიური სკოლა

ანთროპოლოგიური თეორია არსებითად XIX-XX საუკუნეების
ინგლისში გაჩნდა და სხვადასხვა მიმართულებით გაიშალა. ინ-
გლისელი ფოლკლორისტები, რომლებმაც ფოლკლორის საზოგა-
დოება დააარსეს, თავის თავს „ანთროპოლოგიურ ფოლკლორის-
ტებს“ უწოდებდნენ და, ძირითადად, ედვარდ ტაილორის „გადმო-
ნაშთის“ თეორიას ეყრდნობდნენ. „ნაშთები“, „survivals“, ტაილო-
რის ტერმინოლოგიით, ანიმისტური რელიგიის განვითარებული
სისტემაა, დაკავშირებული პრეისტორიულ ადამიანთან. მას შეე-
საბამება თანამედროვე გლეხების რიტუალები, წეს-ჩვეულებები
და რწმენა-ნარმოდგენები. ადამიანის ბარბაროსობის მდგომა-
რეობიდან ცივილიზაციამდე მისვლას ანიმიზმის პოლითეკიზმითა
და მონოთეიზმით შეცვლა დასჭირდა. XIX საუკუნის ტეილორის-
შემდგომმა ანთროპოლოგებ-
მა, შეისწავლეს რა „ველური“
ხალხები, დასკვნეს, რომ ისინი
კაცობრიობის განვითარების
ადრინდელ საფეხურზე არიან
და, ეჭვგარეშეა, რომ დღევან-
დელ ცივილიზებულ ადამიანს
ეს გზა გავლილი აქვს.

ეს ძირითადი ანთროპო-
ლოგიური მოსაზრებები გახ-
და ბიძგი ვიქტორიანელ ფო-
ლკლორისტთა ნიჭიერი და
პროდუქტიული გუნდისთვის:
ენდრიუ ლანგი, ედვარდ კლო-
დი, ჯორჯ გომი, ედვინ ჰარტ-
ლენდი, ალფრედ ნატი (Andrew
Lang, Edward Clodd, George



ედვარდ ტაილორი
(1832-1917)



ალფრედ ნატი (1856-1910)



ენდრიუ ლანგი (1844-1912)

L. Gomme, Edwin S. Hartland, Alfred Nutt). თითოეულმა მათგანმა საკუთარი თეორიული სისტემა შექმნა თავის კვლევაში. ისინი ცდილობდნენ, პრიმიტიული ხალხების მითები და წეს-ჩვეულებები თანამედროვე გლეხების გადმოცემებისა და ცრურწმენების-თვის შეედარებინათ და, ამგვარად, „ქვედა შრეებზე“ დალექილი ფოლკლორი დღის სინათლეზე გამოეტანათ. ის, რაც გლეხების რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებში ცოცხლობდა გადმონაშთის სახით, შეიძლებოდა სრულად შემონახული ყოფილიყო, მაგალითად, პოლინეზიურ ან ნავახოს რიტუალებში.


ინგლისელ „ანთროპოლოგიურ ფოლკლორისტებს“ უფრო სწავლულები შეიძლება ეწოდოთ, ვიდრე პრაქტიკოსი, ველზე მომუშავე მკვლევრები; მაგრამ ისინი ცდილობდნენ, ადგილობრივი ინგლისური ფოლკლორული ნიმუშები შეეკრიბათ, რის მიხედვითაც მათში არსებულ გადმონაშთებს იკვლევდნენ. კოლონიებში დასაქმებულმა მოხელეებმა და მისიონერებმა ინდოეთში, აფრიკასა და ოკეანიაში ხელი მიჰყვეს მითებისა და წეს-ჩვეულებების აღწერას. მაგალითად, ლანგი და მისი კოლეგები ზღაპრებში, რომელთა მთავარი პერსონაჟები მოლაპარაკე ცხოველები არიან, პრეისტორიულ პერიოდს ხედავდნენ, როცა ადამიანი ცხოველს მეტყველების უნარს მიაწერდა: „ჩვენ უძველესი აზროვნების

რელიეტებსა ანდაზებსა და გათვლებში, საბავშვო ზღაპრებსა და ცრურნმენებში ვხვდებით, რომლებიც ევროპაში უკვე ქრება, მა-გრამ ჯერ კიდევ არსებობს მსოფლიოს მრავალ კუთხეში“ (Dorson, 1977, 589).


ანთროპოლოგიური სკოლის ინგლისელი ფოლკლორისტები ხშირად მიმართავდნენ ეთნოგრაფიულ ნარკვევებს, რათა ტომთა კულტურებისთვის დამახასიათებელი ნიშნები თანამედროვე გლე-ხების წეს-ჩვეულებებისთვის შეედარებინათ. ეს თეორია ეფუძნებოდა ჩარლზ დარვინის ჰიპოთეზას ბიოლოგიურ ევოლუციაზე. ადამიანის სოციალურ ინსტიტუტებთან მიმართებაში დარვინის ბიოლოგიური ევოლუციის ჰიპოთეზა გამოიყენა ჰერბერტ სპენსერმა.

ანთროპოლოგიური თეორიის გავლენა იგრძნობა საფრან-გეთში უოზეფ ბედიესა და პოლ სენტივის, ასევე, რუსეთში ვლადი-მირ პროპის ნაშრომებში, რომლებშიც ზღაპრების ბევრი ასპექტი წეს-ჩვეულებებითა და რიტუალებით არის ახსნილი.

ანთროპოლოგიურმა თეორიამ ახალი სახე მიიღო ზღაპრების ფსიქოანალიტიკურ ინტერპრეტაციებში: ზიგმუნდ ფროიდის მოსწავლეები ზღაპრებს იაზრებენ, როგორც მომწიფების პროცე-



ჰერბერტ სპენსერი (1820-1903)



ზიგმუნდ ფროიდი (1864-1938)



ედვინ ჰარტლენდი
(1848-1927)

სის ანარეკლს, რაც თუმცა ინდივიდუალურია, მაგრამ, ზოგადად, ადამიანის განვითარების სტადიების ილუსტრირებას ემსახურება. სილრმის ფსიქოლოგიის არქეტიპებიც თავისი გამოხატვის ფორმებით თუმცა კულტურულ გარემოზეა დამოკიდებული, მაგრამ, ამავე დროს, ადამიანის უნივერსალურ, არაცნობიერში ჩაძირულ ფიქრებს წარმოადგენს.

ინგლისელი ფოლკლორისტი, ეთნოლოგი, ანთროპოლოგი და იურისტი ედვინ სიდნი ჰარტლენდი (1848-1927) მიეკუთვნება „ფოლკლორისტთა დიდ

გუნდს“, გარდა ამისა იყო იყო ლონდონის ეთნოლოგთა საერთაშორისო კონგრესის ზეპირსიტყვიერების სექციის ხელმძღვანელი, ბრიტანული ფოლკლორის საზოგადოების პრეზიდენტი 1899-1901 წლებში, წმინდა ენდრიუს და უელსის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, ჰაქსლის მედლით დაჯილდოვდა 1923 წელს.


ჰარტლენდმა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პირველი ათწლეული (1890-1900) ზეპირსიტყვიერების კვლევას მიუძღვნა, შემდგომ ეს ხაზი გააგრძელა ეთნოლოგიურ შრომებშიც პირველყოფილი საზოგადოებების შესახებ. ჰარტლენდი, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებული იყო თანამედროვე ხალხური გადმოცემებით, რაც მას პირველყოფილი ადამიანის სულიერი განვითარების, რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების შესწავლისთვის სჭირდებოდა. მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ხალხურ გადმოცემათა წარმომავლობა, რომელთა ევოლუციის ახსნას ეთნოლოგიური მეთოდებით ცდილობდა. ეთნოლოგია მისთვის იყო მეცნიერება ტრადიციის შესახებ.

ჰარტლენდს არ გაუკეთებია საზღაპრო ტიპთა და მოტივთა საძიებელი, მაგრამ მის ნაშრომებში უკვე ვხედავთ წანამძღვრებს კატალოგიზაციისთვის. მისი English Fairy and Other Folk Tales (1890) დაყოფილია თქმულებებად, ჯადოსნურ ზღაპრებად, რეალისტურ ზღაპრებად, იგავ-არაკებად და კუმულაციურ ზღაპრებად.

პირველ ორ კატეგორიას, თქმულებასა და ზღაპარს, ჰარტლენდი განასხვავებს რწმენის ხარისხის მიხედვით: მთხოვნელს სხვა-დასხვაგვარი დამოკიდებულება აქვს მათთან. The Science of Fairy Tales (1891) შეიცავს არა მხოლოდ ცალკე თავს მთხოვნელისა და თხრობის ფუნქციის შესახებ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ხალხში, არამედ ვრცელ მიმოხილვას „ზღაპრული მითოლოგიის“ თხრობით ფორმებზე. მის სამტომეულში The Legend of Perseus (1894-96) შედარებითი მეთოდით განხილულია ერთი თემა კაცობრიობის კულტურის ევოლუციის ფონზე. ეს ნაშრომი ტრადიციული ფოლკლორული გადმოცემის ანთროპოლოგიური მეთოდით კვლევას წარმოადგენს (Nicolaisen, 1990, 528-530).

ინგლისელი ფოლკლორისტი ჯორჯ ლაურენს გომი (1853-1916) ფოლკლორის საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და სხვადასხვა უურნალის რედაქტორია, მათ შორისაა Archaeological Review (1888-1889). მისი სამეცნიერო ინტერესი მიმართული იყო ინგლისური სოფლების ინსტიტუციური მოწყობის ისტორიისკენ.

ფოლკლორისტიკისტის მნიშვნელოვანია მისი შრომა Primitive Folk-Moots (1880), რომელშიც თანამედროვე ხალხურ გადმოცემებსა და წეს-ჩვეულებებზე დაყრდნობით შეეცადა ბრიტანული კუნძულების ინსტიტუციური ისტორიის რეკონსტრუქციას. ეს



ჯორჯ გომი (1853-1916)



ადვარდ კლოდი (1840-1930)

კვლევა მან სხვა ნაშრომებში კიდევ უფრო გააღმავა: Folk-Lore Relics of Early Village Life (1883). მისი Handbook of Folk-Lore (1890) პირველი ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო იყო ფოლკლორის მოყვარულ შემკრებთათვის. მისი შრომები Ethnology in Folk-Lore (1892) და Folk-Lore as an Historical Science (1909) არსებითად ფოლკლორისტიკის, როგორც მეცნიერების, ლეგიტიმაციას ემსახურება. მან ე. ტაილორის survivals-თეორიიდან განავითარა თავისი მოსაზრება ტრადიციული და ფსიქოლოგიური ფოლკლორის განსხვავებაზე, რაც შემდგომ ე. ლანგმა და ე. ჰარტლენდმა გააკრიტიკეს (Newall, 1987, 1396-1397).

ედვარდ კლოდი (1840-1930), ინგლისელი ბანკის მოხელე, ფოლკლორისტული შრომების ავტორი და 1878 წელს ფოლკლორის საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელია; საზოგადოების პრეზიდენტი იყო 1895-96 წლებში. მის ნაშრომებზე გავლენა იქნია ჩარლზ დარვინმა და თომას ჰაქსლიმ. 1875 წელს კლოდმა გამოსცა სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი The Childhood of Religions, Embracing a Simple Account of the Birth and Growth of Myths and Legends. კლოდი ხშირად აკრიტიკებდა მითებისა და თქმულებების ფილოლოგიურ ანალიზს, ფსიქოლოგიასა და კათოლიციზმს. ის ჯეიმს ფრეზერისა და ედვარდ ტაილორის შეხედულებების მომხრე იყო (Briggs, 1981, 77-79).

ფოლკლორისტული თეორიები სიუჟეტთა წარმომავლობის, გავრცელებისა და „სესხების“ შესახებ XIX საუკუნის მიწურულს კვლავ ინტენსიურად გვხვდება სამეცნიერო მიმოქცევაში. ეს ქართულ ხალხურ ზღაპრებზე გამოთქმულ მოსაზრებებშიც აისახება. თ. ჯაგოდნიშვილის ზუსტი შეფასებით, „XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული მეცნიერული აკადემიური ფოლკლორისტული აზრი ევროპულის გათვალისწინება-გათავისების საფუძველზე ჩამოყალიბდა, ხოლო ყველაზე დიდი ზეგავლენა მასზე „რუსული ისტორიული სკოლის“ კონცეფციამ იქონია. ეს გარემოება, ერთი მხრივ, იმით იყო განპირობებული, რომ ქართველ მკვლევართა უმეტესობას განათლება რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ჰქონდა მიღებული, მეორე მხრივ, XIX საუკუნის 80-90-იან წლებში საერთაშორისო ფოლკლორისტიკაში „ისტორიული სკო-

ლის“ კონცეფცია ახალ სიტყვად მიიჩნეოდა. თუმცა ევროპული ფოლკლორისტული აზრი ჩვენში პირდაპირ, ურუსეთოდაც, იკვალავდა გზას. ეს განსაკუთრებით ცხადად ე. ტეილორის ევოლუციურ თეორიაზე („თვითჩასახვის თეორია“) ითქმის“ (ჯაგოლნიშვილი, 2004: 19).

ედვარდ ბ. ტაილორის „პირველყოფილი კულტურა“ (Tylor, 1871) ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებში ხალხური წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შესახებ ერთ-ერთ მყარ თეორიულ საფუძველს წარმოადგენს.

მის სტატიებში ასევე ინტერპრეტირებულია სხვა ანთროპოლოგთა, ისტორიკოსთა, არქეოლოგთა და ფილოსოფოსთა ნააზრევი (ჰერბერტ სპენსერის, ედვარდ ფრიმანის, ჯონ სტიუარტ მილის, ფრანსუა ლენორმანისა და სხვა).

ილია ჭავჭავაძე ფოლკლორის მეცნიერული შესწავლის მნიშვნელობას მიიჩნევდა უპირველეს ამოცანად და არა, უბრალოდ, შემკრებლობითი მუშაობით გატაცებას:

„საჭიროა, რომ ჩვენმა ნასწავლმა საზოგადოებამ ერთად თავი მოიყაროს, მოილაპარაკოს, ასწონ-დასწონოს ყოველიფერი ამ საგნის შესახებ და პროგრამა შეადგინოს ხალხის ზნე-ჩვეულებათა შეკრებისა და შესწავლისათვის“ (დაიბეჭდა 1887 წ. „ივერიაში“, 270. ჭავჭავაძე, 1987, 162-164). მიუხედავად იმისა, რომ საზღაპრო სიუჟეტების სესხება-გავრცელება არ გვხვდება ცალკე განხილვის საგნად ილია ჭავჭავაძის წერილებში, მისი კრიტიკული დამოკიდებულება „სესხების“ თეორიისადმი ნათლად ჩანს გამოხმაურებებში შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის ძეგლებთან დაკავშირებით.



ილია ჭავჭავაძე
(1837-1907)

ამერიკული ანთროპოლოგიური სკოლა

ამერიკაში ფოლკლორის ანთროპოლოგიური თეორიები სხვა-
გვარად განვითარდა. თუ ვიქტორიანულ ინგლისში ფოლკლო-
რისტთა წამყვანი ჯგუფი ანთროპოლოგით იყო ინსპირირებული,
ამერიკელი ანთროპოლოგები დაინტერესებული იყვნენ, ფოლკ-
ლორული მასალით ეკვლიათ ტომთა კულტურები მთლიანობაში.
ამ მხრივ ამერიკული ანთროპოლოგისთვის განსაკუთრებული
წელი შეიტანა ფრანც ბოასმა თავისი ხანგრძლივი მოღვაწეო-
ბით კოლუმბის უნივერსიტეტში XX საუკუნის პირველ ნახევარში.
ხალხური გადმოცემები ბოასმა ახსნა, როგორც სარკე ძველი კულ-
ტურისა. ის და მისი მოსწავლეები ზღაპრებს კრებდნენ, როგორც
ეთნოგრაფიის დამხმარე მასალას. ბოასის აზრით, ზეპირი გად-
მოცემები, თავისი პერსონაჟებით და მოტივებით, გაქვავებული
მოთხოვნები კი არაა, არამედ სოციალური დინამიკის მიმდევარი
და სხვადასხვა გავლენას და მოდიფიკაციას დაქვემდებარებული
მოთხოვნებია. ზეპირი ლიტერატურა არის სიმბოლური რეაქციის
ფორმა საზოგადოებრივ პროცესებზე და ამიტომ ის მნიშვნელო-
ვანი დამხმარე საშუალებაა ეთნოლოგიური და კულტურული
ანთროპოლოგიის კვლევებისთვის.

ბოასის მოსწავლემ, რუთ ბენედიქტმა (Ruth Benedict) თავის

ნაშრომში „ზუნის მითოლოგია“ (Zuni Mythology, 1935) მიუთითა, რომ გად-
მოცემები ხშირად კულტურული ნორ-
მებიდან უხვევენ, რამდენადაც თა-
ვის პროტაგონისტებს ნებას რთავენ,
დაარღვიონ ხელშეუხებელი ტაბუ და
აიხდინონ ფანტასტიკური სურვილე-
ბი. ბოასის სხვა მოსწავლე მეღვილ
ჯეკიბსი (Melville Jacobs) თავის წიგ-
ნში Content and style of an oral literature
(1959) ტრადიციულ გადმოცემებს
დრამატულ სპექტაკლებად მოიაზ-



ფრანც ბოასი (1858-1942)

რებს, რომლებიც თავისი მაყურებლისთვის სავსებით გასაგებია და კულტურის დაწვრილებით განმარტებას და ინტერპრეტაციას ითხოვს იმისთვის, რომ უცხოთვალმა სწორად აღიქვას.

ბოასის კიდევ ერთმა მოსწავლემ, მელვილ ჰერსკოვიცმა (Melville J. Herskovits), აფრიკული ზღაპრების დიდი ნაწილი შეკრიბა. მისი დასკვნით, აფრიკული საზღაპრო რეპერტუარი უამრავ მაგალითს შეიცავს, რომლებშიც ადამიანები ცხოველის სახეს იღებენ.

ფოლკლორისტიკის პოზიციიდან ჰერსკოვიცმა დაამტკიცა, რომ ზღაპრის შესწავლას მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლია შეიტანოს კულტურული კონტაქტებისა და კულტურული ნასესხობების კვლევაში: რადგანაც ზღაპარში განსხვავდება კომპონენტები – ფიგურები, მოტივები და სიუჟეტი, და რადგანაც ხალხის ლიტერატურული საუნჯე თავისი ყოფის საფუძველს აჩვენებს, ეს კულ-



რუთ ბენედიქტი (1887-1948)



მელვილ ჰერსკოვიცმი (1895-1963)



უილიამ ბესკომი (1912-1981)

ტურული ასპექტები ზუსტ ინსტრუმენტებია იმისთვის, რომ კულტურული ცვლილებების პროცესი შევისწავლოთ.

ჰერსკოვიცის მოსწავლე იყო უილიამ ბესკომი, რომელმაც ფოლკლორის მორალური, დიდაქტიკური და კათარზისული ფუნქცია ერთ თეზად ჩამოაყალიბა: ფოლკლორი კულტურაში ცენტრალურ როლს თამაშობს და არა მარგინალურს.

სადისკუსიოდ:

ზურაბ კიკნაძის ნარკვევი „შინ და გარეთ“ წიგნში კიკნაძე, ზურაბ: ქართული მითოლოგია 2. ფარნავაზის სიზმარი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 125-144.

ირაკლი სურგულაძის წერილი „შინა-გარე“ წიგნში: სურგულაძე, ირაკლი: მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2003, გვ. 36-56.

გეოგრაფიულ-ისტორიული მეთოდი

გეოგრაფიულ-ისტორიული მეთოდი ფინური ფოლკლორის-ტული სკოლის შრომებიდან განვითარდა. „ჩრდილოეთური სკოლა“ – ყველაზე ხშირად ასე მოიხსენიება XIX საუკუნის სკანდინავიელ ფოლკლორისტთა მოღვაწეობა.

გეოგრაფიულ-ისტორიული მეთოდის ძირითადი პრინციპები

- ხალხური მოთხრობის ნინარე ფორმის პოვნა, რომლიდანაც ყველა სხვა ვარიანტი მომდინარეობს;
- ხალხური მოთხრობის წარმოშობის ადგილის განსაზღვრა;
- ხალხური მოთხრობის ადგილობრივი გადამუშავებებისა და მათი ურთიერთკავშირის შესწავლა;
- ხალხური გადმოცემის გავრცელების გზების აღწერა.

თეორიის სხვა სახელწოდებები

- ფინური სკოლა;
- ჩრდილოეთური სკოლა.

1831 წელს ფინური ლიტერატურის საზოგადოებამ ელიას ლიონროტს (1802-1884) პირველი სტიპენდია მისცა ფინური ნაციონალური ეპოსის, კალევალას სიმღერების შესაგროვებლად, რომლებსაც იმავე წელს დაარსებულ არქივში უნდა დაედოთ ბინა. ფინური ლიტერატურის საზოგადოებამ ინსტიტუციურად საფუძველი შეუქმნა 1888 წელს ჰელსინკის უნივერსიტეტში ფინური და შედარებითი ფოლკლორისტიკის ჩამოყალიბებას, ხოლო 1963 წელს ტურკუს უნივერსიტეტში ფოლკლორის განყოფილების გახსნას.



კაარლე კრონი (1863-1933)



იულიუს კრონი (1835-1888)

გეოგრაფიულ-ისტორიული მეთოდის პირველი მონახაზი კალევალას სიმღერებზე იულიუს კრონს ეკუთვნის. მისმა ვაჟმა კაარლე კრონმა ეს მეთოდი ცხოველთა ზღაპრებისთვის გამოიყენა. მისმა მოწაფე ანტი აარნემ კი, გეოგრაფიულ-ისტორიულ მეთოდზე დაყრდნობით, პირველი სიუჟეტური კატალოგი შექმნა. მთავარი მიზანი ამ მეთოდისა იყო ხალხური გადმოცემების გავრცელების გზების დადგენა. გეოგრაფიულ-ისტორიული მეთოდი თავისი ბუნებით დიფუზიონისტურია.

ფინურმა სკოლამ, თავისი თანამედროვე სამეცნიერო აზრის გათვალისწინებით, ფართოდ დანერგა ახალი სამუშაო მეთოდი: გადმოცემისა თუ სიმღერის გარკვეული ტიპი ერთ კონკრეტულ ადგილას წარმოიშვა (მონოგრაფიისი) და გავრცელების შედეგად სხვადასხვა სახე მიიღო (დიფუზია). გეოგრაფიულ-ისტორიული მეთოდის მიზანი იყო:

- 1) არქეტიპის პოვნა – ხალხური მოთხრობის ნინარე ფორმა, რომლიდანაც ყველა სხვა ვარიანტი მომდინარეობდა;
- 2) წარმოშობის ადგილის განსაზღვრა;
- 3) ადგილობრივი გადამუშავებებისა და მათი ურთიერთკავშირის შესწავლა;
- 4) ხალხური გადმოცემის გავრცელების გზების აღწერა.

სამუშაო მეთოდი გულისხმობდა:

- 1) შეკრებილი გადმოცემების ჩანერის ადგილის მიხედვით და-ლაგებას, რის მიხედვითაც გეოგრაფიულად კლასიფიცირდებოდა;
- 2) ლიტერატურული წყაროები შეკრებილ მასალას ისტორიულ კლასიფიკაციაში ეხმარებოდა;
- 3) ანალიზი კეთდებოდა გადმოცემათა ძირითადი შემადგენელი ნაწილების დაყოფის შემდეგ და ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ შედარებულიყო ვარიანტთა ცალკეული ნიშნები, პერსონაჟები, საგნები, მოქმედებები და სხვა.

გეოგრაფიულ-ისტორიული მეთოდი ფოკუსირებულია ხალ-ხურ მოთხრობათა ისტორიულობაზე. მითოლოგიური სპეციალ-ციებისგან განსხვავებით, ამ მეთოდით მკვლევართათვის ზეპირი გადმოცემის უძველესი დროით დათარიღება კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ პასუხის გაცემა უფრო კონკრეტულ კითხვებზე. ამისთვის ლიტერატურული წყაროები განსაკუთრებულ როლს თამაშობს.

შვედმა ფოლკლორისტმა კარლ ვილჰელმ ფონ სიდოვმა (1878-1952) შექმნა ცნება „ოიქოტიპი“, რაც ბოტანიკის ტერმინოლოგი-ით აღნიშნავს გენეტიკურ სახეცვალებას მცენარისა, რომელიც შეეგუა გარკვეულ გარემოს ბუნებრივი სელექციის შედეგად და ამრიგად გამოეყო თავისი სახეობის სხვა ნიმუშებს. ფოლკლორში ეს ტერმინი აღნიშნავს კუთხური თავისებურებების მქონე ხალ-ხურ სიმღერებს, ანდაზებს, ზღაპრებს და სხვა უანრებს, რომლებიც ლოკალურ გეოგრაფიულ ან კულტურულ გარემოში გვხვდება.

მთელი XX საუკუნის განმავლობაში გეოგრაფიულ-ისტო-რიული მეთოდი ხალხური შემოქმედების შემსწავლელ მეცნიერებებში ყველაზე ავტორიტეტული და პოპულარული იყო და დღემდე აქტუალურია.

სიუჟეტთა საერთაშორისო საძიებლის შედგენა 1910 წლიდან დაიწყო და 2004 წლამდე რამდენჯერმე გადამუშავდა. ევროპა-ში გავრცელებულ ზღაპართა ტიპებისათვის ანტი აარნეს მიერ შედგენილი სიტემა (Aarne, 1910) სტიტ თომპსონმა გაზარდა და ორი გამოცემა მოამზადა (Aarne, 1928; Aarne – Thompson, 1961).



სტით თომპსონი (1885-1976)



არნე (1867-1925)

ცალკე გაკეთდა საძიებელი მოტივებისთვის (Thompson, 1975), რომელიც დიდ სამსახურს უწევს ისტორიულ-კომპარატივისტულად ორიენტირებულ ფოლკლორისტიკას და, საერთოდ, ყოველგვარი ხალხური გადმოცემის ფართო მასშტაბით კვლევას.

2004 წელს ჰელსინკის მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორისტთა კავშირმა გამოსცა ზღაპრის ტიპთა ახალი საერთაშორისო კატალოგი სამ ტომად, სახელწოდებით *The Types of International Folktales. A Classification and obstinate Bibliography*. კატალოგის ბაზისს შეადგენდა აარნე-თომპსონის საძიებელი, რომელიც გადაამუშავა და სრულყო გერმანელმა ფოლკლორისტმა ჰანს-იორგ უთერმა. მას შემდეგ სამეცნიერო მიმოქცევაში ზღაპრის კატალოგი მითითებულია შემოკლებით ATU (Aarne-Thompson-Uther).

საერთაშორისო კატალოგში ხალხური თხრობითი სიუჟეტები შემდეგნაირად არის კლასიფიცირებული:

ცხოველთა ეპოსი

- გარეული ცხოველები 1-99
მოხერხებული მელია (სხვა ცხოველები) 1-69
სხვა გარეული ცხოველები 70-99
- გარეული ცხოველები და შინაური ცხოველები 100-149

- გარეული ცხოველები და ადამიანები 150-199
- შინაური ცხოველები 200-219
- სხვა ცხოველები და საგნები 220-299

ჯადოსნური ზღაპრები

- ზებუნებრივი მოწინააღმდეგე 300-399
- ზებუნებრივი ან მოჯადოებული ცოლი (ქმარი) ან სხვა ახლო-ბელი 400-459
ცოლი 400-424
ქმარი 425-449
ძმა ან და 450-459
- ჯადოსნური საგნები 460-499
- ჯადოსნური შემწევები 500-559
- ჯადოსნური საგნები 560-649
- ჯადოსნური ძალა ან ცოდნა 650-699
- სხვა ზღაპრები ჯადოსნობაზე 700-749

რელიგიური ზღაპრები

- ღმერთის წყალობა ან სასჯელი 750-779
- სიმართლე გაცხადდება 780-799
- ცა 800-809
- ეშმაკი 810-829
- სხვა რელიგიური ზღაპრები 827-849

რეალისტური ზღაპრები (ნოველები)

- ქორწინება მეფის ასულზე 850-869
- ქორწინება უფლისნულზე 870-879
- ერთგულებისა და პატიოსნების გამოცდა 880-899
- ჭირვეული ცოლის მორჯულება 900-909
- კეთილი რჩევები 910-919
- მოხერხებული საქციელი და სიტყვები
- ზღაპრები ბედისწერაზე 930-949
- ყაჩალები და მკვლელები 950-969
- სხვა რეალისტური ზღაპრები 970-999

ზღაპრები ბრიყვა გოლიათზე

- შრომითი ხელშეკრულება 1000-1029
- კაცისა და გოლიათის თანამშრომლობა 1030-1059
- შეჯიბრი კაცსა და გოლიათს შორის 1060-1114
- კაცი კლავს (ჭრის) გოლიათს 1115-1144
- კაცი აშინებს გოლიათს 1145-1154
- კაცი ამარცხებს ეშმაკს 1155-1169
- სულის ხსნა ეშმაკისგან 1170-1199

ანეკდოტები და ხუმრობები

- ამბები ბრიყვზე 1200-1349
- ამბები ცოლ-ქმარზე 1350-1439
სულელი ცოლი და მისი ქმარი 1380-1404
სულელი ქმარი და მისი ცოლი 1405-1429
სულელი წყვილი 1430-1439
- ამბები ქალზე 1440-1524
ცოლის ძებნა 1450-1474
ანეკდოტები შინაბერებზე 1475-1499
სხვა ისტორიები ქალებზე 1500-1524
- ამბები კაცზე 1525-1724
მოხერხებული კაცი 1525-1639
ილბლიანი შემთხვევები 1640-1674
ბრიყვი კაცი 1675-1724
- ანეკდოტები სასულიერო პირებსა და რელიგიურ ფიგურებზე 1725-1849
მოტყუებული მღვდელი 1725-1774
მღვდელი და დიაკონი 1775-1799
სხვა ანეკდოტები რელიგიურ ფიგურებზე 1800-1849
- ანეკდოტები ადამიანთა სხვა ჯგუფებზე 1850-1874
Tall Tales 1875-1999

ფორმულა-ზღაპრები

- კუმულატიური ზღაპრები 2000-2100
რიცხვებზე, საგნებზე, ცხოველებზე ან სახელებზე 2000-2020
სიკვდილზე 2021-2024

საჭმელზე 2025-2028

სხვა შემთხვევებზე 2029-2075

- Catch Tales 2200-2299
- სხვა ფორმულა-ზღაპრები 2300-2399

აარნე-თომპსონ-უთერის კატალოგი არის ბიბლიოგრაფიული ცნობარი ფოლკლორული ჟანრების მრავალფეროვნების შესახებ. კატალოგი ტიპებად ყოფს და აღნუსხავს სხვადასხვა დროისა და ეთნიკური წარმოშობის სიუჟეტებს, წარმოადგენს მათ ტექსტებისა და ლიტერატურის მითოთებით და ამზადებს შემდგომი კვლევისათვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფოლკლორული ნიმუშების დოკუმენტაცია ბევრ ქვეყანაში ეთნიკურ და ენობრივ რეგიონებში ერთდროულად არ მიმდინარეობს. ადრინდელ კატალოგში უმეტესად ევროპული მასალა იყო შესული. ამ ეტაპზეც იგივე მდგომარეობაა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იდეოლოგიურ ეთნოცენტრიზმს, ეს მხოლოდ ანარეკლია სიტუაციისა ფოლკლორისტული კვლევის სფეროში. უამრავმა ქვეყანამ მხოლოდ ახლა დაიწყო თავისი ფოლკლორის სისტემატიზებული დამუშავება.

ჰანს-იორგ უთერმა განაახლა და წარმოადგინა ხალხური თხრობითი ჟანრების ტიპების სრული აღნერა 2003 წლამდე არ-სებული კვლევის შედეგებითურთ. წიგნში დასახელებულია უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ლიტერატურა. მასში შედის როგორც საერთაშორისო ვარიანტების დიდი რაოდენობა, ასევე ცალკეული მონოგრაფიები თხრობით ჟანრთა ტიპებზე. წინამორბედ კატალოგში გაბნეული სხვადასხვა ტიპები, რომლებიც ერთმანეთთან შინაარსობრივ და სტრუქტურულ კავშირში იყვნენ, ერთად დალაგდა. ზოგიერთი ტიპი კი, თუ ის არავითარ დროით, ეთნიკურ და გეოგრაფიულ გავრცელებას არ ექვემდებარებოდა, საერთოდ ამოიღეს და ამ ტიპების მოძიება რეგიონალური ტიპების კატალოგების კომპეტენციაში დარჩა.

ATU კატალოგში ყოველ სიუჟეტურ ტიპს აქვს ნომერი, სახელწოდება და გადმოცემულია შინაარსი. სამეცნიერო ლიტერატურაში 100 წელზე მეტხანს გამოიყენებოდა ზღაპართა საძიებლის ტიპთა ნომრები. ეს ნომრები ახლაც იგივე დარჩა ყველა სიუჟეტური ტიპისათვის.

აარნე-თომპსონ-უთერის კატალოგში უხვად არის გამოყენებული ინფორმაცია რეგიონალური კატალოგებიდან, რომლებიც უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა და მათში ძველი კატალოგების მონაცემები შევიდა. მათ შორის არის თეიმურაზ ქურდოვანიძის მიერ შედგენილი ქართული ზღაპრის სიუჟეტთა საძიებელი, რაზეც 1970 წლიდან მუშაობდა მკვლევარი. 1976, 1983, 1988, 1996 წლებში გამოიცა თ. ქურდოვანიძის სხვადასხვა პუბლიკაცია (საძიებლები, სტატიები, მონოგრაფიები) ქართული ზღაპრების სიუჟეტური ტიპების შესახებ, 2000 წელს კი ეს საძიებელი სრული სახით გამოვიდა ინგლისურ და რუსულ ენებზე (The Index of Georgian Folktale Plot Types). ამგვარი რეგიონალური კატალოგების როლი ATU-სთვის განუსაზღვრელად დიდია. ეს, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ ისტორიულ-კომპარატივისტული მეცნიერების ფარგლებში პარადიგმულმა ურთიერთმიმართებამ სრულყოფას მიაღწია და ეს ამ ახალ კატალოგში სათანადოდ აისახა.

ფინური სკოლა დღემდე ინსტიტუციურად არსებობს. კაარლე კრონისა და აქსელ ოლრიკის მიერ 1907 წელს დაარსებული ჰელ-სინკის ფოლკლორისტთა კავშირისა გამოცემათა სერია „Folklore Fellows Communications“ (FFC) თანამშრომლობს ფოლკლორისტთა საერთაშორისო საზოგადოებასთან „International Society for Folk Narrative Research“ (ISFNR) და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „ფაბულასთან“ (Fabula. Internationale Zeitschrift für Erzählforschung).

პრაქტიკუმი:

თომპსონის მოტივთა საძიებელში მოტივთა ჯგუფების მოძიება: ბედისწერა, ჭკვიანი და ბრიყვი, ტაბუ, ჯილდო და სასჯელი, გამოცდა. მოტივთა მარკირება ხალხურ გადმოცემებსა და ზღაპრებში.

ელექტრონული ბაზები:

Thompson's Motif Index, ATU's Tale Type Index, Propp's Functions and Lévi-Strauss's Structural Analysis for folk tales found around the world

https://sites.ualberta.ca/~urban/Projects/English/Motif_Index.htm

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი folktreasury.ge

კულტურულ-ისტორიული სკოლა

XX საუკუნის დასაწყისის ეთნოლოგიაში კულტურულ-ისტორიული მოძღვრების თანახმად, კულტურის ისტორიაში ძირითად კატეგორიას შეადგენდნენ ე.წ. „კულტურული წრეები“, რომელთა მეშვეობით ვრცელდებოდა ესა თუ ის მოვლენა. საზოგადოების განვითარების მთელი პროცესი უკავშირდება ერთნაირი ან შეგავსი კულტურების გამოვლენის ერთი ცენტრიდან განვითარებას სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში. კულტურულ-ისტორიული სკოლის ყურადღება მიმართული იყო დაკვირვებაზე, თუ როგორ გადაადგილდება ადამიანი დედამიწაზე, რა გავლენა აქვს გარემოზე და როგორ ზემოქმედებს მასზე გარემო.

ფოლკლორისტები კულტურულ-ისტორიული სკოლის გამოცდილებას წარმატებით იყენებენ, რადგან კულტურული სესხების, კულტურული მსგავსების კონცეპტები ზეპირსიტყვიერების კვლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. მათი საშუალებით ფოლკლორისტმა შესაძლებელია დაადგინოს, საიდან მომდინარეობს ხალხური გადმოცემა და რა არის ვარიანტთა მრავალფეროვნების მიზეზი.

ფოლკლორისტიკაში ანთროპოლოგიიდან ნასესხებია ტერმინი „აკულტურაცია“, რაც აღნიშნავს კულტურული ლირებულებების ცვლილებების საერთო პროცესს, განსხვავებული სახისა და ინტენსივობის კონტაქტებს ხალხთა შორის და ამის შედეგად მიღებულ ცალკეულ სტადიებს. აკულტურაცია მოიცავს იმ ფენომენებს, რომლებიც მაშინ ხდება თვალსაჩინო, როცა განსხვავებულ კულტურათა ინდივიდთა ჯგუფები ხანგრძლივ უშუალო კონტაქტში არიან, რაც, საბოლოოდ, ერთ-ერთი ან ორივე ჯგუფის უძველესი კულტურის მაგალითების ცვლილებას იწვევს.

კულტურულ-ისტორიული სკოლის ორი მთავარი პოსტულატია: 1) ისტორიის ცვლილება სივრცობრივი, დროითი და მიზეზობრივი ფაქტების პარალელურად; 2) ძველი ევოლუციონისტური ეთნოლოგიის გადალახვა.

კულტურულ-ისტორიული სკოლის ძირითადი პრინციპები

- ცივილიზაციის ცალკეული ცენტრების არსებობა;
- კულტურის ელემენტები მოძრაობები საზოგადოებებსა და კულტურებს შორის;
- სხვადასხვა ხალხთა კულტურულ მოვლენათა მსგავსების მიზეზია სესხება;
- კოლექტიურის კვლევისას გასათვალისწინებელია ინდივიდუალი;
- ცივილიზაციათა შორის განსხვავებები მათი გავრცელებით იხსნება;
- ევოლუციური გზის უარყოფა.

კულტურული ღირებულებები დროთა განმავლობაში იცვლება. ღირებულებათა ცვლილებების საერთო პროცესში ხალხთა კონტაქტების შედეგად ცალკეული სტადიები იქმნება.

დიფუზია (Diffusion, ლათ. diffundere: გავრცელება) აღნიშნავს კულტურის ელემენტთა გავრცელებას სესხების ან ხეტიალის გზით ერთი რეგიონიდან მეორეში ან ერთი რეგიონის შიგნით ერთი ჯგუფიდან მეორეში. ცნება ედვარდ ტაილორის ნაშრომიდან „პირველყოფილი კულტურა“ მომდინარეობდა და ევოლუციის იდეის აღტერნატივა იყო. ის განმარტების როლს ასრულებდა კულტურული ნიშნების გავრცელებისათვის:

მონოგენეზი + დიფუზია პოლიგენეზის საპირისპიროდ + ევოლუცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დომინანტი კულტურა შექმნილია კონკრეტულ ადგილას (მონოგენეზი), მისი გავრცელება ხდება პერიფერიებზე (დიფუზია). ასეთ კულტურულ ცენტრებად მოიაზრებოდა შუმერული ცივილიზაცია, ბაბილონი, ეგვიპტე. კულტურული წრე წარმოადგენს კულტურის ელემენტთა ერთობლიობას, რომელიც დროში არ ვითარდება და მხოლოდ სხვა კულტურულ წრეებთან ურთიერთობაში არსებობს.

ცნება „დიფუზია“ ხშირ შემთხვევაში გამოიყენება იმ მნიშვნელობით, რომ კულტურის ელემენტები მოძრაობს საზოგადოებებსა და კულტურებს შორის.

ანთროპოლოგებმა დიფუზიის სინონიმად სხვა ტერმინიც გამოიყენეს. ეს არის „აკულტურაცია“ – კულტურული კონტაქტი, კულტურული ცვლილებები, ადაპტაცია, შეგუება და ასიმილაცია.

ამ ტერმინის პირველი მომხმარებლები, ამერიკის ინდიელთა კულტურის მკვლევრები, XIX საუკუნეში აკულტურაციაში გულისხმობდნენ კულტურის სესხებას. ამერიკელი ანთროპოლოგები ამ ცნებით აღნიშნავდნენ ევროპელი ემიგრანტების გავლენას ამერიკის ძირძველ მოსახლეობაზე. კულტურის ისტორიის სკოლის წარმომადგენელი გერმანელი და ავსტრიელი ეთნოლოგები, რომელთა კვლევაც მიმართული იყო კულტურის ელემენტების დიფუზიასა და წარსულში კულტურული ნასესხობების რეკონსტრუქციაზე, სიტყვა „აკულტურაციას“ იყენებდნენ „კულტურული მსგავსების“ მნიშვნელობით (Dégh, 1977: 234).

კულტურულ-ისტორიული სკოლის წინამორბედად და, ზოგადად, დიფუზიონიზმის ფუძემდებლად ითვლება ფრიდრიხ რატცელი (1844-1904), გერმანელი გეოგრაფი და ეთნოგრაფი, ანთროპოგეოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ეს სკოლა გეოგრაფიულ გარემოს საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევს. რატცელი კულტურათა სივრცობრივი გავრცელების ორ ვარიანტს უშვებდა: 1) ერთიანი კულტურული კომპლექსის სწრაფი და მთლიანი გადატანა და 2) კულტურის ცალკეული ელემენტების გადატანა ერთი ხალხიდან მეორეში ხალხის მიგრაციის გარეშე (Коккяра, 1960: 490).

რატცელის შეხედულებებმა გავლენა იქონია ეთნოლოგებზე. მდიდარი ფაქტობრივი მასალა, რომელიც რატცელს აქვს მოპოვებული სამხრეთ ევროპაში, ამერიკაში, მექსიკასა და კუბაში, ფოლკლორისტებისთვის მეტად საინტერესო იყო. რატცელის მტკიცებით, ადამიანი მჭიდროდ არის დაკავშირებული ტერიტორიასთან. ამიტომ, ეთნოლოგიასა და ფოლკლორისტიკაში გეოგრაფია გადამწყვეტ როლს ასრულებს. ამით რატცელი დაუპირისპირდა ინგლისურ ანთროპოლოგიურ სკოლას და ამყარებდა თავ-

ის თეზას, რომ ეთნოლოგიაშიც აუცილებელია ცივილიზაციათა ისტორიული კავშირების ძებნა, რომელთა შორის განსხვავებები შეიძლება მხოლოდ მათი გავრცელებით აიხსნას.

რატცელი გეოგრაფიას ისტორიასთან და ეთნოლოგიასთან აკავშირებდა, რითაც კულტურათა თავდაპირველ ფსიქოლოგიურ საფუძველს ხსნიდა. რატცელის ეს მეთოდი ფოლკლორისტებისთვისაც ნაცნობია: გეოგრაფიულ-ისტორიული სკოლა სწორედ სიუ-ჟეტთა გეოგრაფიულ გავრცელებას სწავლობს.

ფოლკლორისტებისთვის მნიშვნელოვანი იყო გერმანელი ეთნოლოგის ფრიც გრებნერის (1877-1934) თეორია კულტურული წრეების შესახებ, რომელიც მიიჩნევდა, რომ სხვა გეოგრაფიულ გარემოში კულტურის გადატანით მისი განვითარება სხვა გზით მიემართება და ძველი კულტურების ურთიერთზემოქმედების შედეგად შეიძლება მივიღოთ ახალი კულტურები.

გრებნერი ამ გზით უარყოფდა ინგლისური ანთროპოლოგიური სკოლის ევოლუციურ პრინციპებს. გრებნერის თვალსაზრისით, როცა ორი კულტურული ზონა, განსხვავებული ხასიათისა, ხვდება ერთმანეთს, ისინი ურთიერთგავლენას განიცდიან კონტაქტის ზონებში, ანდა მხოლოდ ზედაპირული შეხების წერტილი აქვთ, რაც მათ კავშირს ავლენს: „ხანდახან ცალკეული კულტურული ელემენტები გარკვეულ ზონაში ორგანულ, სრულიად ერთგვაროვან შეხამებას ქმნიან, სადაც სხვა კერძო ზონებთან მსგავსების ნიშნები ადვილად ამოიცნობა. სხვა შემთხვევებში კი ზოგიერთი კულტურული ელემენტები, რომლებიც არ არიან ერთმანეთთან კავშირში, მეტ-ნაკლებად, განსხვავებულ ზონებში მჭიდრო კავშირში ჩანან. ეს ნიშნავს, რომ აქ ლაპარაკია უფრო ძველ კულტურულ წრეებზე“ (Коккяра, 1960: 495).

კულტურული წრეების თეორიამ ხელი შეუწყო ფოლკლორისტიკაში კარგა ხნის წინ აღმოჩენილი ფაქტის დადგენას, რომ ესა თუ ის წეს-ჩვეულება შეიძლება ერთ ცივილიზაციაში ანიმისტური ხასიათისა იყოს, მეორეში – ტოტემისტური, მესამეში – მაგიური და მეოთხეში კი – სრულიად სხვა.

დიფუზიონისტურ თეორიასთან შეხებით ანთროპოლოგიურ-მა თეორიამ უკან დაიხია და დიფუზიით ახსნა ხალხური გადმო-

ცემების ცალკეული კომპონენტი, რასაც ადრე ხალხების მსგავს განვითარებას მიაწერდა.

ეთნოლოგებისა და ანთროპოლოგების გამოცდილების გაზიარებით, ფოლკლორისტული კვლევები გაფართოვდა ეთნიკურობის, ინტერეთნიკური ურთიერთობების, კულტურული ტრანსფერის, პოლიეთნიკურ თანამედროვე საზოგადოებებზე ფოკუსირებით. თუ XIX საუკუნის ფოლკლორისტიკა ორიენტირებული იყო უძველესი მემკვიდრეობის არქაული ფენების აღმოჩენაზე, XX საუკუნეში კულტურულ წრეთა თეორიამ და აკულტურაციის ცნებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფოლკლორისტიკის ახალი მიმართულების განვითარებაზე. ყურადღება მიიპყრო ისეთმა საკითხებმა, როგორიც არის:

- ნაციონალურ ფოლკლორზე ეროვნულ უმცირესობათა ფოლკლორის გავლენა;
- პოლიეთნიკური რეგიონები და კონტაქტის ზონები;
- სხვა ეთნიკურ სივრცეში გადასახლებული ჯგუფები;
- ადაპტაციის და აკულტურაციის პროცესი;
- ცვლილება ხეტიალის შედეგად და სხვ. (Dégh 1977: 235).

დიფუზიონისტური აკულტურაციის თეორიას ფოლკლორისტები იყენებენ სიუჟეტთა ტიპების გავრცელების არეალის დასადგენად. მაგალითად, გრებნერის კულტურული წრის თეორიაზე დაყრდნობით აღწერა სტილ თომშვილმა ევროპისა და აზიის საზღაპრო ეპოსი და ზღაპრებით მიჰყვა მათი ცვლილებების კვალს ინდონეზიაში, აფრიკასა და ჩრდილოამერიკაში. რიჩარდ დორსონმა ერთმანეთისგან განასხვავა დიფუზია (ცალკეულ მოთხრობათა ხეტიალი) და აკულტურაცია. დორსონმა დიფუზია დაარქვა ცალკეულ გადმოცემათა მოძრაობას ერთი ადგილიდან მეორეში, ხოლო აკულტურაცია – პროცესს, როცა ხალხთა ჯგუფები თავიანთი თხრობითი საუნჯით მოგზაურობენ. დორსონმა დააკონკრეტა ტერმინი „აკულტურაცია“ და დაიყვანა ემიგრანტ გლეხებამდე, რომლებსაც თავიანთი მოთხრობები სხვა კონტინენტზე მიჰქონდათ, განსაკუთრებით, ამერიკაში (Dorson, 1964: 466).

ზოგადად, გეოგრაფიულ-ისტორიული მეთოდით დამუშავებული ზღაპრის ტიპთა მონოგრაფიები დიფუზიონისტური აკულტურაციის კონცეპტს შეესაბამება.

აკულტურაციის პოზიციიდან ხალხური გადმოცემები ორი არსებითი მიმართულებით შეისწავლება:

1) ეთნიკური გავლენის შედეგად მიღებულ ცვლილებაზე დაკვირვება ცალკეული ტექსტის მაგალითზე;

2) ეთნიკური ჯგუფების თხრობითი რეპერტუარის ანალიზი განსხვავებულ ეთნიკურ და სოციალურ გარემოში.

ორივე მიმართულებას შეუძლია აკულტურაციის პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტების გამომჟღავნება.

ფოლკლორზე ეთნიკური გავლენების შესასწავლად საჭიროა:

- ცალკეული ან ერთმანეთთან დაკავშირებული ფოლკლორული ტექსტების რეგიონალური და ეთნიკური ვარიანტების აღნუსხვა;
- პოლიეთნიკურ საზოგადოებაში ორენოვანი მთხრობლის მიერ გადმოცემულ ზღაპარზე დაკვირვება საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს ნაციონალური თავისებურებები;
- სიუჟეტის ახალი ინტერპრეტაციების ანალიზი წარმატებით გამოიყენება კულტურული საზღვრების გადაკვეთის წერტილების დადგენისთვის. ამის გარდა, საინტერესოა განსაკუთრებული ქვეუანრების აგებულება ახალ კულტურულ კონტექსტში (მაგალითად, რასისტული და ეთნიკური ანეკდოტები).

კონტრეტულ ეთნიკურ გარემოში მყოფი განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის თხრობითი რეპერტუარის შესწავლისთვის მნიშვნელოვანია:

- ვარიაციულობა;
- რეგიონალური დიალექტური ტექსტების ანალიზი;
- თხრობითი სიუჟეტების შედარებები სასაზღვრო რეგიონებში;
- ეროვნული უმცირესობების რეპერტუარის კვლევა.

ბოლო ხანებში, მიგრანტთა ფოლკლორის შესწავლით ფართო პერსპექტივა გაიშალა აკულტურაციის საკვლევად.

ფოლკლორისტიკაში კულტურულ-ისტორიული სკოლის მე-თოდების დამსახურებაა, რომ XX საუკუნეში მეცნიერებმა აღი-არეს ფოლკლორის პოლიგენუზისი. ეს იყო ორი თეორიის კომპი-ნაცია: მონოგენეზისისა და დიფუზიისა, პროცესებისა, რომლე-ბშიც კულტურული ფენომენი ერთი ინდივიდუმიდან მეორეში, ერთი კულტურიდან სხვაში გადადის. ამ თვალსაზრისის თანახ-მად, ცალკეული მითი ან გამოცანა დამოუკიდებლად კი არ გაჩნ-და სხვადასხვა ადგილას, სადაც მითი და გამოცანა მოიპოვება, არამედ ფოლკლორული ნაწარმოები ერთგან დაიბადა, ან შეიძლე-ბა რამდენიმე ადგილზეც, შემდგომ კი დიფუზიის შედეგად სხვა მხარეებში გავრცელდა. დიფუზიონისტების არგუმენტია ის, რომ ნაწარმოები კომპლექსურია და არა მარტივი (თუმცა საკითხავია, რამდენად მარტივია მარტივი?) და თუ განუწყვეტელი გავრცე-ლებაა A და B პუნქტებს შორის, ნაწარმოები A ან B ადგილას დი-ფუზიის შედეგია და არა დამოუკიდებელი წარმოშობისა (Dundes, 1964: 54). დიფუზიის თეორიას არ სჭირდება ფსიქიკური ერთეუ-ლის იდეა. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი კითხვები, რომელ-საც დიფუზიონისტები პასუხს ვერ უძებნიან, არის:

რატომ ითავისებენ განსხვავებული კულტურები ერთსა და იმავე ნასესხებ მითსა თუ გამოცანას? რაზეა დამოკიდებული მათი ადაპტაცია ამა თუ იმ გარემოში?

სადისკუსიოდ:

ირაკლი სურგულაძის წერილი „ეთნოკულტურა და ეთნოსთა ამბოხი ეროვნულ ისტორიაში“ წიგნში:

სურგულაძე, ირაკლი: მითოსი, კულტი, რიტუალი საქართვე-ლოში. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2003, გვ. 212-214.

ლუდუშაური, თინათინ. კულტურის სივრცობრივი გადაად-გილების თეორია ანთროპოლოგიაში. კრებულში: ანთროპო-ლოგია – მომავლის მეცნიერება?! სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, 2008, გვ. 162-176.

„ჩაძირული კულტურა“

XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთევროპელ მეცნიერთა შორის ხშირად მიმდინარეობდა დისკუსია ხალხური სიმღერების შექმნის პერიოდის შესახებ. XIX საუკუნის ევროპაში გავრცელებული ხალხური სიმღერების უმეტესობას პირველწყარო ეძებნება უფრო ადრინდელ ბეჭდურ გამოცემებში. ფრანგულ „მეორე რიტორიკის ხელოვნებაში“ ეს სიმღერები „სოფლური რითმების“ სახელით იწოდებოდა (Davenson, 1944: 22).

XV-XVI საუკუნეებში წარმოშობილი „ხალხური“ სიმღერების პირველი კრებულები განათლებული მოყვარულების შედგენილი იყო. ლიტერატურულმა სიუჟეტებმა შემდგომ გლეხურ გადმოცემებში გადაინაცვლა. მწერალთა ან რედაქტორთა მიერ გადამუშავებული სიმღერები ლიტერატურული გზით ხელახლა უბრუნდებოდა ხალხს და ახალი გარიანტებიც ჩნდებოდა. ამის საფუძველზე წარმოშვა ჰანს ნაუმანის „ორი ფენის თეორია“, რომელშიც მან თავისი აღმოჩენა დააფიქსირა: ხალხური საუნჯე ზედა ფენაში შეიქმნა და ის ჩაძირული კულტურული განძია (Naumann, 1922: 5). თვით იმ სიმღერებსაც, რომელთა „დაბალ ფენაში“ წარმოშობა ეჭვს არ ბადებს, ანუ იმ ნაწარმოებებს, რომლებიც კოლექტიურად ასიმილირებულია ტრადიციულ საზოგადოებაში, ნაუმანმა თავისი თეზა მოარგო: მათი სტილი ორიენტირებულია მაღალი კულტურის, ჰოხე კულტურის ადრინდელ ეპოქაზე და სინამდვილეში საქმე დაბალ გემოვნებასთან გვაქვს (Naumann, 1921: 175).

ჰანს ნაუმანი (1886-1951) ჩაძირულ კულტურად მიიჩნევდა იმ ფოლკლორულ ქმნილებებს, რომლებიც სტილიზებული იყო ხალხური პოეტიკის მიხედვით.

„ჩაძირული კულტურის“ ძირითადი დებულება

ხალხური გადმოცემის საწყისი უნდა ვეძიოთ განათლებულ საზოგადოებაში, რომლის მეშვეობითაც არის გავრცელებული წერა-კითხვის არმცოდნე ხალხში.

ნაუმანის ტერმინი „ჩაძირვა“ არ ნიშნავდა დაკნინების ან რღვევის პროცესს. ჩაძირვა მიანიშნებდა იმას, რომ „მაღალი კულტურა“ განტოტებას პოულობდა პრიმიტიულ საზოგადოებაში. საქმე გვაქვს აგრეთვე ცირკულაციასთან, რომელშიც ქვემოდან ზემოთ მოძრაობაც საყურადღებოა: ხალხური მოტივების გამოყენება ლიტერატურაში. ნაუმანი აღიარებდა პრიმიტიული საზოგადოების კულტურულ საგანძურსაც, უნივერსალურს, რომელიც დიფერენცირებულად არის განლაგებული ცალკეულ კულტურებში.

განსხვავებები „მაღალ“ და „დაბალ“ კულტურებს შორის ნაუმანს თქმულებისა და ზღაპრის მაგალითზე აქვს ნაჩვენები: თქმულება უფრო პრიმიტიულია, ის არ მოდის „ზედა კულტურის“ რომელიმე ინსტანციიდან. მაგრამ ზღაპარშიც არსებობს პრიმიტიული საზოგადოების კულტურული საგანძური, სახელდობრ, ზღაპრის მოტივები. მსგავსი აზროვნებიდან, რწმენიდან, ჩვეულებიდან, სიზმრებიდან, ფანტაზიებიდან და პრიმიტიული ცხოვრების მარტივი და ბუნებრივი მდგომარეობიდან მსგავს პრიმიტიულ მოთხოვნათა მოტივები წარმოიშობა.

ამ მოსაზრებით ნაუმანი დაუპირისპირდა ზღაპრისა და თქმულების მითოლოგიურ ინტერპრეტაციას. ხალხური გადმოცემა და მისი მოტივები მითოსის ნამსხვრევი არ არის. ნაუმანმა ხალხური გადმოცემა გამოთიშა ავტონომიური სფეროდან – ხალხური კულტურული ტრადიციიდან, იმ ტრადიციიდან, რომელიც უწყვეტად გრძელდება. სამაგიეროდ, მისი დამსახურებით, ბიძგი მიეცა ზღაპრისა და ლიტერატურის ურთიერთმიმართების შესწავლას.

„ჩაძირული კულტურის“ ცნებამ საკმაოდ დიდი გავლენა იქონია XX საუკუნის პირველი ნახევრის ევროპულ მეცნიერებაზე. ნაუმანის თეზა გადაიქცა ელიტარულ, არისტოკრატულ თეორიად. ნაუმანის ტერმინი „ხალხურობა“ დემოკრატიიდან იწყება, გაივლის განათლებული არისტოკრატიის აღიარების ეტაპს და შემოქმედებით ინდივიდუალობამდე მიდის, ინდივიდუალობამდე, რომელსაც ხელში კულტურის განვითარების სადაცები უჭირავს. ნაუმანი ერთმანეთისგან მიჯნავს ცნებებს „არქეტიპი“ და „პრიმიტიული“. პრიმიტიულს, ერთი მხრივ, ბავშვური სისადავე

მიეწერება, მეორე მხრივ, ნაუმანი „პრიმიტიული საზოგადოების ცხოვრების“ დახასიათებისას ოპერირებს საეჭვო შედარებებით ცხოველთა სამყაროდან, რომელიც დომინანტი სოციალური ფენის მაღალ შეფასებას და პატივისცემას ამტკიცებს.

ნაუმანი კულტურული განვითარების მამოძრავებელ ძალებს მიაწერს მხოლოდ პიროვნულობას, სინდისსა და სულს. იგი იდეალისტური საფუძვლებიდან ამოდის:

„ყოველივე ხალხური (volkstümliche), როგორი ლამაზი და სანდოც არ უნდა იყოს, განეკუთვნება დათრგუნვილს (Überwunden) და ჩაძირულს (Versunken); მაგრამ პრიმიტიული საზოგადოების კულტურის საგანძურიდან მოდის საოცრად ქორფა (köstlich-frische), ბუნებრივად ახალგაზრდა, მარადმზარდი ძალა. სული მასაზე მაღლა დგას და საზოგადოებასთან წინააღმდეგობაში წარმატებას აღწევს მხოლოდ პიროვნულობა, სინდისი და სული, რომლებიც მაღალი ფენის პროდუქტია და მათაც მაღალ ფენად აქცევს. პიროვნული წარმოადგენს მაღალი ფენის თვისებას, მაგრამ მისი ფესვები უეჭველად პრიმიტიულ საზოგადოებაში ძევს, რომლებიც მისი მარადიული, ღრმა და ძლიერი საყრდენია“ (Naumann, 1922: 6).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნაუმანის თეორიის საკითხთა უმეტესობა უარყოფითად შეფასდა (Bausinger, 1987: 1216). გერმანელი ფოლკლორისტების პოზიციიდან, მისი თეორია ისტორიულ-დიალექტიკურად მცდარია, მაგრამ თავად დაკვირვების ობიექტი – გერმანული ხალხური პოეზია – მართლაც იძლევა საფუძველს, რომ გაჩნდეს ვარაუდი, რომლის მიხედვით, ხალხური საუნჯე ე.წ. მაღალ ფენაში შეიქმნა. გერმანული ლიტერატურული წყაროები ფოლკლორულ წყაროებზე ბევრად ადრინდელია. ლიტერატურულ-ფოლკლორული ურთიერთობების დროს გასათვალისწინებელია შემოქმედებითი მომენტი: „მაღალ“ და „დაბალ“ ფენებს შორის ზეპირი გადმოცემების მიმოსვლა – ლიტერატურული სიუჟეტის გახალხურება და ხალხური სიუჟეტის ლიტერატურულად დამუშავება.

ნაუმანის თეორია შეიცავს ელემენტებს, რომელთა მანიპულირებით ადვილად შეიძლებოდა იდეოლოგიური პროვოკაცია ნა-

ციონალ-სოციალისტური რეჟიმის დროს (Assion, 1994: 44). წიგნში „გერმანების ბედისწერის რწმენა“ (1934) ნაუმანი წერს:

„რაც ამა თუ იმ ხალხის ღმერთების სახეებში ცოცხლობს, ყოველთვის არის ფორმირება იმისა, რაც შექმნა ნაციონალურმა სულმა, იქნებოდა ეს სასულიერო პირი თუ ხელოვანი, პოეტი თუ წინასწარმეტყველი. რა არის იმაზე უფრო გერმანული, ვიდრე დიურერი, ან იმაზე უფრო ბერძნული, ვიდრე პომეროსი, ან, ჩვენს თემას რაც შეეხება: უფრო გერმანიული, ვიდრე ედა? ხალხურობა (Volkstum), როგორც ჩვენ მას სიღრმისეულად ვაცნობიერებთ დღეს, არ არის დაბალი ფენის უპირატესობა. ნაციონალური სულის (Volkheit) უკეთოლშობილესი წარმომადგენლები არიან მისი ნამდვილი მატარებლები, ისინი ნებისმიერი ფენიდან შეიძლება იყვნენ. „ყველა ბერძენი პართენონს ვერ შექმნიდა, – თქვა ნიურნბერგში ფიურერმა, – მაგრამ როცა ის შექმნა ერთმა, ყველა დანარჩენი მიხვდა, თუ რა ბერძნული იყო ის...“ ყველა განათლებული ადამიანი შეიძლება არ იყოს ხალხური ძალის (völkische Urkraft) მქონე და არ ქმნიდეს ტრადიციულს, მაგრამ ძველი პოეტები სწორედ ამ ხალხური ძალით არიან სავსე. სწორედ ისინი არიან მისი სხეულის ნაწილები, განძიც და მცველებიც. ედაზე არ შეიძლება ითქვას: ცარიელი პოეზია და არა რელიგია! მაშინ ხომ ჰილდეგარდისა და თეზევსის, ან ოდინისა და ზევსის მნიშვნელობას დავაკინიხებდით მათი ხალხის ნაციონალური იდეების საგანძურში. სისხლხორცეული და ორგანული პოეტური ნანარმოები, როგორიც ედაა, ყველა შემთხვევაში ეროვნული სულის გამოხატულებაა. პოეტის „გამონაგონს“ მანამდე არა აქვს წონა, სანამ გამონაგონი სისხლიდან და ხორციდან არ წამოვა, სანამ პოეტი ხალხურობის (Volkstums) ხმა, მატარებელი და წინამძღვრი არ გახდება. ამის შემდეგ ხდება ჩვენთვის მათი ქმნილებები ძვირფასი, როგორც ჭეშმარიტი წყაროდან მომდინარე (Naumann, 1934: 10-11).

ჰანს ნაუმანი გაუკრიტიკებლად არ მოიხსენიება სამეცნიერო ლიტერატურაში. ყველაზე აქტიურად ნაუმანი მარქსისტულად განწყობილმა ფოლკლორისტებმა გააკრიტიკეს. ნაციონალ-სოციალისტებს ნაუმანი მოსწონდათ, მაგრამ მოგვიანებით მის წიგნებს განადგურების განარჩენი გამოუტანეს.

სადისკუსიოდ:

„ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ხალხური საგმირო პოეზია
წიგნში:

სიხარულიძე, ქსენია: ქართველი მწერლები და ხალხური შემო-
ქმედება. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

ინკვირველი, ეთერ: ბიბლიური ამბები ხალხურ ტრადიციაში.
თბილისი: „მერიდიანი“, 2017.

II ნაწილი

აღმოჩენისა და ტექსტის
ანალიზის მეთოდები



საველე კვლევა

ფოლკლორისტის ისტორიაში, ყველა ეპოქაში აქტუალური იყო ტექსტის აღმოჩენა და ფიქსაცია. XX საუკუნემდე ფოლკლორული მასალა წერილობით ფორმაში იყო მოქცეული, შემდეგ კი არქივები აუდიო და ვიდეოჩანანერებითაც გამდიდრდა. ტექსტის მოპოვება ნებისმიერ ბუნებრივ გარემოში არის შესაძლებელი, სადაც ფოლკლორის მატარებელი საზოგადოება არსებობს. ძველი მასალებისთვის კი დამხმარე დისციპლინაა ისტორიული წყაროთ-მცოდნეობა.

საველე კვლევის მიზანი

გარკვეულ დროსა და სივრცეში რაც შეიძლება მეტი ტექსტის მოპოვება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- მთხრობელი
- ადგილი
- დრო
- გარემო ენა
- კონტექსტი

XIX საუკუნეში ფოლკლორული მასალის შეკრება საქართველოში, ძირითადად, პირად ინიციატივასთან იყო დაკავშირებული და მოხალისეებიც გატაცებით აგროვებდნენ ეროვნული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. ინდივიდუალური შემკრებლები სრულიად უსასყიდლოდ მოგზაურობდნენ სხვადასხვა კუთხეში, მთხრობელებისა და მეგზურების დახმარებით აკეთებდნენ ჩანაწერებს, შიფრავდნენ, აქვეყნებდნენ პერიოდულ პრესაში. შემკრებლობით საქმიანობაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ქართველ საზოგადო მოღვაწეებს: რაფიელ ერისთავს, აკაკი წერეთელს, პეტრე უმიკაშვილს, თედო რაზიკაშვილს, ალექსანდრე ყაზბეგს,

იაკობ გოგებაშვილს, ვაჟა-ფშაველას, ექვთიმე თაყაიშვილს, აკაკი შანიძეს

1882 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა პროგრამა ფოლკლორული მასალის შეკრებისთვის. მისი ავტორები იაკობ გოგებაშვილი და პეტრე უმიკაშვილი იყვნენ. პროგრამის ძირითადი პრინციპი იყო ფოლკლორული ნიმუშის ზუსტი ჩაწერა და სტილიზაციის გარეშე დაბეჭდვა, მთხოობელთა მოქებას სხვადასხვა ადგილას, მთქმელთა შესახებ ცნობების ფიქსაცია:

„უკეთესი იქნება დამწერმა სახალხო ლექსების, ზღაპრების და სხვა თქმულებების მცოდნე მოსახებნოს სოფლის ენამეტყველ კაცებში, მწყემსებში, მესტვირეებში და მეფანდურეებში. ამათში უფრო მდიდარი მასალა მოიპოვება. აგრეთვე ძალიან საჭიროა ვი-ცოდეთ, რომ ბევრი სიტყვიერი ნაწარმოები, მეტადრე ზღაპრები, შელოცვა, ძველებური ლექსები, ლეგენდები დედაკაცებმა უფრო უკეთესად იციან მამაკაცებზედ და უფრო მათ უნდა ვკითხოთ“ (ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება 1960: 140).

იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებულად აფასებდა ქალების როლს ფოლკლორული რეპერტუარის მრავალფეროვნებაში:

„საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ჩვენ ექვსი თვის გამავლობაში ერთსა და იმავე სოფელში იმოდენა ხალხის ნაწარმოები შევკრიბეთ, ეს მოხდა იმის გამო, რომ უმთავრესად პატარძლებს მივმართავდით ხოლმე. [...] ისინი არიან გამოთხოვილნი სხვადასხვა სოფლებიდან, სხვადასხვა კუთხიდან, იციან სხვადასხვა ლექსები და ზღაპრები და მდიდარს სალაროს ხალხური პოეზიისას წარმოადგენენ“ (იქვე: 140).

1887 წელს ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ზეპირსიტყვიერი და ეთნოგრაფიული მასალის შეკრების ახალ ეტაპზე გადასვლის, მათი მეცნიერულად შესწავლის საკითხი დასვა: „სახალხო პოეზია კარგია, მაგრამ როცა მარტო იმისი შეკრება იზიდავს მთელის ინტელიგენციის ყურადღებას, როცა ეს შეკრება „მოდად“ ხდება, მაშინ საჭიროა, რომ სხვა საგნებისაკენაც მიიხედოს განათლებულმა საზოგადოებამ. საჭიროა,

რომ ჩვენმა ნასწავლმა საზოგადოებამ ერთად თავი მოიყაროს, მოილაპარაკოს, ასწონ-დასწონოს ყოველიფერი ამ საგნის შესახებ და პროგრამა შეადგინოს ხალხის ზნე-ჩვეულებათა შესწავლისათვის. თუ ყველგან ამას მისდევენ, განა ჩვენ-თვის კი დრო არ არის?“ (ჭავჭავაძე, 1987: 164).

პროფესიონალ ფოლკლორისტთა ექსპედიციები წინასწარ შემუშავებული მარშრუტებითა და გეგმით XX საუკუნეში დაიწყო.

1901 წელს კომპოზიტორისა და მუსიკისმცოდნე-ეთნოგრაფის, დიმიტრი არაყიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა პირველი სამუსიკო ფოლკლორული ექსპედიცია საქართველოში. ამით საფუძველი ჩაეყარა მუსიკალურ ფოლკლორისტიკას. ამ და მომდევნო ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში 1908 წლამდე დავით სარაჯიშვილი აფინანსებდა.

1930 წელს ვახტანგ კოტეტიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი ფოლკლორული ექსპედიცია სამცხე-ჯავახეთში, 1933 წელს – ატენის ხეობაში, 1934 წელს – თეძმისა და ალგეთის ხეობებში.

ვახტანგ კოტეტიშვილის მოთავეობით 1932 წელს საქართველოს მუზეუმთან დაარსდა ფოლკლორული განყოფილება, რომლის ბაზაზეც შემდგომ შოთა რუსთაველის სახელო-



დიმიტრი არაყიშვილი
(1853-1953)



ვახტანგ კოტეტიშვილი
(1893-1937)

ბის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება და არქივი შეიქმნა. საქართველოს საარქივო ფონდებში დაცული ფოლკლორული მასალა მოპოვებულია მრავალრიცხოვანი საველე სამუშაოების, საექსპედიციო გასვლებისა და ინდივიდუალური მივლინებების შედეგად.

მასალების შეკრება-ფიქსაცია, ძირითადად, შემდეგი პრინციპებით ხდებოდა:

- 1) სამუშაო ადგილის შერჩევა. რომელი კუთხე, სოფელი, ქარხანა, ფაბრიკა და სხვ. უნდა შევისწავლოთ პირველ რიგში და რომელი შემდეგ? შერჩევისას გასათვალისწინებელია, იყო თუ არა იქ ადრე ჩაწერილი რამე მასალა, შემდეგ კი ადგილობრივად შემოწმდეს იმ ჩანაწერების სიზუსტე, აღინუსხოს ცვლილებები, რომლებიც ზეპირსიტყვიერებაში მოხდა პირველი ჩაწერიდან. ადგილის შერჩევისას მხედველობაში მისაღებია აგრეთვე წელიწადის დრო: რა სეზონური სამუშაოები ტარდება, იქნება თუ არა მთემელი თავისუფალი იმ დროს.
- 2) ექსპედიციის დეტალური მარშრუტი. მარშრუტის შესაბამისად უნდა განაწილდეს დრო, რომელიც ექსპედიციის წევრებს აქვთ ამოცანის შესასრულებლად.
- 3) მთემელის მოძებნა და მასთან სამუშაო გარემოს შექმნა. მთემელების გამოსავლენად ექსპედიციის წევრებისთვის დახმარების გაწევა შეუძლიათ ადგილობრივ მასწავლებლებს და მოსწავლეებს.
- 4) მთემელთა აღნუსხვა და თითოეულ მათგანთან გასაუბრება, მათი თანხმობის მოპოვება. არ შეიძლება მათი უქმად მოცდენა, სამუშაო დროის განმავლობაში იმდენი მთემელი უნდა იყოს, რამდენიც ჩამწერი ჯგუფია.
- 5) ზოგიერთ საზოგადოებაში, სადაც ქალებს შედარებით ჩაკეტილი წრე აქვთ, ქალ მთემელებთან კომუნიკაციას ექსპედიციის წევრი ქალები უკეთ გაართმევენ თავს.
- 6) იმ შემთხვევაში, როცა ფოლკლორული ნიმუშის ფიქსაცია წერილობით ხდებოდა, ჩამწერი ყურადღებას აქცევდა ჩა-

ნაწერის ლინგვისტურ მხარესაც. სიუჟეტის გარდა, დაცული უნდა ყოფილიყო სიტყვიერი გამომსახველობითი საშუალებები, დეკლამაციური მომენტები, რეპლიკები, მსმენელთა მონაწილეობა. ყოველივე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო იმ ენით, როგორც მეტყველებდა მთქმელი.

- 7) ჩანაწერის დოკუმენტაცია და ფიქსაცია საველე პირობებში. ტექსტის პასპორტის სრულყოფა: 1. მთქმელის ვინაობა, ასაკი, წარმოშობა, 2. ჩანერის ადგილი, 3. ჩანერის დრო, 4. ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორია, რატომ ან რა შემთხვევის გამო შეითხზა, 5. შესრულების წესი, 6. საზოგადოებრივი ფუნქცია, 7. ჩამწერის ვინაობა.
- 8) ფოლკლორული მასალის არქივიზაცია და კაბინეტურად დამუშავება. ფოლკლორული მასალა შეიძლება ეკუთვნოდეს კერძო პირს ან ინსტიტუციას. კერძო პირის საკუთრებაში ტექსტი შეიძლება სხვადასხვა გზით მოხვდეს: საკუთარი ჩანაწერებით, მემკვიდრეობით მიღებული არქივით, ან ვინმესგან გამოგზავნილი. უმჯობესია, კერძო პირმა ფოლკლორული მასალა სამეცნიერო ცენტრს გადასცეს, რათა ხელმისაწვდომი გახადოს სპეციალისტთათვის და მასალაც შენახვის შესაბამის პირობებში აღმოჩნდეს.

ეს არის მოკლედ, სქემატურად ჩამოთვლილი პრინციპები შემკრებლობითი მუშაობისთვის, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ქართველი ფოლკლორისტები (ჩიქვანი, 1946: 466-489).

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფოლკლორისტიკის დასავლეთევროპული სკოლების ორიენტაცია ტრადიციული სიძველეთ-მცოდნეობიდან თანდათან კრიტიკულ კულტურულ ანალიზამდე და ყოფის ემპირიულ გამოკვლევამდე მივიდა. დღის წესრიგში და-დგა არა მარტო ხალხური გადმოცემის, არამედ მისი მთხრობელი-სა და თხრობის კონტექსტის შესწავლა, შესრულების ტრადიციაზე ყურადღების გამახვილება, ფოლკლორის, როგორც ცნობიერების ერთ-ერთი გამოვლინების, კვლევა.

საველე მუშაობის პრინციპები თითქმის იგივეა, ოღონდ დღე-ვანდელ დღეს თანამედროვე ტექნოლოგიებით ბევრად სრულყო-

ფილი ფიქსაციის შესაძლებლობა გვაქვს, მთავარია, ფოლკლორულ მასალას მივაგნოთ:

- 1) მიზნის განსაზღვრა;
- 2) ინტერვიუერების და რესპონდენტის შერჩევა;
- 3) მოქმედების არეალის დადგენა;
- 4) განსახილველი საგნის წინასწარ შესწავლა;
- 5) შეხვედრები და დაბრკოლებების გადალახვა: ინფორმატორის თანხმობა მასალის გამოქვეყნებაზე;
- 6) ეთიკური და იურიდიული საკითხების მოგვარება: მთხოვობელთავის ფირების და ჩანაწერების კოპირება, გამოქვეყნებული პროდუქციის ბიბლიოთეკისთვის ჩუქება და სხვ. (ტურაშვილი, 2010: 42-53).

მეტად მნიშვნელოვანია, მთქმელთან, მთხოვობელთან საუბარი ბუნებრივად, გულწრფელად წარიმართოს. თხრობის პროცესს თან ახლავს ემოცია, საჭიროა, ინტერვიუერმა იგრძნოს, რომ მისი მონათხოვი მსმენელისთვის საინტერესოა. არ არის სასურველი თხრობაში ჩარჩევა. მართალია, საველე მუშაობას თავისი წესები აქვს, მაგრამ არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ თითოეული ფოლკლორული წარმოები შესრულების მომენტში თავიდან იქმნება და ყოველი შეხვედრა მთქმელთან ახალი გამოცდილებაა.

საქართველოს ფოლკლორულ არქივებში ინახება სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი ზეპირსიტყვიერებისა და მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები: ხალხური ლექსები, თქმულებები, ზღაპრები, შელოცვები, გამოცანები, ანდაზები, ენის გასატეხები, საბავშვო თამაშობანი, ხალხური დღესასწაულები, სიმღერებისა და საგალობლების სანოტო ჩანაწერები.

ზეპირსიტყვიერი მასალის საარქივო ფონდები:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივი;
- შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი folktreasury.ge;
- საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივი.

დისკუსიისთვის:

ქართული ზეპირსიტყვიერების შემკრებთა მუშაობის პრინციპები რაფიელ ერისთავის, თედო რაზიკაშვილის, პეტრე უმიკაშვილის მიხედვით. წიგნში:

ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება. I. რედ. მიხეილ ჩიქოვანი. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.

პრაქტიკუმი:

გეგმის შედგენა ველზე მუშაობისთვის.

ფილოლოგიური მეთოდი

ფილოლოგიური მეთოდი ფოლკლორისტიკაში ყველაზე ხშირად გამოიყენება. რომელი მეთოდიც არ უნდა იყოს წარმმართველი ამა თუ იმ ფოლკლორისტის მუშაობაში, ფილოლოგიას ნებისმიერ მეთოდთან კომბინაციაში მიმართავს. ფილოლოგიის საჭიროება ყველგან თავს იჩენს, სადაც წერილობით და ზეპირად გადმოცემულ ტექსტთან გვაქვს საქმე.

ფილოლოგიური მეთოდის პრინციპები

სტრუქტურულად და სისტემურად დამუშავებული კრიტიკული ტექსტი შეიცავს:

- ტექსტის ისტორიას: გადმოცემის თანმიმდევრობა, ავტორები, გადამუშავებულები, წარმომავლობა.
- ტექსტის დამუშავებას: გრამატიკული, ლექსიკური და სემანტიკური დიფერენციაციები.
- სამეცნიერო აპარატს: კომენტარები ისტორიული და კონტექსტუალური დეტალებით.

ფილოლოგიური სამუშაო მხოლოდ წერილობით ტექსტზე შეიძლება ჩატარდეს, ანუ მას შემდეგ, რაც ზეპირი ტექსტი ჩაწერილი და ფიქსირებულია. ფოლკლორისტიკაში ცნება „ტექსტის კრიტიკა“ ნიშნავს ფილოლოგიური გამოცდილებით და პრინციპებით ავთენტიკური ტექსტის ჩვენებას. ფოლკლორული და ლიტერატურული ტექსტების დამუშავებაში რიგი განსხვავებებია.

ლიტერატურული ტექსტის ისტორიისთვის საჭიროა შემდეგი მონაცემები: გადმოცემის თანმიმდევრობა, ავტორები, გადამუშავებულები, წარმომავლობა. ტექსტის დამუშავებისთვის გამოიყენება გრამატიკული, ლექსიკური და სემანტიკური დიფერენციაციები. სამეცნიერო აპარატში მოხსენიებულია სხვა გამოცემებიც.

კომენტარები განმარტავენ ისტორიულ და კონტექსტუალურ დე-ტალებს. სტრუქტურული და სისტემური დამუშავების შედეგად დადგინდება კრიტიკული ტექსტი, რომელიც მზად არის შემდგომი სამეცნიერო კვლევისა და ინტერპრეტაციისთვის.

ლიტერატურული ტექსტისგან განსხვავებით, ზეპირსიტყვიერი ტექსტი შეიძლება იყოს ხმოვანი. დღევანდელ დღეს, ფაქტობრივად, ყველა ფოლკლორული ნიმუში ტექნიკის მეშვეობით ფიქსირდება. აუდიო და ვიდეოჩანანერებით ზეპირი ნარატივი უფრო ობიექტურად არის ასახული. რაც არ უნდა პერფორმანსზე ორიენტირებული იყოს კვლევა, ტექსტის ფილოლოგიური და-მუშავება ყველა შემთხვევაში საჭიროა, იქნება ეს გამოსაცემად მომზადება თუ არქივში დაბინავება.

საველე სამუშაო მიზნად ისახავს გარკვეულ დროსა და სივრცეში რაც შეიძლება მეტი ტექსტის მოპოვებას შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: მთხოობელი, ადგილი, დრო, გარემო, ენა (სამეტყველო ენა, დიალექტი, სალიტერატურო ენა), მონაწილეთა მოქმედება. აუდიოჩანანერი საშუალებას იძლევა, ყველა სამეტყველო და სტილისტური ნიუანსი დაფიქსირდეს. აუდიოჩანანერის წერილობით ფორმაში გადატანა ისე უნდა მოხდეს, რომ ავთენტიკურ ტექსტში სასაუბრო ენის ტიპობრივი ნიშნები და ორიგინალობა მთელი სისავსით წარმოჩნდეს. ამისთვის საჭიროა სხვადასხვა ტრანსკრიფციული სისტემის გამოყენება, რათა ენის ფონეტიკურ-ფონოლოგიური სტრუქტურა სრულად აისახოს. ანბანური ნიშნებით ზოგჯერ ბოლომდე ვერ ხერხდება ზეპირი ტექსტის წერილობით გამართვა. ხანდახან საჭირო ხდება ორთოგრაფიის დარღვევა იმისთვის, რომ ტექსტს ავთენტიკურობა შეუნარჩუნდეს. კიდევ უფრო რთულია მთხოობელის უესტიკულაციისა და მიმიკის აღნიშვნა. ტექსტი გარკვევით უნდა იკითხებოდეს, რათა სამეცნიერო ანალიზისა და საჯარო გამოქვეყნებისთვის მზად იყოს.

მაკროტექსტი შედგება ცალკეული მიკროტექსტების, განმარტებების, კომენტარებისა და მსგავსი ერთეულებისგან. მიკროტექსტს განეკუთვნება მოთხოობები, როგორიცაა თქმულება, ზღაპარი, ლეგენდა თუ ანეკდოტი (Fischer, 2002: 1008-1016). აკა-

დემიურ გამოცემაში სასურველია რამდენიმე ვარიანტის გამოქვეყნება, რათა მკვლევარს ტრადიციაზე და გავრცელებაზე დაკვირვების საშუალება ჰქონდეს.

ფოლკლორულ ტექსტთა კორპუსის გამოქვეყნებისთვის რამდენიმე პრინციპი არსებობს, რომლებსაც ეფუძნება აკადემიურ გამოცემათა ბევრი სერია:

- 1) ნიმუშები აღებულია ბუნებრივი კონტექსტიდან;
- 2) ისტორიული, სოციალური და ნარატიული კონტექსტი დოკუმენტირებულია;
- 3) განმარტებებში და კომენტარებში თავმოყრილია დარგობრივი ინფორმაცია ცალკეული ტექსტისა თუ ტექსტთა ჯგუფის შესახებ: ტექსტის ისტორია, საარქივო მასალები, ლიტერატურული მონაცემები (თუ მანამდე გამოქვეყნებული იყო), მთხობელები, თხრობის თანმხლები მოქმედებები;
- 4) საძიებლები: მთხობელთა, მოტივთა, ადგილთა, სახელთა, საგანთა;
- 5) სიტყვების ახსნა: მკითხველისთვის განმარტებულია დიალექტური სიტყვები და გამოთქმები;
- 6) რუკა გეოგრაფიული ორიენტაციისთვის, თუ სად არის გავრცელებული ჩანერილი მასალა;
- 7) ფოტოები: ტექსტებში მოხსენიებული საგნებისა და მთხობელების ფოტოები ვიზუალურ აქცენტს ამახვილებენ.

საველე სამუშაოს ჩატარების შემდეგ ტექსტების კრიტიკული გამოცემა სამომავლო კვლევისთვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

პრაქტიკული:

- 1) ინფორმაციის მოძიება XIX-XX საუკუნეების ქართველი მთქმელების შესახებ.
ხალხური სიტყვიერება II. თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1952; უმიკაშვილი, პეტრე : ხალხური სიტყვიერება III. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

- 2) ხალხური პოეზიის აკაკი შანიძისეული რედაქციის გაცნობა.
შანიძე, აკაკი: ქართული ხალხური პოეზია: ხევსურული. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2009;
- სიხარულიძე, ქსენია: ქართული ფოლკლორის ისტორიისა და
თეორიის საკითხები. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1976,
გვ. 197-212.

სტრუქტურული ანალიზი

სტრუქტურული ანალიზი ინტერდისციპლინური და ინტერტე-ქსტუალური მეთოდია. სტრუქტურა გულისხმობს პირველ რიგში კავშირთა, გადაბმათა ურთიერთობას. სტრუქტურული ანალიზი ფილოლოგიაში მათემატიკური მეთოდების გამოყენებას გულისხ-მობს და ადასტურებს, რომ ფილოლოგიაც ზუსტი მეცნიერებაა.

ფოლკლორული ტექსტის სტრუქტურული ანალიზის პრინციპები

- მითოსური ერთეულები იზოლირებული კი არა, არამედ ურთიერთობათა დამაკავშირებლები არიან და თითოეული ერთეული მხოლოდ ამგვარი კავშირით იძენს თავის ფუნქციას;
- ზღაპრის ფორმის კანონზომიერების დადგენა ისეთივე სიზუსტით არის შესაძლებელი, როგორც ორგანულ წარმონაქმნთა მორფოლოგია: მთელისა და მისი ნაწილების ურთიერთმიმართებით;
- მოტივის შესწავლა მხოლოდ სიუჟეტის სისტემაშია შესაძლებელი, სიუჟეტებისა კი – მხოლოდ მათ ურთიერთყავშირში.

სტრუქტურული მეთოდის გამოყენება **XX** საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო ლინგვისტიკაში, ფსიქოლოგიაში, ანთროპოლო-გიასა და ეთნომუსიკოლოგიაში, ფოლკლორისტიკა კი ორიენტირე-ბული იყო ვიწრო ისტორიულ მეთოდზე და მოტივთა შესწავლაზე.

სტრუქტურის ცნება მომდინარეობს ლათინური ზმნიდან struere, რომელსაც თავიდან არქიტექტონიკული მნიშვნელობა ჰქონდა. **XVII-XVIII** საუკუნეებში მისი შინაარსი შეიცვალა და გა-ფართოვდა: მან მოიცვა ფორმისა და შინაარსის აღნერა – მუდმი-ვი ფენომენი, რომელიც მთელის ნაწილებს კომპლექსურად აკავ-

შირებს ერთმანეთთან: „მითოსის ნამდვილი კანონიერი ერთეულები იზოლირებული ურთიერთობები კი არა, არამედ ურთიერთობათა დამაკავშირებლები არიან და თითოეული მხოლოდ ამგვარ კავშირთა კომბინაციების ფორმით იღებს მნიშვნელობის მქონე ფუნქციას“ (Lévi-Strauss, 1977: 232).

მოგვიანებით, სტრუქტურალიზმის მნიშვნელობის დავიწროებამ ლიტერატურათმცოდნეობაში მთელი რიგი სირთულეები გამოიწვია. როცა სტრუქტურალიზმი ლიტერატურული ტექსტის გაგების მექანიკურ გზად მიიჩნიეს, აღმოჩნდა, რომ „ლიტერატურა არაინდივიდუალური ფენომენია“ (Sturrock, 2003: 98). სტრუქტურულ ლინგვისტიკაში, ანთროპოლოგიასა და სემიოტიკაში კი მეცნიერთა კამათი სტრუქტურალიზმის გარშემო დიდად არ გამწვავებულა. ამ მეცნიერებებში მიღებულია სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ინტერდისციპლინური და ინტერტექსტუალური კვლევები.

სტრუქტურალიზმი „იყო მოაზროვნეთა გავლენის ქვეშ მყოფი ინტენსიური პერიოდი, ნამდვილი რევოლუცია, რომელიც დღემდე განსაზღვრავს ჩვენს მსოფლმხედველობას“ (Dosse, 1996: 17).

ფოლკლორისტულ ნაშრომებში სტრუქტურალისტურ მეთოდთან ყოველთვის იხსენიება ვლადიმირ პროპის, ალან დანდესისა და კლოდ ლევი-სტროსის სახელები.

ვლადიმირ პროპი ფოლკლორისტიკაში რეკორდულად ხშირად ციტირებული ავტორია, XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი მეცნიერი, „ფოლკლორისტიკის არისტოტელე“, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მეტად ორი წიგნით, „ზღაპრის მორფოლოგითა“ (1928) და „ჯადოსნური ზღაპრის ისტორიული ფესვებით“ (1946) გახდა ცნობილი.

„ზღაპრის მორფოლოგია“ მანამდე შეიქმნა, ვიდრე ფილოლოგიურ მეცნიერებებში სტრუქტურული ანალიზის მეთოდები დაინერგებოდა. XX საუკუნის 20-იან წლებში მხატვრული ფორმების, მათ შორის ფოლკლორული ფორმების, შესწავლის დიდი ინტერესი არსებოდა, მაგრამ მხოლოდ პროპმა მიიყვანა ზღაპრის ფორმის შესწავლა მისი სტრუქტურის აღმოჩენამდე.



გლადიონირ პროპი (1895-1970)

ვ. პროპისთვის სტრუქტურალიზმი თვითმიზანი არ იყო. იგი ესწრაფოდა არა თავად პოეტურ ხერხთა აღწერას, არამედ ჯადოსნური ზღაპრის უანრული სპეციფიკის გამოვლენას, რათა შემდგომ ზღაპართა მსგავსების ისტორიული ახსნა ეპოვა. სიტყვა „მორფოლოგია“ პროპმა თავისი წიგნისთვის გამოიყენა კანონზომიერებათა ამოცნობის პერსპექტივით და არა ბოტანიკური ან გრამატიკული მნიშვნელობით:

„ყოველგვარი მეცნიერების გვირგვინს კანონზომიერებათა აღმოჩენა წარმოადგენს; სადაც წმინდა ემპირიკოსი ცალკეულ დაუკავშირებელ ფაქტებს ხედავს, იქ ემპირიკოსი-ფილოსოფოსი კანონის ასახვას დაინახავს. მე კანონი დავინახე ერთ მოკრძალებულ უბანზე – ხალხური ზღაპრის ერთ სახეობაში. [...] თვით ტერმინიც – „მორფოლოგია“ ბოტანიკის ისეთი სახელმძღვანელოებიდან კი არაა ნასესხები, სადაც ძირითადი მიზანი სისტემატიკაა, ანდა გრამატიკული ნაშრომებიდან; არა, იგი ნასესხებია გოეთეს-გან, რომელმაც ამ სათაურით გააერთიანა თავისი ნაშრომები ბოტანიკასა და ოსტეოლოგიაში. ამ ტერმინის მიღმა გოეთესთან იშლება იმ კანონზომიერებათა ამოცნობის პერსპექტივა, რომელნიც საერთოდ ბუნებას მსჯვალავენ“ (პროპი, 1984: 24).

ვ. პროპმა დაამტკიცა, რომ ხალხური ზღაპრის ფორმათა განხილვა და აღნაგობის კანონზომიერების დადგენა ისეთივე სი-

ზუსტით იყო შესაძლებელი, როგორც ორგანულ წარმონაქმნთა მორფოლოგია – მთელისა და მისი ნაწილების ურთიერთმიმართება. მან ფოლკლორის მაგალითზე აჩვენა, რომ ჯადოსნურ ზღაპარს მტკიცედ განსაზღვრული სტრუქტურა აქვს. პროპის ტერმინი „ფუნქცია“ მის ნაშრომში ნიშნავს პერსონაჟის მოქმედებას. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს: როცა ზღაპრის გმირი არნივით გადაფრინდება იმ ქვეყანაში, სადაც მეფის ასულია, ეს არის არა ფრენის ფუნქცია, არამედ იმ დანიშნულების ადგილზე მისვლის ფუნქცია, სადაც არის საძებარი ობიექტი.

ვღადიმირ პროპმა ფოლკლორული მასალის ზედმინევნით შესწავლით, მაგალითთა შეპირისპირებითა და ლოგიკური განსაზღვრის მეშვეობით დაადგინა, რომ ჯადოსნურ ზღაპრებში სხვა-დასხვა ადამიანები ერთსა და იმავე მოქმედებებს ასრულებენ. თუ გმირი მიდის სახლიდან რაიმეს საძებრად და მისთვის სასურველი საგანი შორსაა, მას შეუძლია გაფრინდეს რაშით, ფასკუნჯით, მფრინავი ხალიჩით და უამრავი სხვა საშუალებით, მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში გვაქვს ერთი ფუნქცია: გმირის გადასვლა იქ, სადაც მისი საძებარი ობიექტია. ფუნქციის განხორციელების ფორმები კი სხვადასხვაა. ამგვარად, მუდმივი სიდიდეა პერსონაჟის მოქმედება, ხოლო ცვლადი სიდიდე – მოქმედების ფორმა (პროპი, 1984: 33). პროპმა ჯადოსნური ზღაპრის კომპოზიციის ეს კანონზომიერება გრამატიკოსთა ენაზეც ჩამოაყალიბა: „ყველა შემასმენელი ზღაპრის კომპოზიციას იძლევა, ყველა ქვემდებარე, დამატება და ფრაზის სხვა ნაწილი განსაზღვრავს სიუჟეტს“. შესაბამისად, ზღაპრის კომპოზიცია სტაბილური ელემენტია, სიუჟეტები კი – ცვლადი.

მაგალითთად, „გველი იტაცებს მეფის ასულს. მეფე შველას ითხოვს. გლეხის ვაჟი თავს იდებს მის მოძებნას. გაუდგება გზას. გზად შეეყრება დედაბერს, რომელიც შესთავაზებს ველური ცხენების მწყემსვას. გლეხის ვაჟი თანხმდება, დედაბერი საჩუქრად აძლევს ცხენს, რომელიც მას გადაიყვანს იმ კუნძულზე, სადაც გატაცებული მეფის ასულია. გმირი კლავს გველს, ბრუნდება, მეფე აჯილდოებს – ცოლად შერთავს თავის ასულს. ასეთია ზღა-

პრის სიუჟეტი. მისი კომპოზიცია კი შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: ხდება რაღაც უბედურება. გმირს შველას სთხოვენ. გმირი მიდის საძებრად. გზაზე ხვდება ვიღაცას, ვინც გამოსცდის და ჯადოსნური საჩუქრით აჯილდოებს. ამ ჯადოსნური საშუალების დახმარებით გმირი პოულობს საძებარ ობიექტს. გმირი ბრუნდება და მას აჯილდოებენ. ასეთია ზღაპრის კომპოზიცია“ (პროპი, 1984: 35).

პროპის დებულებები ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურის შესახებ შემდეგია:

- 1) ზღაპრის მუდმივ, მყარ ელემენტებს მოქმედ პირთა ფუნქციები წარმოადგენენ იმის მიუხედავად, თუ ვინ და როგორ ასრულებს მათ. ისინი ზღაპრის ძირითად შემადგენელ ელემენტებს ქმნიან.
- 2) ჯადოსნური ზღაპრისთვის ცნობილ ფუნქციათა რიცხვი განსაზღვრულია.
- 3) ფუნქციათა თანამიმდევრობა მუდამ ერთნაირია.
- 4) ყველა ჯადოსნური ზღაპარი თავისი აღნაგობით ერთი ტიპისაა (პროპი, 1984: 66-68).¹

როცა 1928 წელს „ზღაპრის მორფოლოგია“ გამოვიდა, ორგვარი გამოხმაურება გამოიწვია. ერთი მხრივ, მას კეთილგანწყობით შეხვდნენ ფოლკლორისტები, ეთნოგრაფები და ლიტერატურათმცოდნები, მეორე მხრივ კი, ავტორს „ფორმალიზმი“ დასდეს ბრალად, ანუ საბჭოთა იდეოლოგიის საწინააღმდეგო, გაუმართლებელი მიმართულება მეცნიერებაში.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ „ზღაპრის მორფოლოგია“ უცებ პოპულარული გახდა საერთაშორისო კონგრესებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში. 1958 წელს ითარგმნა ინგლისურად, 60-იან წლებში კი – იტალიურ, გერმანულ, პოლონურ და რუმინულ ენებზე. თავად პროპს საკუთარი ნაშრომის მიმართ მეცნიერთა ხელახალი ინტერესი არ გაჰქვირვე-

¹ პროპი, ვ. ზღაპრის მორფოლოგია. თარგმნა მ. კარბელაშვილმა. თბილისი, 1984. პერსონაჟთა ფუნქციების აღნერა სახელმძღვანელოში არ მივიჩნიეთ საჭიროდ, რადგან ქართული ფოლკლორის შესავალი კურსი-დან ეს საკითხი სტუდენტებისთვის კარგად ნაცნობია.

ბია. ის მშვიდი ტონით წერს კლოდ ლევი-სტროსსთან გამართული პოლემიკის შესავალში:

„ზუსტ მეცნიერებათა დარგში მოხდა უზარმაზარი, გასაოცა-რი აღმოჩენები. ეს აღმოჩენები შესაძლებელი გახდა გამოყვლევი-სა და გამოთვლის ახალი ზუსტი და უზუსტესი მეთოდების გამოყ-ენების წყალობით. ზუსტი მეთოდების გამოყენებისკენ სწრაფვა ჰუმანიტარულ დარგებსაც გადაედო. გაჩნდა სტრუქტურული და მათემატიკური ლინგვისტიკა. ლინგვისტიკას სხვა დისციპლინე-ბიც მიჰყვნენ. ერთ-ერთი მათგანი თეორიული პოეტიკაა. აი, სწო-რედ აქ აღმოჩნდა, რომ ხელოვნების გაგება, როგორც ერთგვარ ნიშანთა სისტემისა, აგრეთვე, ფორმალიზაციისა და მოდელი-რების ხერხი, მათემატიკურ გამოთვლათა გამოყენების შესაძ-ლებლობა ამ წიგნში უკვე წინასწარ იყო განჭვრეტილი, თუმცა იმ დროს, როდესაც იგი იქმნებოდა, ჯერ კიდევ არ არსებობდა ცნება-თა ის წრე და ის ტერმინოლოგია, რომლითაც დღეს თანამედროვე მეცნიერებანი სარგებლობებ“ (პროპი, 1984: 22-23).

„ზღაპრის მორფოლოგიამ“, რომელსაც თავად ავტორი არც სტრუქტურალისტურ ნაშრომად მიიჩნევდა და არც ფორმალი-სტურად, ბევრად გაუსწრო წინ თხრობითი ხელოვნების სტრუ-ქტურულ-ტიპოლოგიურ კვლევა-ძიებებს ევროპაში, იქცა ტექსტ-თა ანალიზის ნიმუშად და დიდი გავლენა იქონია ლიტერატურათ-მცოდნეობასა და ფოლკლორისტიკაში. როგორც მისი კოლეგა ელეაზარ მელეტინსკი უწოდებს, პროპის წიგნის ახალი სიცოცხ-ლე დაინყო 1958 წელს აშშ-ში ინგლისური თარგმანის გამოსვლით, რომლის საჭიროებაც სტრუქტურული ფილოლოგიისა და ანთრო-პოლოგიის მიღწევებმა გამოიწვია.

„ზღაპრის მორფოლოგიის“ ამერიკული გამოცემა ძლიერი ბიძგი იყო ზღაპრის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შესწავლი-სათვის აშშ-ში, სადაც ნიადაგი უკვე შემზადებული იყო ლინგვისტ სტრუქტურალისტების მოღვაწეობით და ეთნოგრაფიაში კულტუ-რულ მოდელთა სკოლის წარმომადგენლის – მელვილ ჯეკობსის მიერ (Jacobs, 1966).

ამერიკელმა მეცნიერებმა პროპის მეთოდით სხვადასხვაგ-ვარი ანალიზი სცადეს: ფუნქციურ-სინტაგმური და სტრუქტუ-

რულ-სოციოფსიქოლოგიური. პროპის „ზღაპრის მორფოლოგიას“ ეფუძნება ალგირდას გრეიმასის „აქტანტების მოდელიც“, რომელიც ლიტერატურულ ტექსტში მოქმედ პირთა (აქტანტების) ექვს კატეგორიას გამოყოფს (Greimas, 1971).


ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი ზღაპრის სტრუქტურული ანალიზის შესახებ არის ალან დანდესის მონოგრაფია „ჩრდილო-ამერიკელ ინდიელთა ხალხური ზღაპრების მორფოლოგია“.

ალან დანდესი – ამერიკელი ფოლკლორისტი და ეთნოლოგი, ამერიკული ფოლკლორისტული სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა. იგი კალიფორნიის ფოლკლორის საზოგადოებისა (California Folklore Society) და ამერიკული ფოლკლორის საზოგადოების (American Folklore Society) თავმჯდომარე იყო XX საუკუნის ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე. ალან დანდესი ამერიკელ ფოლკლორისტთაგან სტრუქტურალიზმზე ორიენტირებული თაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლად მიიჩნევა.

მისი ინტერესები ფოლკლორისტიკისა და ეთნოლოგის საკითხთა ფართო სპექტრს მოიცავს: სამყაროს სურათი, რწმენა, მითები, თქმულებები, ანეკდოტები, ანდაზები, გამოცანები, წეს-

ჩვეულებები, ეროტიკული ფოლკლორი, სამეტყველო ენა, ქალაქური და მუშათა ფოლკლორი, საბავშვო ფოლკლორი, ბიბლიური გადმოცემები, გახალხურებული ლიტერატურა, ჩრდილოამერიკული კულტურის ეთნიკური საკითხები და სხვა.

ალან დანდესმა მოგვცა კულტურის ისტორიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორისტიკის, ტექსტოლოგიის და, ყველაზე მეტად, ფსიქოალიზის მეთოდების კომპინაცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ცალკეული გამოკვლევები აფრიკუ-



ალან დანდესი (1935-2005)

ლი, აზიური, ევროპული გადმოცემების შესახებ. ალან დანდესის კვლევის ძირითადი მიმართულებები ფსიქოანალიტიკური განმარტებები და მორფოლოგიური აღწერილობები იყო. მისი დისერტაცია „ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ხალხური ზღაპრების მორფოლოგია“ (The Morphology of North American Indian Folktales, 1965) პროპის მეთოდის გავრცობას წარმოადგენს.

ალან დანდესი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მითის თარგმნა სავსებით შესაძლებელია ერთი ენიდან მეორეზე და მისი გამოთქმა არა მარტო სიტყვით, არამედ სხვა ფორმითაც შეიძლება – მაგალითად, ფერწერით, მიმიკით და სხვა. ა. დანდესი წინააღმდეგი იყო სტრუქტურული ლინგვისტიკის მეთოდების მთლიანად გადატანით ფოლკლორისტიკაში და მოდელებით მეტისმეტი გატაცებისა.

ალან დანდესი ვლადიმირ პროპის სინტაგმური ანალიზის პირდაპირი გამგრძელებელია. მისმა თანამედროვე ამერიკელმა მეცნიერებმა ის პროპის ეპიგონადაც კი შეაფასეს.

ალან დანდესმა პროპისეული „ფუნქციის“ ნაცვლად გამოიყენა ტერმინი „მოტივემა“ (Dundes, 1965: 208). იგი, პროპის კვალდაკვალ, „მოტივემათა ბირთვულ რიგად“ მიიჩნევს წყვილს: „უქონლობა“ (lack) და „უქონლობის ლიკვიდაცია“ (liquidation of lack). არსებობს ამერიკელ ინდიელთა ზღაპრები, რომლებიც, ევროპულის-გან განსხვავებით, ამ მარტივ სტრუქტურაზე დაიყვანება, მაგრამ აქაც უქონლობას და მის ლიკვიდაციას შორის ხშირადაა ჩასმული სხვა წყვილი ფუნქციები, კერძოდ:

1. ძნელი დავალება – დავალების შესრულება;
2. აკრძალვა – აკრძალვის დარღვევა.

გარდა ამისა, დანდესმა შემოიტანა კიდევ ორი ფუნქცია:

1. აკრძალვის დარღვევის შედეგი;
2. უბედურებისგან გადარჩენა.

დანდესმა სათანადო დაჯგუფებათა გზით გამოყო და გააანალიზა ფუნქციათა რამდენიმე ტიპური რიგი. ამის შემდგომ კი მან თვალსაჩინოდ უჩვენა, რომ ინდიელთა რთული შედგენილობის ზღაპრები, თავისთავად, უფრო მარტივ რიგთა კომბინაციებია.

დანდესმა სრულად გამოიყენა პროპის მეთოდიკა და მივიდა გაცილებით მარტივ სქემებამდე. ეს კიჩილომერიკელ ინდიელ-თა ფოლკლორის არქაულობით აიხსნება. დანდესი ჯადოსნურ ზღაპარს არც მის ნაირსახეობათაგან გამოყოფს და არც მითის-გან, რაც ნაწილობრივ კვლავ თვით მასალის თავისებურებას – მის უანრობრივ სინკრეტიზმს ასახავს. ამიტომ, პროპისა და დანდესის სქემათა შეპირისპირება ძალზე სასარგებლოა იმ ამოცანათა გა-დასაწყვეტად, რომელთაც ისტორიული პოეტიკა აყენებს.


ალან დანდესი და ვლადიმირ პროპი უმნიშვნელოვანეს ფიგუ-რებად რჩებიან თანამედროვე ფოლკლორისტიკაში. მათი მეთო-დები დღემდე აქტუალურია, ცხადია, სხვა მეთოდებისა (პოსტ-სტრუქტურალისტური, ფუნქციონალისტური და ექსპერიმენტუ-ლი მეთოდები) და ინტერდისციპლინური კვლევების გათვალის-წინებით.

კლოდ ლევი-სტროსი

სიუჟეტთა მსგავსების საკითხს მითოლოგიაში შეეხო კლოდ ლევი-სტროსიც, სტრუქტურული ანთროპოლოგიის ფუძემდებელი. მისი ინტერესის საგანი, უფრო მეტად, მითოლოგიური გადმოცემები და ეთნოგრაფიული მასალა იყო, ვიდრე ხალხური ზღაპარი. მან დას-

ვა კითხვა: თუ დავუშვებთ, რომ მითე-ბის შინაარსი სრულიად პირობითია, მაშინ როგორ აიხსნება ის ფაქტი, რომ მსოფლიოს ხალხთა მითები ასე ჰგავს ერთმანეთს?

ლევი-სტროსმა კულტურათა მა-გალითზე ახსნა მსგავსება რელიგიური აზროვნების ლოგიკასა და სამეცნიერო აზროვნების ლოგიკას შორის: ყოველ ჯერზე, როცა კი შინაგანი კავშირით სხვადასხვაგვარ ტერმინებს ვაერთია-ნებთ, ჩვენ აუცილებლად ვაიგივებთ საპირისპირო მხარეებს. უეჭველია,



კლოდ ლევი-სტროსი
(1908-2009)

ჩვენ მიერ გაერთიანებული ტერმინები ის არ არის, როგორც ამას აერთიანებს განვითარების ადრინდელ საფეხურზე მყოფი ადამიანი. ჩვენ მათ ვარჩევთ, ამოვდივართ რა სხვა კრიტერიუმებიდან და სხვა დასაბუთებიდან, მაგრამ თვით მოქმედება, რომლის საშუალებითაც გონება მათ აკავშირებს, არსებითად არ განსხვავდება.

მითოსური აზროვნებისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია მიდრეკილება როგორც დაახლოებებთან, ისე მკვეთრ დაპირისპირებებთან, მიდრეკილება უკიდურესობებისკენ ორივე მიმართულებით.

ბუნება	კატეგორია	ინდივიდი
--------	-----------	----------

კულტურა	ჯგუფი	პიროვნება
---------	-------	-----------

ინდიელთა მითოლოგიასთან დაკავშირებით ლევი-სტროსმა ტექსტის ანალიზში გამოიყენა ცნება „მითოსის ფუნქცია“, უმეტესად, კულტურული და სოციალური ფენომენების ასახსნელად. როცა ლევი-სტროსი მითოსური პერსონაჟების მოქმედებას აღნირს, იღებს პროპისეულ „ფუნქციის“ ცნებას. პროპი ფუნქციას უწოდებს პერსონაჟის მოქმედებას, რომელიც სიუჟეტის მსგლელობისთვის მისი მნიშვნელობის თვალსაზრისით განისაზღვრება. მაგალითად, თუ გმირი ცხენით აფრინდება მეფის ასულის სარკმელთან, გვაქვს არა ცხენით აფრენის ფუნქცია, არამედ ქორწინებასთან დაკავშირებული ძნელი დავალების შესრულების ფუნქცია. ლევი-სტროსი „ფუნქციის“ მნიშვნელობას აფართოებს. მისთვის ფუნქციები უფრო მეტის მომცველია, ვიდრე მოქმედებები და მოვლენები. მაგალითად, ჭაობს ლევი-სტროსი „წვიმების პერიოდის ფუნქციას“ უწოდებს. თქმულებებში ყოფით ელემენტებსაც და მოქმედებებსაც შეიძლება ჰქონდეს „სემანტიკური ფუნქცია“, რომელიც მათ წარმოშობას ან იდეას ახსნის (Lévi-Strauss, 1964: 205).

ლევი-სტროსის მიხედვით, ზოგადად, გადმოცემები, განსაკუთრებით კი მითები, ლოგიკური ოპოზიციების შემცველია, რომელთა ახსნასაც მესამე ტერმინის შემოღება სჭირდება – „საშუალების ფუნქციის“ აღმნიშვნელისა. საშუალების ტერმინს შეუ-

ძლია თავის თავში გააერთიანოს საწინააღმდეგო ტერმინი ან მონაწილეობა მიიღოს მის ტრანსფორმაციაში. მას ასევე შეუძლია შეუძლია როლში მოგვევლინოს ან სივრცობრივად საწინააღმდეგო პოლუსებს შორის მოთავსდეს. პროპისგან განსხვავებით, ლევი-სტროსი აქცენტირებს მოთხრობის შინაარსის ლოგიკურ სტრუქტურაზე, რომელიც დრამის თანმიმდევრობის სტრუქტურისგან განსხვავებულია.

ტრანსფორმაციის ცნებას ლევი-სტროსი ფუნქციას უკავშირებს. ის ტრანსფორმაციას არქევს როგორც მითების მოვლენებთან კავშირს, ასევე, მონათესავე ტექსტებს შორის დამოკიდებულებას საზოგადოებაში ან მონათესავე საზოგადოებათა ჯგუფში.

ლევი-სტროსის ფორმულაა:

$$My = f Mx$$

f აღნიშნავს ფუნქციას. ფორმულა ასე იკითხება:

მითოსი y არის მითოს x-ის ფუნქცია და ეს ორივე მითი „ტრანსფორმაციურ ურთიერთობაში ერთმანეთის ტოლია“ (Lévi-Strauss, 1964, 194).

ლევი-სტროსის წარმოდგენილი სტრუქტურული თეორია უფრო სინქრონულ მნიშვნელობათა სისტემებს გულისხმობს, ვიდრე დიაქრონულ მიზეზ-მოქმედება-ურთიერთობა-თანმიმდევრობას.

კურტ დერუნგსის, თანამედროვე შვეიცარიელი ფოლკლორისტისა და კულტურის ანთროპოლოგის მიერ 1994 წელს გამოცემული ნაშრომები „ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურა: მეთოდოლოგია და ანალიზი“ და „ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურა: ტრანსფორმაცია და ნარატიული ფორმები“ ზღაპრისა და მითოლოგიურ გადმოცემათა ურთიერთმიმართებას ეხება. კურტ დერუნგსის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს ზღაპრის ტიპ ATU707 [სამი ოქროს ბავშვი] რეტორომანული ვარიანტი: სამი ქალიშვილი მეფეს ჰპირდება, რომ დაქორწინების შემთხვევაში გააჩენს სამ ოქროსთმიან შვილს ოქროს ყელსაბამითა და შუბლზე ვარსკვლავით. მეფე ქორწინდება უმცროს ქალზე. მშობიარობი-

სას შურიანი დები მას შვილებს ძალლის ლეკვებით შეუცვლიან. დედოფალს განდევნიან, გადაგდებულ ბავშვებს კი მეწისქვილე იშვილებს. როცა გაიზრდებიან, უფროსი ძმები მამის საძებნელად და სხვა ჯადოსნური საგნების მოსატანად მიდიან, მაგრამ მათი ცდა ნარუმატებელია და გაქვავდებიან. უმცროსი და იპოვის ძმებს და სიმართლის მთემელ ფრინველს, რომლის მეშვეობითაც გამოაშკარავდება სიმართლე.

კურტ დერუნგსის კვლევა გეოგრაფიულ-ისტორიულ მეთოდთა და სტრუქტურული ანალიზის სინთეზია. იგი ATU707-ის შევიცარიულ ვარიანტს მხოლოდ ვარიანტთა სფეროში (სტრუქტურულ, გეოგრაფიულ) კი არ იკვლევს, არამედ უფრო ფართოდ – ტრანსფორმაციის თეორიასთან კავშირში აკვირდება, რადგანაც მხოლოდ არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, ევროპული ეთნოლოგიისა და ნარატოლოგიის სფეროებში „მოზაიკური“ სიტუაციის გათვალისწინებით შეიძლება მივიღოთ შედეგად დეტალური და უფრო სტრუქტურიზებული შედარება.

დერუნგსი ხალხური ზღაპრის გეოგრაფიულ გავრცელებას, ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, „ზღაპრის არქეოლოგიურ აღმოჩენათა ადგილებს“ ადგენს კონკრეტული სიუჟეტური ტიპის, ATU707-ის მონაცემთა საფუძველზე. ეს „არქეოლოგიურ აღმოჩენათა ადგილები“ მსოფლიოს სხვადასხვა მხარეებში დასტურდება: 1) აღმოსავლეთ ციმბირსა და მონლოლეთში, 2) ტაილანდში, ინდოჩინეთში, 3) პენჯაბში, პამირში, ნეპალში, ინდოეთსა და ცეილონში, 4) კავკასიაში, მცირე აზიაში, შუამდინარეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, 5) ჩინეთში, კონკრეტურა და დასავლეთ ევროპაში, ჩინეთში, კონკრეტურა და დასავლეთ აფრიკასა და დასავლეთ აფრიკაში.

დერუნგსი დაწვრილებით განიხილავს ზღაპრის რიტუალურ-კულტურულ გარემოს (წყლის კულტს, ცეცხლის კულტს, ხისა და მცენარის კულტს, ცხოველთა კულტს, ქვის კულტს, მეგალითებსა და წინაპართა თაყვანისცემას), საიდანაც ასკვნის, რომ შევიცარიული ზღაპრისა და მისი 50 ვარიანტის სიღრმისეული სტრუქტურის გამოკვლევით დასაბუთებულია არქაული მემკვიდრეობის სამი შრე:

პირველი შრე: ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურა შედგება ქალღმერთ-პრინცესას ზღაპრიდან, რაც ქალიშვილისა და დედის ურთიერთობაში ვლინდება. ამ საფეხურზე მამრობითი სქესის პარტნიორები უმნიშვნელო როლს ასრულებენ.

მეორე შრე: დედისა და ქალიშვილის წყვილი სრულყოფილი ხდება ძმის სახით (დედა-ქალიშვილი-ძმა), ვლინდება და-ძმის ურთიერთობაში ანდა პრინცესა-ძმის ურთიერთობაში.

მესამე შრე: ქალღმერთისა და გმირის ურთიერთობა, რაც პრინცესასა და პრინცში მანიფესტირდება.


ზედაპირული სტრუქტურისთვის დამახასიათებელია ადრეპატრიარქალური და პატრიარქალური ნიშნები:

- ა) დემონიზაცია: ამ სივრცეში სახეები დემონიზებული, დისკრიმინირებული და დისკრედიტირებულია.
- ბ) განკაცება ანუ სუბსტიტუცია: დედაბერი, ფრინველი-ქალღმერთი ჩნდებიან პარტნიორებთან – „საშინელ ტყის კაცებთან“
- გ) ოზოლაცია: პატრიარქალური ცოლქმრული ურთიერთობა ახლა აშკარად მეფე-დედოფლის ურთიერთობაა, რომელიც აღარ არის წარმოდგენილი და-ძმის სახით.
- დ) რედუქცია ანუ სიმბოლოთა შესუსტება: ქალღმერთის კალთა, როგორც „ბალიში“, „წისქვილის ქვაზე“ აჩვენებს რედუქციას შეუცნობლამდე.
- ე) სუბორდინაცია: მეფე პატრიარქალურ ცოლქმრულ ურთიერთობაში არა მარტო იზოლირებულია, არამედ სუბორდინირებულია მამა-მეფისა და ბიძა-ძმის საშუალებით.
- ვ) მოშორება, განზე გაყენება: სახეებს აღარ აქვთ მითოსური სახელები.
- ზ) გაძლიერება: მეწისქვილის ფიგურა და ფუნქციები ან მეწისქვილე ქალის სახის თანმხლებია, ან მეწისქვილე ქალის ფუნქციების შემთავსებელი.
- თ) კორუფცია: აკლია ინიციაციის დაწვრილებითი მოქმედებათა თანმიმდევრობა. ინიციაციის ნაცვლად, ომია.

დერუნგსის სტრუქტურული მოდელისთვის კიდევ ერთი დამხმარე საშუალებაა ღერძთა დაყოფა: სელექციის ღერძი = პარა-დიგმა; კომბინაციის ღერძი = სინტაგმა.

„სინტაგმა“ აღწერს სიტყვათა წყობას აზრობრივ ჯაჭვად, კომბინაცია კი, პარადიგმის საპირისპიროდ, აღწერს შესაძლებელ სიტყვათა რაოდენობას, რომელთაგან არჩეული იქნება სელექცია და განსხვავდება კომბინაციისგან.

სიღრმის სტრუქტურა განისაზღვრება ინიციაციით, ქორწილით, სიკვდილითა და დაბრუნებით. ამ სიღრმის სტრუქტურაზე განლაგდება დიაქრონულად ისტორიული ელემენტები და იწყება ტრანსფორმაციის პროცესი სტრუქტურასა და მის შინაარსზე ცვლილებების განსახორციელებლად. შედეგად მიიღება სინქრონული ზედაპირის სტრუქტურა ტრანსფორმირებული, ისტორიული და კალენდარული ელემენტებით.



დერუნგსი, სტრუქტურალიზმზე დაყრდნობით, ძირითადად, ორი მიმართულებით მუშაობს:

- 1) პარადიგმა-ღერძი: ეს არის ვერტიკალური, დიაქრონული ღერძი, quasi – ფორმალური მხარის შინაარსობრივი მხარე. ეს არის სიმრავლის, სელექციისა და ვარიაციის ღერძი. ამ ღერძზე ცვლილებებს დერუნგსი ტრანსფორმაციას უწოდებს.
- 2) სინტაგმა-ღერძი: ეს არის ჰორიზონტალური, სინქრონული ღერძი, quasi – შინაარსობრივი მხარის ფორმალური მხარე.

ეს არის ერთეულთა და კომბინაციათა ღერძი. ამ ღერძზე ცვლილებებს ჩვენ დეფორმაციას ვუწოდებთ. ეს ღერძია ფუნ-ქციებისა და სილრმის სტრუქტურისა ინიციაციის, ქორწილის, სიკვდილისა და დაბრუნების კომპონენტებით.

არქაული საზოგადოების ბაზისი არის სოციალური ცხოვრე-ბის სტრუქტურის სივრცე და ეკონომიკის სტრუქტურის სივრცე. საზოგადოების ეს სტრუქტურები კავშირშია მის მითოლოგიასთან და რიტუალებთან, რომელშიც პირველადი კანონი და სამყაროს სურათი მანიფესტირდება: რელიგიის სტრუქტურული სივრცე და რიტუალის სტრუქტურული სივრცე. სამყაროს ამ სურათს ვხე-დავთ თხრობითი ფორმების სილრმის სტრუქტურაში, განსაკუ-თრებით, ჯადოსნური ზღაპრის მაგალითში.

დერუნგსის სტრუქტურულ სქემაში ფორმალური და შინაარ-სობრივი მხარეები განუყოფელია ერთმანეთისგან. ისტორიული ცვლილებები ასახულია ვერტიკალურ-დიაგონალურ და ჰორი-ზონტალურ-სინქრონულ ღერძზე. ძირითადი სტრუქტურის აბ-სტრაქტის დონე არ მიდის შინაარსობრივ განზოგადებამდე, რადგან შინაარსობრივი მხარე მუდამ ერთმნიშვნელოვნად გან-ისაზღვრება. მოდელი შეიცავს როგორც ერთეულებს, ისე მრავ-ალფეროვნებას. ის ატარებს ფილოლოგიურ საკითხებს, მაგალი-თად, ვარიანტების შედარების საშუალებით, და ნებას რთავს ნათ-ლად განსაზღვრული ტრანსფორმაციების წესებით ტექსტობრივ და იდეოლოგიურ-კრიტიკულ მოსაზრებებს.

კურტ დერუნგსის სქემის მიხედვით, ზედაპირის სტრუქტუ-რა და სილრმის სტრუქტურა შემდეგი ფენომენებით არის გან-პირობებული:

- 1) მითოლოგიის სივრცე:
 - მიწის ქალღმერთის მითოლოგია
 - მთვარის ქალღმერთის მითოლოგია
- 2) რიტუალის სივრცე:
 - ინიციაციის, ქორწილის, სიკვდილისა და დაბრუნების დღესასწაულები

3) სოციალური ცხოვრების სივრცე:

- მატრილინეარული
- მატრილოკალური
- ქალის დომინანტობა

4) ეკონომიკის სივრცე:

- უმეტესად, მებალეობა და მიწათმოქმედება.

კურტ დერუნგსის პიპოთეზა:

ჯადოსნური ზღაპარი თავის მაგიურ სამყაროს სურათში შა-მანურად გამოიყურება მიუხედავად იმისა, რომ არსებითად და წარმოშობით შამანიზმა მდელია. ეს წინარეშამანური ფენომენები გადადიოდა და სინქრონულად და დიაქრონულად იცვლებოდა. უძველესი შამანური მოვლენები სხვადასხვა ნაშრომებში ქალუ-რად იქნა განხილული, ანუ მდედრობითი სქესის შამანების პრი-მატს ასაბუთებენ ზღაპრებში. მატრიარქალური კვალი ჯადოსნურ ზღაპარსა და მატრიარქალური მოვლენები შამანიზმში აძლიე-რებს სამუშაო პიპოთეზას პრინციპულად მატრიარქალური მითო-ლოგიისა და საზოგადოების სტრუქტურისა და ტრანსფორმაციის თეორიისა. ტუნგუსების ადრინდელი ზღაპრები და მითებიც არ არის მთლად შამანური, უფრო წინარეშამანურია, თუმცა შამანებ-მა ზღაპარში დადასტურებული მაგიური აზროვნება აიღეს, დახ-ვენეს და შეინახეს; ამ აზრით ზღაპარი შამანურად გაფორმდა.

„სტრუქტურალიზმი“ ფოლკლორისტიკაში ე. წ. „არაისტორი-ულ მეთოდებს“ განეკუთვნება. დღევანდელ დღეს მას უფრო მეტი კრიტიკოსი ჰყავს, ვიდრე მომხრე, რადგან ბიოლოგიურ დიფერენ-ციიაციაზე დამყარებული საბუნებისმეტყველო სიზუსტე მაინც არ არის მიღწეული სიუჟეტებთან მიმართებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ფოლკლორისტები დღესდღეობით უპირატესობას ტიპოლოგიას, კულტუროლოგიურ და სოციალური ისტორიის მეთოდებს ანიჭებენ, გვერდს ვერ უვლიან ფენომენო-ლოგიურ-ანთროპოლოგიურ ცდებს, მოტივთა კლასიფიკაციებს და სტრუქტურულ ანალიზს. სტრუქტურალიზმის გარეშე შეუძ-ლებელია ფოლკლორისტიკის თანამედროვე მეთოდების გააზრე-ბა და სამეცნიერო კვლევები.

სადისკუსიოდ:

მელეტინსკი, ელეაზარ: ზღაპრის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შესწავლა.

ნიგნში: პროპი, ვლადიმირ: ზღაპრის მორფოლოგია. თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო მარიამ კარბელაშვილმა. თბილისი, მეცნიერება, 1984. გვ. 202-236.

ინტერტექსტუალობა

ინტერტექსტუალობა ფართო გაგებით მოიცავს ერთი ლიტერატურული ტექსტის მეორე ლიტერატურულ ან არალიტერატურულ (პრე-)-ტექსტთან ყოველგვარი დამოკიდებულების საკითხს.

ინტერტექსტუალური თეორიის ძირითადი პრინციპები

- ტექსტის პრეტექსტზე მინიშნება, რომელიც ავტორის მიერ არის გათვალისწინებული, ტექსტში მარკირებულია და მკითხველისგან შესაბამის ტექსტის გაგებას მოითხოვს.
- ტექსტი ადრინდელ ტექსტობრივ ელემენტებსა და ახალ ელემენტებს შორის ურთიერთკავშირით იქმნება.

ინტერტექსტუალობა, უმთავრესად, ვიწრო მნიშვნელობით გამოიყენება და მონათესავე ცნება „იმიტაციას“ უპირისპირდება, რომელიც ანტიკურ, შუა საუკუნეებისა და ახალი დროის პოეტიკაში ცენტრალურ პოზიციას იკავებს. „იმიტაციის“ ავტორი აღიარებს პრეტექსტის არსებობას, რომელსაც ჰქანავს, ანდა გაპაექრებას ცდილობს. ყველა შემთხვევაში პრეტექსტისა და მომდევნო ტექსტის შედარებითობა აბსოლუტურად დაკანონებული პოეტოლოგიური ნორმებით განიხილება. გადმოცემული კანონი მაგალითის როლს ასრულებს, მომდევნო ტექსტის განსჯის მიზანი კი დამოკიდებულია ავტორის პიროვნებაზე, რომლის განათლება და ოსტატობა მისსავე ტექსტში ვლინდება.

ინტერტექსტუალობა, პირიქით, ხაზს უსვამს ორიგინალურ მიდგომას ახალი ტექსტისა ტრადიციასთან. კანონიკურ ნაწარმოებს აღარ უჭირავს სხვა პრეტექსტებზე უფრო პრივილეგირებული როლი და დამოკიდებულია უფრო ტექსტზე, ვიდრე ავტორის პიროვნებაზე.

ლიტერატურულ ტექსტები გამოყენებული იყო ლიტერატურულ პაროდიებში, ადაპტაციებში, ტრავესტებში, ციტატებსა და სიტყვათა თამაშებში. ყველა ამ სახეს ინტერტექსტუალობის „წინაპრებს“ უწოდებენ. ყოველ მათგანში ინტერტექსტუალობის განსაზღვრული სახეობები დომინირებს, რომლებშიც ტექსტი ღია, მკითხველისთვის ცნობილ სათამაშო სივრცეს წარმოადგენს ინტერტექსტუალური ურთიერთობისა და ასოციაციებისთვის, განსაკუთრებით, ლიტერატურული მოდერნისა და პოსტმოდერნის ტექსტებში.

რუსი ლიტერატურათმცოდნე და ხელოვნებათმცოდნე მიხაილ ბახტინი (1895-1975) თავისი „დიალოგის თეორიით“ ინტერტექსტუალობის თეორიის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი გახდა, რომელმაც 60-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული დიდი გავლენა იქმნია ლიტერატურათმცოდნებზე. ბახტინმა სალიტერატურო ენის აბსტრაქტული ნორმა დაყო სოციალური ჯგუფების განსაკუთრებულ „ენებად“ (შესაბამისად ფენისა, თაობისა, რეგიონისა, განათლებისა, პროფესიისა, კონფესიისა და ა.შ.). თითოეული სოციალური ჯგუფის ენა განსაზღვრული „ვერბალური იდეოლოგიური“ მოსაზრებით არის გაჯერებული. მოსაუბრეთავის მეტყველებაში მუდმივად ითვალისწინებს სხვათა „უცხოსიტყვებს“. ყოველი ენობრივი გამოხატვა სხვადასხვა „ენათა“ მეტოქეობით განისაზღვრება ისე, რომ ერთი „შინაგანი დიალოგი“ საწყისი მდგომარეობიდან და მსოფლმხედველობიდან წარმოიშობა. ანტიკური ხანიდან მოყოლებული დიალოგურობით განსაკუთრებით გამოიჩინება რომანი, მაშინ, როცა ისეთი უანრები, როგორიცაა ეპოსი ანდა კლასიკურ-რომანტიკული ლირიკა, უფრო მონოლოგურად აიგო. ფილორ დოსტოევსკიმ, როგორც „პოლიტონიური რომანის“ დამფუძნებელმა, სრულყოფილი ხელოვნების დონეზე პირველმა განახორციელა დიალოგური პრინციპი, ანუ თანაბარუფლებიანი დაპირისპირება ურთიერთშეუსაბამო, ურთიერთშეუდარებელი მსოფლმხედველობებისა.

ბახტინის დიალოგის ცნება იულია კრისტევამ ინტერტექსტუალობად გადააკეთა და სხვა პოსტსტრუქტურალისტურ თეორიათა სივრცეში გადაიტანა. ინტერტექსტუალობა, კრისტევას თეო-

რიით, ტექსტების ზოგადი ნიშანია: „ყოველი ტექსტი ციტატები-სგან აიგება მოზაკის მსგავსად, ყოველი ტექსტი სხვა ტექსტის აბსორბცია (შთანთქმა) და ტრანსფორმაცია“ (Martínez, 1997, 152).

რადგანაც ტექსტის ცნება ძალზე ფართოა და ლიტერატურა კულტურის ზოგადი ტექსტის ნაწილს შეადგენს, ინტერტექსტუ-ალობა (როგორც ბახტიის დიალოგი) ლიტერატურის სფეროთი არ შემოიფარგლება. ტექსტს, როგორც პროდუქტიულ მექანიზმს, თავისთავადობა მიეწერება, რომელიც ავტორის ოსტატობას, ჩა-კეტილი ნაწარმოების კონცეპტს და სუბიექტებს შორის დიალოგუ-რი კომუნიკაციის იდეას ერთმანეთისგან განაცალკევებს. ავტორი იქცევა დისკურსის გადაკვეთის პუნქტად, შექმნილი ნაწარმოები – ამბივალენტურ ტექსტად, ინტერსუბიექტივობა კი – ინტერტე-ქსტუალობად. ამ გაგებით ინტერტექსტუალობა დეკონსტრუქ-ტივიზმისა და პოსტსტრუქტურალიზმის ძირითადი ცნებაა.

კრისტევას გავლენის ქვეშ მყოფი, პოსტსტრუქტურალისტე-ბისგან განსხვავებით, ჰერმენევტიკულად ან სტრუქტურალისტუ-რად ორიენტირებული ნაშრომები ინტერტექსტუალობას მოიაზ-რებდნენ, როგორც შიდალიტერატურული სიმბოლურობის შეზ-ღუდულ მეთოდს. აქ ცნებები „ავტორი“, „ნაწარმოები“ და „მკითხ-ველი“ ტრადიციულ გაგებას ემყარება. ამ ინტერტექსტუალობის თეორიებში ნაკლებად არის ლაპარაკი ტექსტების გენეზისზე და ურთიერთგავლენაზე. საქმე უფრო მეტად მომდევნო ტექსტის პრეტექსტზე მინიშნებას ეხება, რომელიც ავტორის მიერ არის გათვალისწინებული, ტექსტში მარკირებული და მკითხველისგან შესაბამის ტექსტის გაგებას მოითხოვს.

ჟერარ ჟენეტი „ტრანსტექსტუალობის“ (საგნობრივი შინაარ-სის საერთო ცნება, რომელსაც ერთი ტექსტი სხვა ტექსტთან გაცხადებულ ან ფარულ დამოკიდებულებაში მოჰყავს) ხუთ ტიპს განასხვავებს:

- 1) „პარატექსტუალობა“ აღნიშნავს ტექსტის პრაგმატულ შემო-ფარგვლას მასთან ერთად დალაგებული ტექსტებით, როგო-რებიცაა სათაური, წინასიტყვაობა ან ბოლოსიტყვაობა, შესა-ვალი, დანართი და ა.შ.;

- 2) „მეტატექსტუალობა“ მაშინ გვაქვს, როცა ტექსტი სხვა ტექსტითაა კომენტირებული;
- 3) ტექსტის „არქეტექსტუალობა“ მდგომარეობს თავის ტაქსონომიურ მიკუთვნებაში განსაზღვრულ ჟანრებთან, ტექსტის სახეებთან ანდა წერის სტილთან;
- 4) „ინტერტექსტუალობა“ ჟენეტი ავინროებს, როგორც ერთი ტექსტის ეფექტურ არსებობას სხვა ტექსტში ციტატის, პლაგიატის ან გათამაშების ფორმით;
- 5) „ჰიპერტექსტუალობა“ აღნიშნავს მეორე დონის ტექსტის (ჰიპერტექსტი) და პრეტექსტის (ჰიპოტექსტი) ურთიერთობას, რომლებიდანაც ის ტრანსფორმაციად (პაროდია, ტრავესტი) ან მიბაძვად იქცევა.

ინტერტექსტუალური ნიშნები უნდა განვასხვაოთ ცალკეული ტექსტური მითითებებისგან და სისტემური მითითებებისგან (ჟენეტის ტერმინი: „არქიტექსტუალური“), ანუ ინდივიდუალურ პრეტექსტებსა და ლიტერატურულ მაგალითებს შორის, როგორცაა ჟანრი თუ წერის სტილი. რადგანაც ჟანრთა ნორმები და წერის სახეობები ლიტერატურულ ცნობიერებაში ხშირად ცალკეული პარადიგმატული ნაწარმოებებით არის წარმოდგენილი, ცალკეულ ტექსტსა და სისტემის ნიშანს შორის მკვეთრი საზღვარი არ ჩანს. ინტერტექსტუალური ნიშნები შეიძლება სემანტიკურთან ერთად ტექსტის სხვა ასპექტებსაც შეეხოს, სახელდობრ, ლინგვისტურ (მაგალითად: ინტერპუნქტი, ფონოლოგია, მორფოლოგია, ლექსიკა, სინტაქსი), მეტრულ, რიტორიკულ და თხრობითი ხასიათის ასპექტებს.

თხრობით ტრადიციაში ყოველი ზღაპარი წარმოადგენს შემაერთებელ რგოლს სხვა უამრავ ვერსიასთან. ვლადიმირ პროპის სქემაც თავისთავად ატარებს ინტერტექსტუალობის კონცეპტს. ფოლკლორულ ტექსტებში შესამჩნევია ინტერტექსტუალობის ნიშნები. უახლესი კვლევები ფოლკლორისტიკაში ადასტურებს, რომ ფოლკლორშიც შეიძლება გამოიყენებოდეს ინტერტექსტუალობის ცნება. თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორი ელი იასიფი ინტერტექსტუალობად მოიაზრებს ტექსტის სირთულეს,

რომელსაც ქმნიან მეორადი ტექსტუალური ელემენტები. ისინი ჩართული არიან ტექსტში, ოღონდ ისე, რომ არ აბრკოლებენ ტექსტის იდეოლოგიურ და ესთეტიკურ დამოუკიდებლობას და ქმნიან ძლიერ ეფექტს მრავალშრიანობისა და აზრის მრავალფეროვნებისა (Yassif, 2009: 71).

ინტერტექსტუალობის ცნების გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია მისი შეთანხმება ფოლკლორულ მოტივებთან და სიუჟეტურ ტიპებთან.

ფოლკლორისტიკა, განსხვავებით ლიტერატურათ-მცოდნეობისგან, თეორიების შექმნის სიხშირით არ არის ცნობილი, მაგრამ იყენებს თითქმის ყველა თეორიას, რაც კი შექმნილა ჰუმანიტარულ, სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ინტერტექსტუალობასთან დაკავშირებით ჯერჯერობით არ არსებობს ფოლკლორისტების მიერ შექმნილი იმგვარივე კლასიფიკაცია, როგორც, მაგალითად, უერარ უენეტის „ტრანსტექსტუალობის“ ხუთი ტიპია, მაგრამ განსხვავებებს ინტერტექსტუალურ ნიშნებს, ცალკეულ ტექსტურ მითითებებსა და სისტემურ მითითებებს შორის ფოლკლორისტთა ნაშრომებშიც ვხვდებით.

აფროამერიკული ლიტერატურის უახლეს ანთროპოლოგიურ კვლევებში ტერმინი „ინტერტექსტუალური“ და „ტრანსნაციონალური“ ერთმანეთის სინონიმებია (Bone, 2018: 53-77). ელი იასიფი XVI-XVIII საუკუნეებში ჩანარილ ებრაულ ზღაპრებს ინტერტექსტუალური მეთოდოლოგით განიხილავს ნარკვევში „ინტერტექსტუალობა ფოლკლორში: წარმართული თემები ახალი ეპოქის ებრაულ ზღაპრებში“ (Yassif, 2009).

ყოველ ახალ ვერსიაში შესაძლებელია ზღაპრის წინა ვერსიების ამოკითხვაც. როცა მთხოველი მსმენელთა წინაშე ამბავს ჰყვება, ის ახალ ვარიაციას სთავაზობს და, იმავდროულად, ეყრდნობა ამბის ადრინდელ ვერსიას, ითვალისწინებს ძველ თხრობით ტრადიციას, რომელიც ყველასთვის ახლობელია. ამბის ყოველი ახალი ვერსია შეიცავს თხრობით სიუჟეტებსა და მოტივებს წინამორბედი ვერსიებიდან, შეაქვს რა ცვლილებები, რომლებიც თანამედროვეობასთან, გარემოსთან თუ იდეოლოგიასთან შესაბამისია. ეს უკვე ინტერტექსტუალური სისტემაა, რომელშიც ახალი

ტექსტი ადრინდელ ტექსტუალურ ელემენტებსა და ახალ ელე-
მენტებს შორის ურთიერთკავშირით იქმნება კონფლიქტისა და
ადაპტაციის დინამიკაში.

სადისკუსიოდ:

მაცაბერიძე, ვარლამ: ქართული ხალხური როსტომიანი.
კრებულში: ლიტერატურული ძიებანი, XI. თბილისი 1978.

ქსენია სიხარულიძის ნარკვევი „რუსუდანიანის ზღაპრების
პარალელები ქართულ ხალხურ შემოქმედებაში“. წიგნში: სიხა-
რულიძე, ქსენია: ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმე-
დება. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

ჩაჩავა, მ.: „იუსუფ და ზელიხას“ ქართული ხალხური ვერსია,
– ფოლკლორი და ლიტერატურა (ქართული ფოლკლორი, X).
თბილისი: „მეცნიერება“, 1980.

III ნაწილი

შედარებითი კვლევები



XX საუკუნის მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებული შე-დარებით-ისტორიული მეთოდი წინა საუკუნის მემკვიდრეა. ხალ-ხური ტრადიციების მაგიურ-რელიგიურ კონტექსტში ხედვა და თხრობითი სიუჟეტების უძველეს წეს-ჩვეულებებთან დაკავშირება ფოლკლორისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა.

შედარებით-ტიპოლოგიური კვლევები

გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა გა-მორიცხულია შესადარებელ საგანთა გე-ნეტიკური და კულტურული კავშირი და

- მსგავსი ტექსტები მსგავს სოციოკულტურულ კონტექსტში გვხვდება;
- მსგავსი ტექსტები განსხვავებულ კონტექსტში გვხვდება;
- მსგავს კონტექსტებში განსხვავე-ბული ტექსტები გვხვდება.

ზღაპარი და ცეს-ჩვეულება

ფრანგი მეცნიერი პიერ სენტივი (1870-1935) ინგლისური ანთროპოლოგიური სკოლის მიმდევარი იყო, მაგრამ ისტორიული მეთოდის გამოყენებით მისი კვლევა ახალი გზით წარიმართა. თავის ვრცელ ნაშრომში „ხალხური ასტროლოგია“ (L'astrologie populaire, 1937) ის აკრიტიკებდა ფოლკლორული მასალის საბუნების მეტყველო მეთოდებით დამუშავებას. სენტივი მიიჩნევდა, რომ თანამედროვე ფაქტებზე ყურადღების გამახვილებით ერთმანეთში არ უნდა არეცხადო ფსიქოლოგია და ბიოლოგია: „ცოცხალი ფაქტი, რომელსაც ვსწავლობთ, დაკავშირებულია ტრადიციასთან და დამოკიდებულია უამრავ სხვა ფაქტზე, რომლებიც შეიძლება შევისწავლოთ მხოლოდ ისტორიული მეთოდით. ეს არ ნიშნავს, რომ ხალხურ ცხოვრებაში ორიგინალური არაფერია. ეს ნიშნავს, პირიქით, იმას, რომ ხალხის მთელი ინტელექტუალური ცხოვრება ტრადიციის ჩარჩოებში ვითარდება. თვითონ ფოლკლორული (ტრადიციული) ფაქტის ბუნება შეგვახსენებს იმას, რომ მას ღრმად აქვს ფესვები გადგმული წარსულში“ (Коккъяра, 1960: 522).

მსგავსი შეხედულება ჰქონდა ნიკო მარსაც (1865-1934). იგი ახალი სიუჟეტის წყაროდ ძველ, ნინა სტადიის სიუჟეტს მიიჩნევდა. თავად სიუჟეტს კი იდეოლოგიურ მოვლენად აფასებდა, რომელიც სურვილისამებრ კი არ იქმნება, არამედ იმ მასალით შენდება, რომელიც ტრადიციულია და ნინა ეპოქიდან მომდინარეობს (ჯაგოდნიშვილი, 2004: 696).

ფოლკლორის სენტივისეული განსაზღვრება ახლოს დგას მიზეზობრიობის ცნებასთან ისტორიაში და ამით მიდის იმ კანონის დადგენისკენ, რომლითაც შეიძლება გავიგოთ ხალხური ტრადიცია. ფოლკლორისტიკა სწავლობს ტრადიციებს და ამიტომაც, შესაბამისად, ფაქტების შეკრებისა და კლასიფიკაციის შემდეგ მათი ბუნებისა და არსის ახსნის საკითხი უნდა დადგეს. ხალხური ტრადიციები არ არის ჩაკეტილი საუნჯე. ეს არის ნაკრები სხვა-დასხვა განძისა, უსასრულო გადაცემა ათასობით შემოქმედებითი



პიერ სენტივი (1870-1935)

მიგნებისა, უნარისა, რომლითაც არიან დაჯილდოებული ხალხები. სენტივის თქმით, „ტრადიციის ოქროს ჯაჭვი არ არის უძრავი, ის ისეთივე ჯადოსნურია, როგორც ვარსკვლავები, მუდმივად რომ მოძრაობები“ (Коккъяра, 1960: 524). სენტივის დამსახურებაა ისტორიული მიდგომის განახლება ეთნოკური განსხვავებების ახსნითურთ, ტრადიციის ბუნების კვლევა იმ მეთოდით, რომლითაც ისტორიას იკვლევენ.

სენტივი თავის წიგნში „წმინდანები ღმერთების შვილობილები“ (Les Saints successeurs des dieux, 1907) წმინდანების თაყვანისცემას გარდაცვლილთა წარმართული კულტის გაგრძელებად მოიაზრებს. ბევრი ხალხური ლეგენდა წმინდანთა შესახებ ეპიტაფიებს განავრცობს. სენტივის აზრით, საეკლესიო კალენდარი უნდა განიხილებოდეს არა, როგორც დღესასწაულთა უბრალო წუსხა, არამედ, როგორც თითოეული კულტის ძირითადი ლეგენდების ციკლთა რიტუალური სისტემატიზაცია. წმინდანების თაყვანისცემა, როგორც წარმართული გადმონაშთი, ენდრიუ ლანგისა და ჯეიმს ფრეზერის ნაშრომებშიც გვხვდება. ივანე ჯავახიშვილის მიერ რეკონსტრუირებული ქართული წარმართული პანთეონიც ქრისტიანულ და ქრისტიანობამდელ ღვთაებათა ურთიერთმიმართების იდეას ატარებს (ჯავახიშვილი, 1960).

ზღაპრების სიუჟეტთა ანალიზისას სენტივი სრულყოფს ლანგისა და ჰარტლანდის კვლევებს ამ სფეროში; ხალხურ ზღაპრებს პირველყოფილ რიტუალთა გააზრებად წარმოადგენს, რომელთა ანარეკლიც ცივილიზებული ერის წეს-ჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებშიც შეიძლება ჩანდეს. სენტივი ხაზს უსვამს საბავშვო თამაშებთან დაკავშირებულ უძველესი წეს-ჩვეულებების მნიშვნელობას. ეს წეს-ჩვეულებები უმეტეს შემთხვევებში წლის სე-

ზონების ამსახველი ცერემონიებია, რომლებიც, სენტივის აზრით, საფუძვლად უდევს შარლ პეროს რამდენიმე ზღაპარს: „ფერიები“, „მძინარე მზეთუნახავი“, „კონკია“, „ვირისტყავა“, „წითელქუდა“. „ფერიები“ გადმოსცემს რწმენას, რომლის თანახმადაც, ფერიებს აუცილებლად უნდა გავუმასპინძლდეთ საჭმელ-სასმლით. „მძინარე მზეთუნახავში“ ასახულია ხელსაქმის აკრძალვა ახალი წლის დღესასწაულის დღეებში. „კონკია“, „ვირისტყავა“ და „წითელქუდა“ დაკავშირებულია ახალი წლის სამზადისის წესებთან, კონკია ნაცრის დედოფალია, ვირისტყავა – კარნავალის დედოფალი, წითელქუდა კი – მაისის პატარა დედოფალი.

შარლ პეროს სხვა ზღაპრებს პიერ სენტივი ინიციაციის ცერემონიებს უკავშირებს: „ცეროდენა“, „ლურჯწვერა“, „ქოჩორა რიკე“, „ჩექებიანი კატა“, თუმცა აღნიშნავს, რომ ეს ზღაპრები ფრთხილ ინტერპრეტაციას საჭიროებს. „ცეროდენაში“ შეიძლება ამოვიკითხოთ იმ რიტუალის ნიშნები, როცა ყმაწვილს მოწიფულობის ასაკში გადასასვლელად ამზადებდნენ, „ლურჯწვერა“ კი გოგონას მომზადებას ასახავს ქორწინებისთვის. „ქოჩორა რიკეში“ ასახულია საკუთარი თავის რეალიზაციის გზა ქორწინებით. „ჩექებიან კატას“ დიდაქტიკური ფუნქცია აქვს.

სენტივი გამოყოფს მესამე ჯგუფის ზღაპრებსაც, რომლებიც რელიგიურ წესებს და წმინდა ცერემონიებს ასახავს.

ზღაპრებისა და რიტუალების ურთიერთმიმართება კიდევ უფრო სიღრმისეულად გამოჩენდა ვლადიმირ პროპის „ჯადოსნური ზღაპრის ისტორიულ ფესვებში“ (1946). თუ არსებობს კავშირი წეს-ჩვეულებასა და ზღაპარს შორის, მაშინ ჩვეულება განმარტავს ზღაპრის შესაბამის მოტივს. ხდება ისეც, რომ ზღაპარი მომდინარეობს წეს-ჩვეულებიდან, მაგრამ წეს-ჩვეულება სრულებით გაუგებარია, ზღაპარმა კი წარსული სრულად, ზუსტად და კარგად შემოინახა. ამგვარად, შეიძლება წარსული ან სხვა მოვლენა ზღაპრის მეშვეობით უკეთ გაშუქდეს.

ზღაპარსა და წეს-ჩვეულებას შორის ურთიერთკავშირის სხვადასხვა ფორმა არსებობს. ყველაზე მარტივი შემთხვევაა, როცა წეს-ჩვეულება სრულად ემთხვევა ზღაპარს, მაგრამ ეს იშ-

ვიათია. მაგალითად, ზღაპარში ძვლებს მარხავენ და ისტორიულ სინამდვილეშიც ასე ხდებოდა. ზღაპარში მოთხოვობილია, თუ როგორ იყვნენ ჩაკეტილი მეფის შვილები დილეგში, სიბნელეში და რომ არავის დაენახა, ისე აძლევდნენ საჭმელს. ისტორიულადაც ამგვარი ფაქტები დადასტურებულია. ამგვარი პარალელების არ-სებობა ფოლკლორისტისთვის მნიშვნელოვანია და მათი კვლევა აუცილებელია. ზღაპრისა და სინამდვილის შესაბამისობებით წარმოშობაც შეიძლება აიხსნას.

უფრო ხშირ შემთხვევაში კავშირი ზღაპარსა და წეს-ჩვეულებას შორის ირიბია და ამიტომ ისტორიული ცვლილებები ბუნდოვანია. ახალი გადააზრება დეფორმაციას იწვევს. უმეტესად იცვლება მოტივირება, მაგრამ წეს-ჩვეულების სხვა შემადგენელი ნანილებიც იცვლება. მაგალითად, ზღაპარში მოთხოვობილია, რომ გმირი ძროხის ან ცხენის ტყავში გაეხვევა, რათა ფრინველმა ის ტყავთან ერთად მთის ან ზღვის იქით გადაიტანოს, სადაც სხვა ვერანაირი გზით ვერ მოხვდებოდა. როგორ უნდა აიხსნას ეს მოტივი? ისტორიაში ცნობილია მიცვალებულის ტყავში გახვევა. შეესაბამება ზღაპრის მოტივი ამ წესს თუ არა? მოცემული წესისა და ზღაპრული მოტივის სისტემატური შესწავლა გვიჩვენებს მათ უეჭველ კავშირს: ემთხვევა არა მარტო გარეგნული ფორმები, არამედ შინაგანი არსიც, თუმცა ერთი განსხვავება მაინც არსებობს: წეს-ჩვეულების მიხედვით, მიცვალებულს ახვევენ ტყავში, ზღაპარში კი ცოცხალი გმირი ამას თავად აკეთებს. ეს განსხვავება წარმოადგენს სწორედ ხელახალ ინტერპრეტაციას: ტყავში გახვევის წესი ემსახურებოდა იმას, რომ გარდაცვლილი საიქიოში მოხვედრილიყო, ზღაპარში კი ტყავში გახვევით გმირი სხვა სამეფოში გადადის (Пропп, 1986: 120).

ზეპირსიტყვიერი მასალისა და ეთნოგრაფიული სინამდვილის ურთიერთმიმართება აქტუალური იყო იმავე პერიოდის ქართველ ეთნოგრაფთა ნაშრომებშიც. ვერა ბარდაველიძის წიგნში „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“ (1941) შესწავლილია წინაქრისტიანული მზის ღვთაების თაყვანისცემისა და ქრისტიანული წმინდანის, წმინდა ბარბარეს, დღესასწაულთან კა-

გშირი. ქართველთა რწმენით, ბარბარე იყო ქალების, ფურების და, საერთოდ, ნაყოფიერების ქალური ძალების მფარველი ასტრალური ქალღვთაება. მისი ბრძოლა ციურ გველეშაპ ნიშხასთან, სიმბოლურად, ნათელისა და ბნელის კოსმოგონიურ ბრძოლას განასახიერებდა, რაც საბავშვო თამაშობის სახით დღემდე შემორჩა საქართველოში. ბავშვები გაიყოფიან ორად, მათ შორის არის დიალოგი:

– ნიშხა-ნიშხა!

– ბარბალუკა!

– ქალი გვინდა!

– რომელი? – დაასახელებენ რომელიმეს სახელს. ის გაიქცევა და ხელჩაკიდებულ ბავშვთა რიგი უნდა გაარღვიოს. თუ ვერ გაარღვია, „დატყვევებულია“, თუ გაარღვია, ერთ-ერთ მათგანს თვითონ წამოიყვანს თავის ჯგუფში. ბარდაველიძე სიტყვა „ნიშხას“ შავ ძალად განმარტავს, სადაც -შე- ბგერათა კომპლექსი სიშავის, სიბნელის აღმნიშვნელია (შდრ. ნახშირი), ხოლო ბარბალუკა – სიმრგვალის, სინათლის (=მზის) სახელია.

თუ ზღაპრის ისტორიულ ფესვებს პროპი რიტუალებსა და წეს-ჩვეულებებში ექვებდა, ელეაზარ მელეტინსკი ზღაპრის წარმოშობას სოციალურ სტრუქტურებთან აკავშირებდა. მელეტინსკი ზღაპარს მითოსიდან მომდინარედ მიიჩნევს და ამ პროცესს შემდეგნაირად ხსნის:

მითის თხრობა პირველყოფილ საზოგადოებებში ტაბუირებული იყო გარკვეული პირობებით. მითის მოსმენა არ შეიძლებოდა ყველასთვის. როცა მითის თხრობას სხვები, არასაკრალური წრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მთხოვბლის განწყობილება იცვლებოდა და თხრობაში უფრო მეტად გართობის მომენტი შემოდიოდა. ამით ხდებოდა მითის დესაკრალიზაცია და ეს მნიშვნელოვანი სტიმული იყო მითოსის ზღაპრად გადაქცევისათვის. მაგალითად, ტოტემური მითიდან ამოიღეს საკრალური ინფორმაცია ტოტემურ წინაპართა მითოსური მარშრუტის შესახებ, სამაგიეროდ, გაძლიერდა ყურადღება ტოტემურ წინაპართა საოჯახო ურთიერთობაზე, მათ შორის, ჩეუბსა და აყალმაყალზე, სათავგა-

დასავლო მომენტებზე. დესაკრალიზაცია უცილობლად ასუსტებდა მონათხრობის ნამდვილობის რწმენას. მკაცრი რწმენა შერბილდა, რამაც გზა გაუხსნა თავისუფალ ფანტაზიას (Мелетинский, 1970: 134).

მელეტინსკიმ მკაფიოდ გამიჯნა ერთმანეთისგან მითოსი და ზღაპარი:

მითოსისათვის დამახასიათებელია მოქმედების გადატანა მითოსურ ხანაში, ე.ნ. „სიზმრების ხანაში“. მითოსური დროისა და ტოტემური წინაპრების შესახებ წარმოდგენებს ასახავს და-საწყისი თხრობისა: „ეს მაშინ მოხდა, როცა ცხოველები ადამიანები იყვნენ“, „როცა ცხოვრობდა ყორანი და მისი ხალხი“, „როცა დედამინა ის იყო იქმნებოდა“ და ა.შ. როდესაც ტოტემური რწმენები დავიწყებას ეძლევა, ასეთი დასაწყისები ირონიულ ელფერს იძენს.

მითოსური დრო და ეტიოლოგიზმი შეადგენს ერთ განუყოფელ ერთიანობას მითოსის კოსმიურ მასშტაბთან და მის ყურადღებას-თან ტომის კოლექტიური ბედის მიმართ, რომელიც სუბიექტურად გაიგივებულია მთელ კაცობრიობასთან. მითოსიდან ზღაპრისკენ მოძრაობასთან ერთად, ვიწროვდება „მასშტაბი“, ინტერესი გა-დატანილია გმირის პირად ბედზე. ჯადოსნურ ზღაპარში ცეცხლის მოტაცება, კარგავს რა კოსმიურ ხასიათს, სრულდება გმირის მიერ თავისი საკუთარი კერიის გასაჩაღებლად, სამკურნალო წყლის ძიება – გმირის მამის თვალის ასახელად.

ზღაპრული გმირი კარგავს იმ მაგიურ ძალებს, რომელთაც თავისი საკუთარი ბუნებით ფლობს მითოსური გმირი. მან ეს ძალები უნდა შეიძინოს ინიციაციის შედეგად. უფრო მოგვიანო სტა-დიაზე სასწაულმოქმედი ძალები საერთოდ სცილდება გმირს და მოქმედებს მის ნაცვლად.

მითოსში თუ ქორწინება არის საშუალება სოციალური „კომუნიკისა“ და მაგიური და ეკონომიკური „საკუთრების“ (მადლის) მოპოვებისა – ზღაპარში ქორწინება არის საბოლოო მიზანი და უმნიშვნელოვანესი ფასეულობა (ანუ თვითმიზანია). ქორწინების წყალობით, გმირი მოიპოვებს უფრო მაღალ სოციალურ სტატუსს.

ზღაპრისა და წეს-ჩვეულების ურთიერთმიმართების საკითხზე პროპი იმოწმებს პიერ სენტივს, ჯეიმს ფრეზერს, ფრანც ბოასს, არნოლდ ვან გენეპს, როგორც ფუნდამენტური ნაშრომების ავტორებს ხალხური რიტუალების შესახებ.

სადისკუსიოდ:

ბარდაველიძე, ვერა: ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ლვთაება ბარბარ-ბაბარ), თბილისი: „კავკასიური სახლი“, 2006 (მეორე გამოცემა).

სიხარულიძე, ქეთევან: კავკასიური მითოლოგია. თბილისი: „კავკასიური სახლი“, 2006.

„გადასვლის რიტუალები“

ანუ

ფოლკლორი თანამედროვეობასა

და ისტორიას შორის

„ფოლკლორისტმა უნდა შეისწავლოს ცოცხალი მოვლენები, ისტორიკოსმა – მკვდარი“, – ეს გამოთქმა არნოლდ ვან გენეპს (1873-1957) ეკუთვნის, მრავალრიცხოვანი შრომების ავტორს ფოლკლორის, ეთნოლოგისა და პრეისტორიული ეპოქის ისტორიის სფეროში

1924 წელს გამოცემულ წიგნში ვან გენეპმა თავისი თვალსაზრისი წარმოადგინა ფოლკლორისტიკის მთავარ მეთოდზე – დაკვირვების მეთოდზე: „ფოლკლორისტიკა პირველ რიგში იყენებს დაკვირვების მეთოდს, რადგან საქმე აქვს ცოცხალ და თანამედროვე ფაქტებთან. მაგრამ თანამედროვე ფაქტს წინ უძღვის სხვა ფაქტები, რომელებიც შეიძლება მხოლოდ ისტორიული მეთოდით აიხსნას. ეს თეორია ფართოდ არის ცნობილი. აუცილებელია ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებას: ფოლკლორი ისტორიასთან არ არის დაკავშირებული. მას ისტორიის განყოფილებად ვერ ჩავთვლით. მხოლოდ საფეხურებრივად ვიწყებთ XIX საუკუნის ავადმყოფობისგან გათავისუფლებას, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ისტორიზმის მანია. ამ დაავადებით შეპყრობილები თანამედროვეობას მხოლოდ იმიტომ აღიარებენ, რომ ის წარსულს უკავშირდება, მსგავსად ცნობილი რომანისა, რომელშიც ცოცხლები მხოლოდ გარდაცვლილთა კავშირში ხდებიან ხილვადი. ფსიქიკისა და მეთოდოლოგიის ეს ავადმყოფობა ისე გავრცელდა, რომ მხოლოდ ზოგიერთი კულტურული ადამიანი აფასებს ამა თუ იმ საგანს, მოვლენას უფრო ფართოდ, ვიდრე მხოლოდ ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით. ფოლკლორის მკვლევარმა უნდა დაივიწყოს ისტორიული მეთოდი და გამოიყენოს ზოოლოგთა და ბოტანიკოსთა მეთოდები, რომლებიც მცენარეებსა და ცხოველებს შეისწავ-

ლის ცოცხლებს, ცოცხალ გარემოში: ისტორიული მე-თოდი უნდა შეიცვალოს ბი-ოლოგიურით. [...] მე ვიგებ ტერმინს „ბიოლოგია“ არა ტრანსფორმისტული ან ევო-ლუციური გაგებით, რო-გორც ეს ზოგიერთ კრიტი-კოსს მოეჩვენა, არამედ ზუსტად მჭიდრო კავშირში სიცოცხლესთან. ეს არ არის მაგალითი იმისთვის, რომ სა-ხელმწიფო და საზოგადოება ცოცხალი ორგანიზმის სახით

წარმოვიდგინოთ, რომელიც ბუნებრივ კანონებს ემორჩილება და ყველა ორგანიზმი ექვემდებარება, როგორიცაა ზრდის, მომწიფე-ბის, სიბერისა და სიკურილის კანონები (კოკკა, 1960: 507-508).

ვან გენეპისთვის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა განს-წავლულობა, გარეგნული სქემა ან ფაქტების ქრონოლოგია. ის ფოლკლორის საუკეთესო განსაზღვრება უნდა იყოს – „მეცნიე-რება წეს-ჩვეულებების შესახებ“. წეს-ჩვეულებები კოლექტიური, საზოგადო მოვლენებია, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს მთელ ცი-ვილიზაციას, საზოგადოებრივ ჯგუფს ან პროფესიულ წრეს. წეს-ბი – ეს ცხოვრების წესია ყოველგვარი პოლიტიკური და ეთიკური შეფასების გარეშე, დაწერილი თუ დაუწერელი კანონების თანახ-მად, რომლებიც ყველას შეთანხმებით არის მიღებული, დაწყე-ბული დაბალი ფენიდან, დამთავრებული უმაღლესით, სპონტა-ნურად და ხელისუფლების ჩაურევლად, იძულების საწინააღმდე-გოდ, რაც გამოიხატება დაგვიანებით გამოსულ კანონებში, როცა წეს-ჩვეულება უკვე ვითარდება ან რეგრესირდება.

ბიოლოგიური თვალსაზრისი ფოლკლორისტს უნდა დახმარე-ბოდა საერთო კანონთა ფორმულირებაში, რაც ხელს შეუწყობდა ცალკეული დეტალების ქაოსში გარკვევას. მაგრამ ამ კანონებზე შექმნილი ვან გენეპისეული ფოლკლორის კონცეფცია უფრო



არნოლდ ვან გენეპი
(1873-1957)

ფაქტების მეთოდური კატალოგიზაცია გამოვიდა, დაკავშირებული განსაზღვრულ კანონებთან. ვან გენეპი ფოლკლორს განმარტავს, როგორც თანამედროვე და ცოცხალი ფაქტების შემსწავლელ მეცნიერებას და ამით განასხვავებს ისტორიისგან, რომელიც „მკვდარ ფაქტებს“ სწავლობს, მაგრამ აღარ განმარტავს უახლეს ისტორიას, რომელიც ასევე თანამედროვე ფაქტების შემთხვებელიცაა, და აღარც ფოლკლორისტიკას, რომელიც შუა საუკუნეების წერილობით წყაროში დაფიქსირებულ ხალხურ გადმოცემას იკვლევს.

ვან გენეპი წეს-ჩვეულებებსა და მათ მონაცვლეობას ინდივიდის ცხოვრებისეულ ცვლილებებს უკავშირებს. ინდივიდის ცხოვრების გზა არაფერია, თუ არა შედეგობრივი გადასვლა ერთი გარემოდან მეორეში, რამდენადაც ინდივიდუალური ცხოვრება ეტაპთა შედეგობრივი ცვლისგან შედგება. ასეთია დაბადება, სოციალური მომწიფება, ქორწინება, შვილების ყოლა, საზოგადოებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიის არჩევა, სიკვდილი. ცხოვრების ყოველ საფეხურთან დაკავშირებულია ცერემონიები, რომელთა მიზანი ყოველთვის ერთია: აღნიშნოს ინდივიდის გადასვლა ერთი განსაზღვრული მდგომარეობიდან მეორეში. რამდენადაც მიზანი ერთია, აუცილებელია, რომ მიღწევის გზებიც ანალოგიური იყოს. ვან გენეპი, ანთორპოლოგიური სკოლის მიმდევართა მსგავსად, ხსნის რიტუალთა და წეს-ჩვეულებათა იდენტურობას საერთო მოვლენებთან დაკავშირებით: დაბადება, მომწიფება, ნიშნობა, ქორწინება, ფეხმძიმობა, მამობა, რელიგიურ საიდუმლოებებთან ზიარება, დაკრძალვა. გარდა ამისა, ინდივიდი და საზოგადოება დაკავშირებულია ბუნებასთან და სამყაროსთან. ადამიანის ცხოვრების ეტაპების გადასვლის რიტუალები გადაჯაჭვულია კოსმიური წესრიგის ამსახველ რიტუალებთან, მაგალითად, გადასვლა ერთი თვიდან მეორეში (სავსემთვარეობა), ერთი სეზონიდან მეორეში (მზის მდებარეობა, ბუნიობა), ერთი წლიდან მეორეში (ახალი წელი). სქემა ვან გენეპისთვის სამუშაო ინსტრუმენტია ფაქტების კლასიფიკაციისთვის, რომელიც შემდგომ ისტორიული თვალსაზრისით არის განსახილველი.

ფოლკლორისტიკაში მეტად აფასებენ ვან გენეპის შედგენილ კითხვარებს, რომელთა მიხედვით ის მასალას კრებდა და დოკუმენტურად ამტკიცებდა, თუ სად ცოცხლობდა ესა თუ ის წეს-ჩვეულება, მის კარტოგრაფიულ მეთოდს, რომელიც აღნუსხავს შესასწავლი მოვლენის ყოველ ელემენტს. კარტოგრაფია წარმოდგენილი მასალის ზედმინევნით ზუსტ ილუსტრაციას გვთავაზობს და ფერადოვნად ასახავს რეგიონალურ და ლოკალურ განსხვავებებს. მასალის შეგროვება თვითმიზანი არ არის. ერთადერთი მიზანია ფოლკლორული ფაქტების განთავსება განსაზღვრულ ისტორიულ ფორმებში. ფოლკლორისტის ამოცანა ის არის, თუ რამდენად სწორად გააანალიზებს ისტორიის თანმხლებალეურ ტრადიციებს.

სადისკუსიოდ:

მიქელაძე, მერაბ: ქართველთა ეთნიკური სახელი არქაული რწმენა-წარმოდგენების შუქზე. თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2014.

შედარებით-ტიპოლოგიური გეთოდი

შედარებით-ტიპოლოგიურ კვლევას ბევრი მეცნიერება მიმართავს, უმეტესად კი ეს ტერმინი ლიტერატურათმცოდნეობასთან არის დაკავშირებული და დამოუკიდებელ დისციპლინადაც კი მოიაზრება. ფოლკლორისტიკაში კი შედარებით-ტიპოლოგიური კვლევა გულისხმობს ზეპირი გადმოცემებისა და ლიტერატურის ურთიერთგავლენის, მწიგნობრული და ფოლკლორული ტრადიციების ურთიერთკავშირისა და პარალელური განვითარების საკითხებს.

კომპარატივისტიკა და შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდი გეოგრაფიულ-ისტორიულ მეთოდთან ერთად განვითარდა. მის წანამძღვრად მიიჩნევა 1913-32 წლებში იოჰანეს ბოლტეს და გეორგ პოლივას მიერ გამოცემული გრიმების ზღაპრები ვრცელი შენიშვნებით, რომლებშიც მიმოხილული იყო ვარიანტები, ვერსიები, სიუჟეტებისა და მოტივების გავრცელების არეალი.

შედარების მეთოდი არის ხერხი, რომლის მეშვეობით საგანთა განმასხვავებელი ნიშნები უნდა დადგინდეს. დაკვირვების საგანი სხვადასხვა ასპექტით შეიძლება გამუქდეს: რაოდენობრივ-ხარისხობრივი, დრო-სივრცული, რეგიონალური, ინტერკულტურული, პრაგმატული, ანალოგიური, ჟანრობრივი და ა.შ.

კომპარატივისტული მეთოდები ფოლკლორისტიკაში სხვადასხვა მიმართულებით გამოყენება:

- 1) ისტორიულ-გენეტიკური შედარების მეთოდი მსგავს მოვლენებს მათი გენეტიკური ნათესაობით ხსნის.
- 2) თუ გენეტიკურად ურთიერთშეუსაბამო მოვლენები მსგავს პირობებში იჩენს თავს, გამოიყენება ისტორიულ-ტიპოლოგიური შედარების მეთოდი.

შედარებითი კვლევები მოვლენათა შორის გენეტიკურ კავშირებს კულტურული ურთიერთობებით, გავლენებითა და სესხე-

ბით ხსნის, იქნება ეს ხალხთა ისტორიული სიახლოვე თუ საზოგადოებრივი განვითარების ეტაპები:

- 1) თუ მსგავსი ტექსტები მსგავს სოციოკულტურულ კონტექსტში ამოიცნობა, ისტორიული შედარება ითხოვს სოციალური და ისტორიული ასპექტების სიღრმისეულ გააზრებას.
- 2) სადაც ტექსტები მსგავსია, მაგრამ გვხვდება განსხვავებულ კონტექსტებში, მაშინ უნდა მივმართოთ ტიპოლოგიურ შედარებას, მაგალითად, საყოველთაოდ შეთანხმებულ დებულებებს ტექსტის სტრუქტურისა და უანრობრივი დიფერენციაციების შესახებ.
- 3) თუ მსგავს ფუნქციურ ურთიერთკავშირში განსხვავებულ ტექსტებს აღმოვაჩენთ, მაშინ მათი შედარება სიმბოლოთა ისტორიის ასპექტით უნდა მოხდეს, რათა აბსტრაქტული კულტურული კოდები ან ფუნქციათა ეკვივალენტები ჯეროვნად გამუქდეს.

შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდით ფოლკლორისტიკაში იკვლევენ ისტორიულ-გენეტიკურად დასასაბუთებელ მოვლენებს, ტიპოლოგიურ ანალოგიებს, ზეპირი თხრობის კავშირს სხვა კულტურულ ქმედებთან. სიუჟეტთა და მოტივთა კლასიფიკაციის საკითხებთან ერთად, ყურადღების ცენტრშია ისტორიული ფონიც, ეთნოგრაფიული გარემო და ლიტერატურული გემოვნება, ლიტერატურული და ხალხური ურთიერთმიმართება, სტილი, ასახვის ფორმები, პოეტიკის საკითხები, ურთიერთდამოკიდებულება ხელოვნების დარგებთან – მუსიკასთან, სახვით ხელოვნებასთან, კინემატოგრაფიასთან – გადაკვეთის წერტილები სხვა მედიებთან (აუდიოვიზუალური და ელექტრონული წყაროები, ინტერნეტი, ჩატი, და სხვ.), თარგმანის პრობლემები, ლიტერატურულ ტექსტთა შემდგომი ინტერკულტურული რეცეფციების ფორმები, სხვადასხვა ლიტერატურული განვითარებების მსგავსება და განსხვავებები განსხვავებულ კულტურებში.

სადისკუსიოდ:

ირაკლი სურგულაძის ნარკვევი „ნაცვალობის კონცეფცია ქართულ მითოსში“. წიგნში:

სურგულაძე, ირაკლი: მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2003, გვ. 169-174.

IV ნაწილი

თხრობა, როგორც კომუნიკაცია



ფუნქციონალიზმი

ფოლკლორისტიკაში ხშირად გამოყენებულ ცნება „ფუნქციას“ (ლათ. functio: საქმიანობა, სამსახური, შესრულება) უამრავი მნიშვნელობა აქვს. ამ მნიშვნელობათა სპექტრის შიგნით განსხვავდება შიდა და გარე ფუნქციები. შიდა ფუნქცია შეიცავს ურთიერთობას ერთი ან რამდენიმე მოთხრობის ელემენტთა შორის. მაგალითად, მოთხრობის ერთ პერსონაჟს (გმირს, ანტაგონისტს და სხვა) შეუძლია მოქმედებაში არსებობდეს, რითაც ის საერთო ამბის მონაწილე ხდება. გარე ფუნქცია განსაზღვრულ გავლენას უკავშირდება, რომელსაც ტექსტი (ან ტექსტები) ნაწილობრივ ან მთლიანად ახდენს მთხრობელზე, პუბლიკაზე ან უფრო დიდ ჯგუფზე. მაგალითად, ერთი მოთხრობის ფუნქცია შეიძლება იყოს არსებული ნორმებით მიუღებელი გრძნობების დაფარული და, ამდენად, მისაღები ფორმით გამოხატვა.

ფუნქციონალისტური მეთოდი ფოლკლორისტიკაში

გამოიყენება ზეპირი გადმოცემების სოციალური და შემეცნებითი ფუნქციების დასადგენად, რომებიც უანრის მიხედვით იცვლება:

- გართობა
- კულტურული მოვლენა
- ყმაწვილთა აღზრდა
- სოციალური კონტროლი.

ფოლკლორისტები, ძირითადად, შიდა ტექსტურ ფუნქცებზე მუშაობენ, კულტურის ანთროპოლოგები და ეთნოლოგები, პირიქით, გარეტექსტური ფუნქციის შესწავლას ანიჭებენ პრიორიტეტს, რადგანაც ისინი ხალხურ გადმოცემას სხვა კულტურულ ასპექტებთან ერთად აანალიზებენ. უკანასკნელ ხანებში ფოლკლორისტებმაც დაიწყეს თავისი სამუშაო ველის გაფართოება. წმინდა

ფიქსაციისა და ტექსტთა შედარების გარდა, ისინი მთხოვობლისა და მსმენლის პოზიციებს სოციალურ როლთან ურთიერთკავშირში განიხილავენ.

ზეპირი თხრობითი უანრების დეფინიციისათვის ფოლკლორისტები ზოგჯერ ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ ტერმინებსაც იყენებენ. თუ ადრინდელ ფოლკლორისტულ ნაშრომებში უანრთა განსაზღვრა მხოლოდ და მხოლოდ შინაარსსა და ფორმაზე იყო დაფუძნებული, თანამედროვე მეცნიერებაში უანრი სოციალურ კონტექსტშიც განიხილება. მაგალითად, მითები ადრე განმარტებული იყო, როგორც მოთხრობები, რომელთა პროტაგონისტებიც ღმერთები იყვნენ. ამჟამად ამგვარი განმარტება საკმარისი არ არის. უანრის განსაზღვრას ემატება მთხოვობლისა და მსმენელის მოქმედებისა და პოზიციის აღნიშვნა და მონათხრობის ფუნქცია ყოფით გარემოში.

„ფუნქციის“ ცნებას როგორც შიდა, ისე გარეტექსტურ ფუნქციასთან დაკავშირებით სხვადასხვა მნიშვნელობის მიღება შეუძლია. ყველაზე მარტივი ფუნქცია ორივე შემთხვევაში სპეციფიკური აქტივობით შემოიფარგლება. აქ სიტყვა „ფუნქცია“ ხშირად მიზნის, მიზეზის ან სასურველი ქმედების შემცვლელ მნიშვნელობას იძენს. ამის შესაბამისად, ნარატიული ფუნქციის კატეგორიაში ერთი პიროვნების აქტივობამ (ფუნქციამ) შეიძლება მონაწილეობა მიიღოს საერთო ამბის გავრძელებაში და სოციალური ფუნქციის კატეგორიაში მთელი მოთხრობა პუბლიკისთვის ჩვეულებრივი მოქმედების ერთ მაგალითს წარმოადგენდეს.

მათემატიკაში ტერმინი „ფუნქცია“ ორ ან რამდენიმე ცვლად სიდიდეს შორის კოვარიანტული ურთიერთობის დასახასიათებლად იხმარება. ფოლკლორულ ტექსტში თუ ორი შინაარსობრივი ელემენტი ერთობლივად ცვლილებას განიცდის, მაშინ ისინი ერთიმერობის ფუნქციებად შეიძლება გავიაზროთ, როგორც მათემატიკური ფუნქციები. ერთი შინაარსობრივი ელემენტის ცვლილება (მაგალითად, ადამიანის ფიზიკური ნიშანი) იწვევს მეორე ადამიანის ცვლილებას (მაგალითად, მისი მოქმედების), თუმცა მიზეზობრივ მიმართულებას ფუნქცია მათემატიკური გაგებით არ უჩვენებს. ცალკეულ შემთხვევებში გამომწვევი ძალა შეიძლება მესამე

ცვლადი სიდიდიდან მოდიოდეს, რომლის მეშვეობით პირველი ორი ცვლადი სიდიდე დეტერმინაციას განიცდის. ზოგ შემთხვევაში შეიძლება შეგვხვდეს შემთხვევითობის ცირკულაცია ისე, რომ ყოველი ცვლადი სიდიდე ზემოქმედებდეს მეორეზე, მაგალითად, ხალხურ მოთხოვნებში, რომლებიც შეიძლება დახასიათდნენ, როგორც „საქციელის მოდელები“, ე.ი. მსმენლისთვის ქცევის მაგალითები, მაგრამ, მეორე მხრივ, მსმენელი შინაარსობრივი ელემენტის უცვლელი შენარჩუნებით ან დროდადრო ცვლილებით საზოგადოებაში ყოველ გაბატონებულ საქციელზე რეაგირებს (Fisher, 1987: 545).

გარეტექსტურ ფუნქციებად მიიჩნევა ხალხური მოთხოვნების სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობები, ე.ი. ის, რაც ტექსტის თვისებებს, მის ელემენტებს ან ტექსტების რაიმე ჯგუფს ეხება მოცემულ გარემოებებთან კავშირში: ცალკეული მსმენელისა თუ მთხოვნებელის ცნობიერება, აზროვნება და საქციელი ან საზოგადოებრივ ჯგუფში მოქმედება, რომლის დროსაც ტექსტის თხრობა მიმდინარეობს. ყოველი ფოლკლორისტი, რომელიც მოტივაციებსა და მთხოვნებელსა და პუბლიკას შორის ურთიერთობას განიხილავს, ფუნქციონალისტურ მეთოდს იყენებს, თუნდაც საერთოდ არ ასახელებდეს სიტყვა „ფუნქციას“.

ყოველ ცივილიზაციას, ყოველ ჩვეულებას, ყოველ საგანს, ყოველ რწმენა-ნარმოდგენას ერთი ამოცანა აქვს შესასრულებელი და უცვლელი კომპონენტია მთლიანობისა. ეთნოლოგებისა და ანთროპოლოგების ყურადღების ცენტრშია კულტურის ცალკეული კომპონენტების ანალიზი, რომელიც ზოგადად, ადამიანურ მისწრაფებს და მოთხოვნილებებს ემსახურება. ანთროპოლოგიაში ფუნქციონალიზმის სამი ძირითადი თეზაა:

- 1) კულტურა ფუნქციონალურად დამოკიდებული ერთეულია;
- 2) კულტურის ყველა კომპონენტს (წეს-ჩვეულებას, რიტუალს, რწმენა-ნარმოდგენას, გადმოცემას, საგანს და ა.შ.) თავისი ამოცანა, მიზანი და ფუნქცია აქვს;
- 3) კულტურის ყოველი კომპონენტი აუცილებელი და შეუცვლელია მაფუნქციონირებელი მთლიანობის პოზიციიდან, რომელსაც ის ეკუთვნის (Honko, 1987: 562).

პირველი თეზა – კულტურის კომპონენტი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული – გულისხმობს უფრო ცალკეულ ინსტიტუტებს და არა კულტურის ერთიანობას. მაგალითად, მიწათმოქმედების ტრადიციები, სამონადირეო წეს-ჩვეულებები და მისთ. მეორე თეზა მიმართულია იმ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომელიც „გადმონაშთებს“ მნიშვნელობადაკარგულად განიხილავს. მესამე თეზა „ფუნქციონალური შეუცვლელობისა“ ყველაზე ამბიციურად ჟღერს. აქ საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ზოგიერთ კულტურულ ნიშანს რამდენიმე ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს, ხოლო კულტურის ბევრმა სხვადასხვა ელემენტმა შესაძლოა ერთი და იგივე ფუნქცია შეასრულოს.

სოციალურ მეცნიერებებში ფუნქციის ცნება ეთნოლოგების, ბ. მალინოვსკისა და ა.რ. რადელიფ-ბრაუნის ნაშრომებს უკავშირდება, რომლებიც ეთნოგრაფიაში ფუნქციონალისტური მიმართულების დამფუძნებლებად მიიჩნევიან. ისინი იკვლევდნენ საზოგადოებას, როგორც თავისი თავში ჩაკეტილ, შედარებით სტაბილურ სისტემას და უყურადღებოდ დატოვეს კითხვები, რომლებიც ადრინდელ მიგრაციებს, უცხოელებთან კონტაქტს და განვითარების გზებს ეხებოდა. ორივე მეცნიერი განსაკუთრებულ ადგილზე აყენებდა ფუნქციის ცნებას და ზეპირსიტყვიერებისთვის შესაფერისად მიიჩნევდა, თუმცა ბევრი ნაშრომი ამ თემაზე არც ერთ მათგანს დაუწერია. ამ მხრივ ერთადერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა ბ. მალინოვსკის სტატიაა – „მითი პრიმიტიულ ფსიქოლოგიაში“ (Malinowski, 1948).

ფუნქციონალისტური ჰიპოთეზა არ ნიშნავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი ელემენტისთვის დოგმატურად ფუნქციის დარქმევას. ეს ჰიპოთეზა უფრო იმას გამოხატავს, რომ ფუნქცია არსებობს და მისი ძებნის ცდა გამართლებულია.

სადისკუსიოდ:

ზურაბ კიკნაძის ნარკვევი „გადაგდებული ბავშვი“ წიგნში:

კიკნაძე, ზურაბ: ქართული მითოლოგია 2. ფარნავაზის სიზმარი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 63-83.

თხრობის ფუნქცია

ფოლეკლორისტიკაში ფუნქციონალისტური მეთოდი, ძირითადად, ზეპირი ტრადიციის საზოგადოებრივი როლის შესწავლისას გამოიყენება.

ტრადიციის აქტიური გამავრცელებლები არიან ის პიროვნებანი, ვინც ზღაპრებს ჰყვებიან. მათი საპირისპიროა ტრადიციის პასიური გამავრცელებელი, ვინც ისმენს ნაამბობს. ფოლეკლორი არ ვრცელდება რაღაც ზეორგანული ტალღის ან ნაკადის მიხედვით. ხალხური ზღაპრის ყველაზე რთული ფორმაა ჯადოსნური ზღაპარი და ის მხოლოდ მაშინ გადაეცემა, როცა ერთი აქტიური გამავრცელებელი ამ ზღაპარს მეორე აქტიურ გამავრცელებელს მოუთხრობს (Sydow, 1965: 223). თუ ერთი აქტიური გამავრცელებელი მანამდე გადადის რომელიმე ადგილიდან, სანამ თავის ამბებს გადასცემდეს, იქ ეს ფოლეკლორი შესაძლოა ჩაკვდეს. თუკი ახალ ადგილას, ენის ან კულტურის მიზეზით, აქტიური გამავრცელებელი თავისი საქმის შესრულებას ვეღარ მოახერხებს, ფოლეკლორი შესაძლოა აღარ შემორჩეს. პასიური გამავრცელებელი შესაძლოა აქტიურიც გახდეს, თუკი აქტიური გამავრცელებელი მოკვდება ან თემიდან წავა.

თხრობას სხვადასხვა ზეპირსიტყვიერ ჟანრში სხვადასხვაგვარი ფუნქცია აქვს. მითები და თქმულებები უშუალო ფუნქციონალურ კავშირში არიან მთავარ სოციალურ სტრუქტურასთან. მსმენელი მათ უფრო სერიოზულად აღიქვამს, ვიდრე ზღაპარს, რომელიც გართობასთან არის დაკავშირებული. ამერიკელი ეთნოლოგი და ფოლეკლორისტი უილიამ ბესკომი, რომელიც სხვადასხვა კუთხით განიხილავს ზეპირ მოთხობებს, ოთხ ძირითად ფუნქციას განასხვავებს: 1) გართობა, 2) კულტურული მოვლენა, 3) ყმანვილთა აღზრდა და 4) სოციალური კონტროლი. თითოეული ფუნქცია ჟანრის მიხედვით იცვლება. ამგვარად, მითები, პირველ რიგში, კულტურას ადასტურებენ, გამოგონილი მოთხობები კი, პირიქით – ნებისმიერი სხვა ფუნქციის შესრულების უნარს.

ლინდა დეგი (1920-2014) გართობის მარტივი ფუნქციის შესახებ წერს, რომ მუშათა ჯგუფებში ხშირად ამბების მოყოლით კლავდნენ დროს და ამით რუტინულ სამუშაოს იმსუბუქებდნენ, როთაც პროდუქტიულობა მატულობდა. დღის ბოლოს ამბების თხრობა განტვირთვას და მომდევნო დღისთვის მზადებას ემსახურებოდა მაშინაც კი, თუ მუშები ამას გაუცნობიერებლად აკეთებდნენ (Dégh, 1977: 234-239.).

მთხოვბელისა და მსმენელისთვის თხრობა არა მარტო პირადი სიამოვნებაა, არამედ ჯგუფის შიგნით სოციალური კავშირის შემანარჩუნებელი კოლექტიური განცდა. ამბების მოყოლითა და მოსმენით შესაძლოა მსმენელმა არ მიიღოს ახალი ინფორმაცია, მაგრამ ამბის თხრობა მექობრობის და პიროვნული ურთიერთობების თბილ ატმოსფეროს ქმნის. ხშირად პუბლიკა რამდენჯერმე ისმენს ერთსა და იმავე ამბავს.

ხალხურ გადმოცემათა ფუნქცია თუ როლი, გარემოების-და მიხედვით, სრულიად სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მაგალითად, ლინდა დეგი უნგრეთის სოფლებს ახსენებს, სადაც ტრადიციული დაკრძალვის პროცესიამდე მიცვალებულს 48 საათს სდარაჯობდნენ და ღამის თევისას ამბებს ჰყვებოდნენ.

რადგანაც ფუნქციის ცნების ხმარება სოციალურ მეცნიერებებში მეტად მრავალფეროვანია, სოციალური ფუნქციების სხვადასხვა დიფერენციაციები არსებობს. სოციოლოგიაში განსხვავდება მანიფესტური (მიზანგაცნობიერებული) და ლატენტური (დაფარული) ფუნქციები, რომლებიც მოთხოვების ფუნქციებისთვისაც გამოიყენება და კულტურისა და სოციალურ მეცნიერებებთან დაკავშირებულ სხვა ასპექტებთანაც.

მანიფესტურია ფუნქციები, რომლებიც მონაწილეებისთვის ცნობილია და მათ ითვალისწინებენ; ლატენტური ფუნქციები, პირიქით, მხოლოდ მეცნიერული დაკვირვების შედეგად ხდება შესამჩნევი. მონაწილეები კი მას არც ითვალისწინებენ და ვერც აღიქვამენ. შეიძლება ბავშვი, რომელსაც დიდაქტიკის მიზნით იგავ-არაკს უყვებიან (გაცხადებული ფუნქცია), გაბრაზდეს და იგავ-არაკმა საპირისპიროდ ისე იმოქმედოს, რომ მოზრდილს ეს აზრადაც არ მოუვა (დაფარული ფუნქცია).

თხრობის ფსიქოლოგიური ფუნქციები სოციალური ფუნქციებისგან განსხვავებულია. ფსიქოანალიტიკოსები, განსაკუთრებით ფრონდი და მისი მიმდევრები, ზღაპრის თხრობიდან სიზმრის მსგავს ფსიქოლოგიურ ფუნქციებს იღებენ: ზღაპრის თხრობისას ფანტაზიაში იღვიძებს საზოგადოებრივად მიუღებელი ან აკრძალული სურვილები. ნებადართულია შიშის გამოხატვა და მოქმედება-რეაქციის შესუსტება, განსაკუთრებით ისეთი შიშებისა, რომლებიც ტაბუირებული, უმეტესად, სექსუალური ან აგრესიული სურვილების დათრგუნვისაგან მომდინარეობენ (Fischer, 1987: 548). ფსიქოანალიტიკური ინტერპრეტაციები მართლაც კარგად ერგება სოციალურ ფსიქოლოგიას და არა წმინდა ინდივიდუალურ ფსიქოლოგიას, რადგან სურვილები, ჩვეულებრივ, სხვა პიროვნებებს, როგორც ობიექტებსა და, გარკვეული თვალსაზრისით, დამთრგუნველ ძალებს უკავშირდება.

ხალხური მოთხრობების ემოციებზე გამარჯვებისას ზოგჯერ განსხვავებაა ადაპტაციურ და რეაქციულ ფუნქციებს შორის. გადმოცემა ადაპტაციურია, თუ ის ინდივიდს ეხმარება, ისე მოიქცეს, როგორც მისი გადარჩენისათვის, ფსიქიური წონასწორობისა და ჯანმრთელობისთვის იქნება უმჯობესი. გადმოცემა რეაქციულია, თუ ის უშუალო იმპულსზე რეაგირებს, რომელიც ინდივიდს არავითარ შემთხვევაში არ ამზადებს თავისი ძირითადი მოთხოვნილებების გაცნობიერებაში და თუ ინდივიდს არ შეუძლია თავისი შიშების ხანგრძლივ დროში შესუსტება, ეს შიშები უფრო უძლიერდება.

თხრობას აქვს შემეცნებითი ფუნქცია. ხალხური გადმოცემები ჟანრობრივი მრავალფეროვნებით რეალობასაც ასახავს და კულტურული ცხოვრების მოდელს გვთავაზობს. მიუხედავად ამისა, ფოლკლორული ტექსტები მაინც ნაკლებად „ისტორიულად“ მიიჩნევა მაშინ, როცა ეთნოლოგების ჩანაწერები კულტურის გაცნობისთვის საკმაოდ პოპულარულია. საჭირო ისტორიული ცოდნის გადაცემისას თქმულებებს შესაძლოა მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდეს, გამოგონილ მოთხრობებს კი, პირიქით, ძირითადად – გასართობი.

სადისკუსიოდ:

ზურაბ კიკნაძის ნარკვევი „შეწირული ირემი“ წიგნში:
კიკნაძე, ზურაბ: ქართული მითოლოგია 2. ფარნავაზის სიზმა-
რი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემ-
ლობა, 2016, გვ. 206-227.

ფოლკლორისტიკა, როგორც ცნობიერების კვლევა

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფოლკლორისტიკის დასავალეთევროპული სკოლების ორიენტაცია ტრადიციული სიძველეთ-მცოდნეობიდან თანდათან კრიტიკულ კულტურულ ანალიზამდე და ყოფის ემპირიულ გამოკვლევამდე მივიდა. ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა მთხოვნებლებისა (*homo naran*) და თხრობის კონტექსტის შესწავლა, მონოგრაფიები ავტორმთქმელებზე, ექსპერიმენტული ფოლკლორისტიკა, შესრულების ტრადიციის კვლევა.

ტრადიციული ფოლკლორისტიკის შესწავლის საგნები – ზღაპარი, თქმულება, ლეგენდა თანამედროვე თხრობით ტრადიციაში გაქრობის საფრხის წინაშე დგას. განსაკუთრებული ღირებულება შეიძინა უკვე მოპოვებულმა მასალამ და დღევანდელობაში წარმოქმნილმა კომუნიკაციის ახალმა ფორმებმა. ფოლკლორისტიკა აღარ იფარგლება მხოლოდ ტრადიციული საკვლევი სფეროთი. დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველდღიურ თხრობას და ბიოგრაფიების შესწავლას: საუბარი სამუშაო გამოცდილებაზე, ომის, დევნისა და მიგრაციის დროს გადამხდარი ამბები და სხვ.

ტერმინი „ფოლკლორისტიკა, როგორც ცნობიერების კვლევა“, ალბრეხტ ლემანის სახელს უკავშირდება. „ეთნოლოგიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, – წერდა ლემანი 1978 წელს, – ადამიანის ყოფისა და ცნობიერების გასაგებად თავისი კვლევა მიმართოს წარსულშიც და თანამედროვეობაშიც. ამგვარი კვლევის მიზანია, კულტურისა და სოციალურ მეცნიერებებთან ერთად თანამშრომლობით თანამედროვე ადამიანის მცდელობების, შესაძლებლობებისა და იმედგაცრუებების შესწავლით აპოვნინოს მას თავისი სოციალური და კულტურული იდენტობა თავის ნაწილობრივ კულტურულ, ისტორიულ და ავტობიოგრაფიულ სიტუაციაში“ (Methoden der Volkskunde, 2001: 73).

ალბრეხტ ლემანის ყველა ნაშრომი იმ ხალხთან თანამშრომლობით შეიქმნა, ადამიანებთან ურთიერთობით, რომლებიც თავის

გამოცდილებას, განცდებს, მოგონებებს, სურვილებს და მისწრა-
ფებებს უზიარებდნენ და თავიანთ მდგომარეობაზე კულტურული
ტრადიციის გავლენას გამოხატავდნენ.

ალბრეხტ ლემანის ეთნოგრაფიულ-კულტუროლოგიური
ცნობიერების ანალიზის ცენტრშია მოქმედი და განცდების მქო-
ნე ადამიანი. ლემანი სვამს კითხვას მის აწმყობებს და მერე იმაზე,
თუ როგორ განიცდის და აღიქვამს ის პირადად თავისი გარემოს
ისტორიას და დიდ ისტორიას. რადგან კულტურა მუდმივად თა-
ვისი წარმოშობის პირობებიდან გამომდინარეობს, ცნობიერე-
ბის ანალიზს ისტორიულ არგუმენტაციას ურთავს (Methoden der
Volkskunde: 233). ლემანი კვლევისთვის უმნიშვნელოვანეს წყარო-
ებად ავტობიოგრაფიულ ტექსტებს მიიჩნევდა.

ალბრეხტ ლემანის თვალსაზრისით, ცნობიერების კულტუ-
როლოგიური ანალიზი ორ მოსაზღვრე დისციპლინას შორის კეთ-
დება: უახლესი გამოცდილების ისტორიის კონტექსტსა და ეთ-
ნოგრაფიული ბიოგრაფიისა და თხრობითი ფორმების კვლევებს
შორის.

სადისკუსიოდ:

ტურაშვილი, მარინე: თანამედროვე ქართული ნარატიული
ფოლკლორი (ზეპირი ისტორიების მიხედვით). თბილისი:
„ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2010.

პერფორმანსი

ხალხური შემოქმედების ნიმუშის შესწავლა ყოფასთან მჭიდრო კავშირში ფოლკლორისტიკაში მუდმივად აქტუალურია. პერფორმანსი არის კომპლექსური მოქმედება, რომლის მეშვეობითაც მხატვრული ნაწარმოები ერთდროულად გადმოცემულიც არის და აღქმულიც. მოლაპარაკე, მსმენელი და გარემოება ერთმანეთთან გადაჯაჭვულია. პერფორმანსში ერთმანეთს კვეთს საზოგადოებრივი კომუნიკაციის ორივე სახე: ის, რაც მოლაპარაკეს მსმენელთან აკავშირებს და ის, რომელიც სიტუაციას და ტრადიციას აერთიანებს.

ტერმინი „პერფორმანსი“ XX საუკუნის 60-70-იან წლებში დამკვიდრდა ჩრდილოამერიკულ ფოლკლორისტიკაში (Abrahams, 1992; Dorson, 1977). პერფორმანსის კვლევებში ყურადღება მიპყრობილია სიტუაციაზე, რომელშიც სრულდება ფოლკლორული ნაწარმოები. პერფორმანსის ანალიზის მთავარი ობიექტია ზეპირი გადმოცემა თავისისავე სოციალურ და კულტურულ კონტექსტში. აქედან გამომდინარე, ინტერესის საგანია ზეპირი გადმოცემისთვის დამახასიათებელი ნიშნები: სტილი, იმპროვიზაციულობა, კომუნიკაციური უნარი, მსმენელის რეაქცია (Dégh, 1992). პერფორმანსის სიტუაციის ფაქტორები თავისთავად სპეციფიკურ კულტურულ პირობებში მიმდინარე პროცესების ნაწილია, რომლებშიც ზეპირსიტყვიერი ნიმუშები იქმნება.

პერფორმანსი, როგორც ტერმინი, ბევრ შემთხვევაში გამოიყენება, მაგრამ ფოლკლორისტიკაში პერფორმანსი აღნიშნავს თხრობის აქტს. პერფორმანსთან მჭიდრო კავშირშია სიტყვა „კონტექსტი“ და იმდენად არსებითია, რომ პერფორმანსის მკვლევრებს ხშირად „კონტექსტუალისტებსაც“ უწოდებენ. პერფორმანსის შესწავლის დროს მიმართავენ სხვადასხვა სოციოლოგიურ და ლინგვისტურ მეთოდსაც.

პერფორმანსზე დაკვირვებამ მაღე დაარწმუნა ფოლკლორისტები, რომ ზეპირი თხრობის ხარისხი ყოველთვის მაღალი არ

არის და პერფორმანსიც სხვადასხვაგვარია. ის შეიძლება იყოს ხელოვნური კომუნიკაციის ფორმა, საუბრის განსაკუთრებული მანერა, გათამაშება, ციტატა. პერფორმანსი იმით განსხვავდება კომუნიკაციის სხვა ფორმებისგან, რომ აქვს შესავალი და დასასრული ფორმულები, რითაც მსმენელი უნდა განეწყოს მოსასმენად და საყურებლად. მთქმელი შთაბეჭდილების მოსახდენად იყენებს მხატვრულ ხერხებს, პოეტურ კოდებს, სიმბოლოებს, პირად გამოცდილებას და ა.შ.

პერფორმანსს სხვადასხვა კულტურულ და ისტორიულ გარემოში სხვადასხვა ინსტრუმენტარიუმი ახლავს, რომლის შესწავლისას ფოლკლორისტმა აუცილებლად უნდა მიმართოს ეთნოგრაფიულ მასალას. ყველაზე ხშირად პერფორმანსის დროს გამოყენებულია:

- 1) სპეციალური ჩარჩო-ფორმულები (პროლოგი, ეპილოგი);
- 2) ფორმალური ენობრივი საშუალებები (რითმა, მეტრი, ინტონაცია);
- 3) სპეციალური ენობრივი სტილი და რეგისტრები (არქაული ენა, ირიბი საუბარი, დიალექტი, უარგონი);
- 4) მხატვრული ენა (მეტაფორა, შედარება, ირონია და სხვა);
- 5) ტრადიციისკენ დაბრუნება (ძველი თქმულებები);
- 6) სხეულის ენა (ადგომა, გარშემო სირბილი, თავის ტრიალი, მიმიკები);
- 7) რიტორიკული შეძახილები (მაგალითად, „ხალხის ნინაშე წარდგომა მიჭირს, მაგრამ...“, „მე ისე ვერ გიამბობთ, როგორც ჩემი დიდი პაპა, მაგრამ...“);
- 8) ადგილი, სადაც პერფორმანსი მიმდინარეობს (ოთახი, ეზო, სცენა და სხვ.).

პერფორმანსი არ ნიშნავს, უბრალოდ, ტექსტის მიწოდებას მსმენელისთვის. პერფორმანსის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ხალხური გადმოცემა გააცოცხელოს ამა თუ იმ სიტუაციაში. ამასთან, შეიძლება მოთხრობილი ტექსტი ინტერაქტივში ხელახლა ჩამოყალიბდეს და განახლებული მნიშვნელობა და ფუნქცია შეიძინოს. პუბლიკა აფასებს მოსმენილს იმით, თუ რამდენად შეესაბამება ის ტრადიციულ წყაროს, გემოვნებას, რამდენად იქმნება

ინტიმი მთქმელსა და მსმენელს შორის, როგორია აუდიტორიის რეაქცია.

ქართულ ფოლკლორისტიკაში პერფორმანსის საკითხი ჯერ-ჯერობით მონიგრაფიულად არ შესწავლილა, თუმცა გვხვდება ცალკეული ცდები მთქმელთა რეპერტუარის სრულყოფილად აღნერისათვის.

მიხეილ ჩიქოვანის მიერ გამოცემულ ქართული ხალხური სიტყვიერების კრებულების უმეტეს ნაწილს ვრცელი წინასიტყვაობა ახლავს, რომელშიც რედაქტორი საექსპედიციო მუშაობის პროცესზე, მთქმელთა ვინაობაზე და მათ რეპერტუარზე წერს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნარკვევი XX საუკუნის 30-50-იანი წლების ცნობილი კახელი მთქმელების – გიორგი ლაცაბიძის, ივანე დეკანოზიშვილისა და გიორგი მრელაშვილის იმპროვიზაციებზე.

„1938 წელს სამეცნიერო ფოლკლორისტული ექსპედიცია ჩა-ვატარეთ სოფ. იყალთოში. ერთ ტიპურ სოფელზე დაკვირვებამ მაშინ გამოარკვია, რომ ზღაპრულ ეპოსს ამ კუთხეში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, იგი პრაქტიკულ მოხმარებაშია და თავისი მიმზიდველობა არც ახალგაზრდებში დაუკარგავს და არც მოზრდილთა შორის. თავისი სიცოცლის უნარიანობით განსა-კუთრებით საგ-მირო-ფანტასტიკური ზღაპრები გამოირჩეოდა. უკანა-სენელ ათი წლის მანძილზე დაკვირვება კვლავ გრძელდებოდა. 1947 წლის ყვარელის და 1948 წლის თელავ-ახმეტა-სიღნაღის სამეცნიერო ექსპედიციების მიერ შეკრებილმა მასალებმა ზემოთ აღნიშნული დაკვირვება კვლავ დაადასტურა“, – წერს მ. ჩიქოვანი და იქვე ურთავს ინფორმაციას ათ წელიწადში მომხდარი ცვლილებების შესახებ: მთქმელ-



მიხეილ ჩიქოვანი
(1909-1983)

თა სოფლიდან გადასახლება, მეორე მსოფლიო ომში დაღუპვა და სხვ. (ჩიქოვანი, 1952: VIII). ერთი და იმავე მთხოვნელისგან რამდენჯერმე ჩაწერილი ერთი და იგივე ტექსტი ერთმანეთისგან განსხვავდება მოცულობით, ფსიქოლოგიური დახასიათებებით, ახალი მოტივებით, გავრცობილი ან შეკვეცილი სიუჟეტით, ყოფილი ელემენტების დამატებით ან გაქრობით. ამავე დროს, ტექსტის ვარიანტებში ყოველთვის რჩება რაღაც ნაწილი, რაც უცვლელ სიდიდეს წარმოადგენს.

ზეპირსიტყვიერი ჟანრების შესრულებას რამდენიმე კონტექსტი აქვს, სახელდობრ:

- 1) სიტუაციური კონტექსტი, რომელიც აერთიანებს მთქმელსა და მსმენელს;
- 2) ლინგვისტური კონტექსტი ანუ მონათხრობის დანიშნულება საუბარში;
- 3) შემცნებითი კონტექსტი, რომლის დიფერენციაცია რთულია, მაგრამ მისი დადგენა მკვლევარს საშუალებას აძლევს, გაიაზროს, მაგალითად, მთქმელის ასოციაციათა ჯაჭვი, ხშირად განსხვავებული ჩამნერის ასოციაციებისგან;
- 4) ჟანრული კონტექსტი ჟანრის თავისებურებების შესაბამისად;
- 5) კულტურული კონტექსტი, რომელიც ერთი მხრივ დაკავშირებულია მთქმელის გარემოსთან, მის საქმიანობასთან, განათლებასთან და სხვა სოციალურ ფაქტორებთან, მეორე მხრივ კი – იმ კულტურასთან, სადაც მთქმელი მოღვაწეობს, და იმ სამყაროსთან, რომელზეც ის გვიამბობს (Kaivola-Bregenhøj, 1992: 153).

სადისკუსიოდ:

მიხეილ ჩიქოვანის წერილი „ქართული ზღაპართმცოდნეობის ზოგიერთი საკითხი“ კრებულში: ჩიქოვანი, მიხეილ. ხალხური სიტყვიერება. II. ქართული ხალხური ზღაპრები. თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1952, გვ. VII-XIV.

მაკარაძე, ელგუჯა: ხალხური ლექსის თეორიის საკითხები. ბათუმი: „ლაზარე“, 2011.

ფოლკლორი და პოპულარული საკუთხები

უახლეს ფოლკლორისტულ კვლევებში აქცენტი გადატანილია ტიპოლოგიურ და კულტუროლოგიურ საკითხებზე. პოსტსტრუქტურალისტურ, ფუნქციონალისტურ და ექსპერიმენტულ ცდებთან ერთად, აქტუალურია ფოლკლორისა და პოპულარული კულტურის ურთიერთმიმართების შესწავლა (Methoden der Volkskunde, 2001: 139-164; Grundriß der Volkskunde, 2001: 391-422).

დღევანდელ დღეს ფოლკლორი, გარდა ტრადიციული თხრობითი ჟანრებისა, ახალ, მედიასთან დაკავშირებულ ზეპირსიტყვიერებასაც გულისხმობს: ინტერნეტსივრცებში გადატანილი იმპროვიზაციები, გაშაირება, ანეკდოტები, Youtube-ზე ატვირთული მოყვარულთა ვიდეოები, რომელებიც ხალხური რეწვის, დღესასწაულების ან ფოლკლორული ნაწარმოების შესრულებას ასახავს და სხვ. 1996 წელს საგანგებო კონფერენცია მიეძღვნა ტექნოლოგიების მნიშვნელობას თანამედროვე ფოლკლორში (Dorst, 2016: 130).

კინემატოგრაფიისა და ფოლკლორის ურთიერთ-მიმართება ხსირად შუქდება ევროპულ და ამერიკულ სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა ამ ტიპის ნაშრომთა უმეტესობა ხელოვნებათმ-ცოდნეობის, კინომცოდნეობისა და მედიის შემსწავლელი მეცნიერების სფეროში შეიქმნა (Koven, 2003; Folklore/Cinema 2007). ზეპირ-სიტყვიერებისა და პოპულარულის ურთიერთკავშირი ისევე უნდა იყოს შესწავლილი, როგორც ზეპირსიტყვიერებისა და ლიტერატურის ურთიერთმიმართება, რადგან ამით ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი: რა სახით აგრძელებენ არსებობას ფოლკლორული ჟანრები თანამედროვეობაში? როგორ გამოიხატება ტრადიციის უწყვეტობა და ცვლილებები? რითი აიხსენება ფოლკლორული ჟანრის სიცოცხლის-უნარიანობა იმ გარემოში, რომელშიც ზეპირ თხრობას დაკარგული აქვს აქტუალობა? როგორ ხედავს სცენარისტი ფოლკლორს? როგორ არის ფოკუსირებული მითოლოგიური და ზღაპრული მოტივები ფილმსა თუ ტელესერიალში?

სერიალების სცენარებისთვის დამახასიათებელია ისეთი მნი-შვნელოვანი თემების ხაზგასმა, როგორიცაა მორალური ღირებუ-ლებები, პიროვნების ჩამოყალიბება, გამოცდა, ინიციაცია, არსე-ბული სოციალური წესრიგის გადახედვაც კი. ხშირად სცენარისთ-ვის გამოყენებულია პოპულარული ზღაპრის სიუჟეტები.

ყოველი ამბავი, რომელიც რაიმე პრობლემით იწყება და მთა-ვრდება ამ პრობლემის გადაჭრით, ხალხური ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურას შეესაბამება. ამ სტრუქტურაზეა აგებული უამრავი ლიტერატურული და ფოლკლორული ნარატივი. პროპის მეთოდით შეიძლება არა მარტო ლიტერატურული ტექსტის, არამედ კინო-სა და სხვა მედიაუნარების სტრუქტურათა ნარატივის კვლევაც, რაც უკვე აპრობირებულია ევროპულ და ამერიკულ სამეცნიერო კვლევებში, უფრო მეტიც, პროპი აღიარებულია „კინოსა და ტელე-ვიზიის ნარატოლოგიის არისტოტელედ“ (Joyce, 2014: 243).

ტელესერიალებისა და ზღაპრების შედარებისას ბევრი შეხვე-დრის წერტილია. ყველაზე მნიშვნელოვანი მსგავსება ამ ორ ჟანრს შორის მათ თემატიკაშია:

- 1) ქალთა საზოგადოებას განსაკუთრებით იზიდავს ზღაპრის/ სერიალის რომანტიკული ასპექტები. მელოდრამატული სა-ტელევიზიო სერიალი, რომელიც ძირითადად ქალთა აუდი-ტორიას აინტერესებს, ძალიან ჰგავს იმ ხალხურ ზღაპრებს, რომელთა მთავარი მკითხველები და მსმენელები ქალები და გოგონები იყვნენ.
- 2) პერსონაჟთა რაოდენობა ეპიზოდში. ფოლკლორისტთა წრეში მიღებულია აქსელ ოლრიკის თეორია, რომ ხალხურ თხრო-ბით ჟანრებში, ძირითადად, ორი (მაქსიმუმ სამი) პერსონა-ჟი მონაწილეობს ერთ ეპიზოდში, როგორც ლიტერატურულ დრამაში (Olrik, 1965: 135). სერიალებში იშვიათია სამ მოქმედ პირზე მეტის გამოჩენა ერთ სცენაში.
- 3) პარალელის გავლება სერიალსა და ზღაპარს შორის შესაძლე-ბელია ფიზიკურ კონტექსტშიც – გარემოში, რომელშიც ზღაპრის თხრობა და სერიალის მოქმედება მიმდინარეობს. თუკი ტრადიციულად ზღაპრის მთხრობელი ამბავს ჰყვებოდა ბალში ან სამზარეულოში, სერიალის მაყურებელიც ასეთსავე

სიმყუდროვეს არჩევს მორიგი სერიის სანახავად. ეს „შინაურული“ კონტექსტი სატელევიზიო ჟანრების თანმხლებია. ამდენად, სატელევიზიო სერიალები ტრადიციული თხრობის რეალობის იმიტაციას წარმოადგენს (Gerald, 1983: 50).

- 4) ზღაპრის ფორმულები და თხრობის რიტმი სერიალებში. ზეპირი გადმოცემები ფორმულათა მთელ ციკლებს შეიცავს: თხრობის დასაწყის და დასასრულ ფრაზებს, პერსონაჟთა რაოდენობას კონკრეტულ ეპიზოდში, კონტრასტის პრინციპს და ა.შ. ეს ფორმულები ტელესერიალებისთვისაც დამახასიათებელია. ისინი სერიის დასაწყისისა და დასასრულის აღსანიშნად, დაძაბული სცენის გასაძლიერებლად ან სხვა ეფექტის შესამზადებლად გამოიყენება. თხრობა სერიალშიც და ხალხურ გადმოცემაშიც გარკვეულ რიტმს მიჰყება, რათა უკეთ წარმოაჩინოს ხმის დრამატული პოტენციალი მისი ანევ-დანევით და გამოკვეთოს ეპიზოდის მნიშვნელობა.

აქვე უნდა აღინიშნოს განსხვავებებიც სერიალებსა და ზღაპრებს შორის:

- 1) ტელესერიალი და ზღაპარი ერთმანეთისგან ყველაზე მეტად იმით განსხვავდება, რომ ხალხური ზღაპრის დასასრულის გამოცნობა თავიდანვე შესაძლებელია. არ არის აუცილებელი, მსმენელი ნაცნობ ზღაპარს ისმენდეს. მისთვის ადვილია, სხვა ზღაპრების ანალოგით წარმოიდგინოს სიუჟეტის განვითარება. ხალხურ ზღაპარში მოულოდნელი დასასრული იშვიათია.
- 2) ფორმულათა მსგავსი მოქმედებები და სიტუაციები არც სერიალებს აკლია, მაგრამ ისინი განსხვავდება ზღაპრისთვის დამახასიათებელი განმეორებებისგან. სერიალებში დალატის და ინტრიგის მოტივები სხვადასხვა პერსონაჟთა ტიპთან შეიძლება შეგვხვდეს. ზღაპარში უარყოფითი (ანტაგონისტის) და დადებითი გმირის მოქმედებები ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნულია. სერიალებში ემოციური ურთიერთობებისგან წარმოშობილი პრობლემები კი იმდენად რეალურია, რომ მაყურებელმა შესაძლოა თავისი თავი წარმოიდგინოს მათ გვერდით.

- 3) ტელესერიალის ჩვენება ეკრანზე ყოველდღიურია, თვიდან თვემდე, წლების განმავლობაშიც კი შეიძლება გრძელდებოდეს და მოქმედ პირთა ხასიათიც შესაბამისად იცვლება და ყალიბდება. სწორედ ეს არის ძირითადი განსხვავება სერიალისა და ზღაპრის გმირებს შორის: ზღაპრებში გმირის ხასიათი არ არის გამოკვეთილი, მით უმეტეს ზედმეტია ლაპარაკი მისი ემოციური მდგომარეობის ასახვაზე. ეს ხალხური ზღაპრის გმირს ლიტერატურული გმირისგანაც განასხვავებს. ზღაპარს, როგორც ფოლკლორის ორგანულ ნაწილს, შესრულების თავისი წესი აქვს: მისი თხრობა იწყება და სრულდება. რაც შეეხება სერიალს, ის ყოველთვის მთავრდება იმ შეგრძნებით, რომ მას უნდა მოჰყვეს გაგრძელება შემდეგ სერიაში.

XXI საუკუნის ფოლკლორი არ არის ისეთივე, როგორიც ჩვენი წინაპრებისა, თუმცა თანამედროვე ზეპირსიტყვიერება ძველისგან მხოლოდ განსაზღვრული მოდალურობით განსხვავდება. მედია საზოგადოების ნორმების შესაბამისი ხდება, მაგრამ, იმავდროულად, ტრადიციულ კულტურაზეა დაფუძნებული.

პრაქტიკული სამუშაო:

მითოლოგიური სიუჟეტის ეკრანიზაციის ნიმუშების მოძიება.

თხრობა და გავშვთა აღზრდის საკითხები

თუ გინდათ, თქვენი შვილები გონიერები
იყვნენ, წაუკითხეთ ზღაპრები. თუ გინდათ,
უფრო გონიერები იყვნენ, უფრო მეტი ზღაპარი
წაუკითხეთ.

ალბერტ აინშტაინი

თანამედროვე ევროპის სკოლებში დიდი ყურადღება ეთმობა საბავშვო ბალებსა და დაწყებითი განათლების საფეხურზე ზღაპრის პერფორმანსისა და ტრადიციული საბავშვო თამაშების ჩართვას სასწავლო პროცესში. საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციებსა და ვორკშოპებს ხალხური და ლიტერატურული ზღაპრის სწავლების შესახებ ესწრებიან საბავშვო ბალებისა და დაწყებითი კლასების პედაგოგები, აგრეთვე, ზღაპრის პროფესიონალი მთხოვბელები და მსახიობები, რომელთა რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი პერფორმანსს უჭირავს. მეთოდურ და პრაქტიკულ საკითხებს შორის არის ისეთი პრობლემური კითხვები, როგორიცაა:

- 1) არსებობს თუ არა ასაკობრივი ზღვარი ზღაპრის მოსმენისთვის?
- 2) განსაზღვრული ასაკისთვის განსაზღვრულია თუ არა შესაბამისი ტექსტი?
- 3) წაკითხვა და წაკითხულის თხრობა;
- 4) წაკითხვა და ბავშვების თამაშები ჩართვა;
- 5) წაკითხვა, ხატვა, ძერწვა;
- 6) როგორ შევარჩიოთ ზღაპრის თემატიკა?
- 7) როგორ ვავარჯიშოთ ბავშვები მეტყველებაში?
- 8) როგორ მივაწოდოთ დიალექტური და სალიტერატურო ფორმები?

9) პერსონაჟთა როლების განაწილება თამაშის დროს და სხვ.

სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ზღაპრები სხვადასხვაგვარად უნდა შეირჩეს. მაგალითად, ექვს წლამდე ასაკის ბავშვებთან რეკომენდებულია მცირე მოცულობის ტექსტების წაკითხვა და ძირითადი აქცენტი გადატანილი უნდა იყოს თამაშზე.

ასაკობრივი ჯგუფებისთვის შესაფერისი ზღაპრების სავარაუდო ჩამონათვალი:

6-7 წელი	7-9 წელი
რწყილი და ჭიანჭველა წითელქუდა სამი გოჭი ნაცარქექია კონკია მძინარე მზეთუნახავი ცეროდენა და მისთ.	ასფურცელა ხუთკუნჭულა მონადირის შვილი მებადურის შვილი ბრონეულის ასული და მისთ.

მოზარდები ზღაპრებს საბავშვო გასართობად აღიქვამენ, მათ ყურადღებას მითოლოგია და ლიტერატურული ფანტასტიკა იპყრობს. მასწავლებელი თავისი გამოცდილებისდა მიხედვით უკეთ შეარჩევს ზღაპრებს აღსაზრდელთათვის. გასათვალისწინებელია თითოეული ბავშვის ინდივიდუალური ინტერესები. მითოლოგიური გადმოცემები 8-9 წლის ბავშვებსაც აინტერესებთ.

რატომ არის სასურველი დაწყებით კლასებში თხრობის პროცესის გააქტიურება?

- 1) ზღაპრის, მითის, ამბის, თავგადასავლის მოსმენა ავითარებს ფანტაზიასა და წარმოსახვის უნარს (პერსონაჟების დახატვა, მათთვის ტანსაცმლის დიზაინის მოფიქრება, სხვადასხვა გარემოში ასახვა და ა.შ.);
- 2) ზღაპრის თხრობა (როცა ბავშვი თვითონ ჰყვება ზღაპარს) აუმჯობესებს ბავშვის მეტყველებას, შესაძლოა თერაპი-

- ის ფუნქციაც კი ჰქონდეს მეტყველების დეფექტის მქონე ბავშვებისთვის;
- 3) ბავშვს უვითარებს კომუნიკაციის ჩვევებს, ხდის უფრო კონტაქტურსა და თავისუფალს უცხო გარემოში;
 - 4) ზღაპრების ადრეულ ასაკში წაკითხვა და დამახსოვრება საფუძველს ქმნის მხატვრული ლიტერატურის გააზრებისათვის მომავალში;
 - 5) უცხო ენის სწავლების დროს ზღაპრების გამოყენება აადგილებს ენის დაუფლებას და ლექსიკის გამდიდრებას.
 - 6) ზღაპრები კარგი საშუალებაა უცხო ქვეყნის გასაცნობად. ქართული და მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების კითხვა ხელს უწყობს მოზარდს როგორც ეროვნული, ისე უცხო კულტურისადმი ინტერესის გაღვიძებას;
 - 7) ზღაპრის კითხვა ემარება ბავშვს გაუცხოების დაძლევაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კავკასიის ხალხთა ფოლკლორის გაცნობა და ზღაპრების მეშვეობით მეზობელ ხალხთა კულტურით დაინტერესება.

შინაარსობრივად, ყოველი ზღაპრის სიუჟეტი აგებულია კონფლიქტის გადაჭრაზე, დაბრკოლებების გადალახვაზე და შინაგანი წინააღმდეგობებისა და შიშის დაძლევაზე. ზღაპრის ნებისმიერი თემა ადამიანის განწყობასა და მისწრაფებებს შეიძლება მიესადა-გოს. ზღაპრები ზემოქმედებს ადამიანზე „ადამიანად გახდომის“ პროცესში. ზღაპრებს, როგორც სიმბოლოებს, აქვს ორმხრივი ფუნქცია – არა მხოლოდ ადამიანის ცხოვრების ფაზების გამომხატველის, არამედ ცხოვრების გზაზე მიმართულების მაჩვენებლისაც.

ბიბლიოგრაფია

1. აღნიაშვილი, ლადო (რედ.): ხალხური ზღაპრები. შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. თბილისი: „გამოცემა ქართველთა ამხანა-გობისა“, 1890.
2. ბარდაველიძე, ვერა: ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ლვთაება ბარბარ-ბაბარ), თბილისი: „საქართ-ველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1941.
3. ბრეგაძე, კონსტანტინე: გერმანული რომანტიზმი. თბილისი: „მერიდიანი“, 2012.
4. ინწკირველი, ეთერ: ბიბლიური ამბები ხალხურ ტრადიციაში. თბილისი: „მერიდიანი“, 2017.
5. კეკელიძე, კორნელი: ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“, 1958.
6. კიკაძე, ზურაბ: ქართული მითოლოგია 2. ფარნავაზის სიზ-მარი. თბილისი: „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომ-ცემლობა“, 2016.
7. კიკაძე, ზურაბ: ქართული ფოლკლორი. თბილისი: „თსუ გა-მომცემლობა“, 2008.
8. კოტეტიშვილი, ვახტანგ: ხალხური პოეზია. თბილისი: „საბჭო-თა მწერალი“, 1961.
9. მაკარაძე, ელგუჯა: ხალხური ლექსის თეორიის საკითხები. ბათუმი: „ლაზარე+“, 2011.
10. მიქელაძე, მერაბ: ქართველთა ეთნიკური სახელი არქაული რწმენა-წარმოდგენების შუქზე. თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2014.
11. პროპი, ვლადიმირ: ზღაპრის მორფოლოგია. თარგმნა და წი-ნასიტყვაობა დაურთო მარიამ კარბელაშვილმა. თბილისი: „მეცნიერება“, 1984.
12. ორბელიანი, სულხან-საბა: თხზულებანი 4 ტომად. ტ. 2. ქილ-ილა და დამანა. ალ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქცი-ით. თბილისი 1962.

13. სიხარულიძე, ქსენია: ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966.
14. სიხარულიძე, ქსენია: ქართული ფოლკლორის ისტორიისა და თეორიის საკითხები. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“, 1976.
15. სურგულაძე, ირაკლი: მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2003.
16. ტურაშვილი, მარინე: თანამედროვე ქართული ნარატიული ფოლკლორი (ზეპირი ისტორიების მიხედვით). თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2010.
17. ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება. I. რედ. მიხეილ ჩიქოვანი. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.
18. ქილილა და დამანა. იგავ-არაკები. ქართულად გადმოკეთებული ვატანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ალ. ბარამიძის და პ. ინგოროვას რედაქციით. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“, 1949.
19. ქურდოვანიძე, თეიმურაზ: ქართული ფოლკლორი. თბილისი: „მერანი“, 2000.
20. ქურდოვანიძე, თეიმურაზ: ქართული ფოლკლორის პოეტიკა. თბილისი: „მწიგნობარი“, 2011.
21. ქურდოვანიძე, თეიმურაზ: ქართული ხალხური სიტყვიერების სპეციფიკა და უარები. თბილისი: „მწიგნობარი“, 2008.
22. ღუდუშაური, თინათინ. კულტურის სივრცობრივი გადაადგილების თეორია ანთროპოლოგიაში. კრებულში: ანთროპოლოგია – მომავლის მეცნიერება?! სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, 2008, გვ. 162-176.
23. წერეთელი, აკაკი: რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. I. პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1990.
24. ჩიქოვანი, მიხეილ. ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“, 1973.
25. ჩიქოვანი, მიხეილ: ქართული ფოლკლორი. თბილისი: „სახელგამი“, 1946.

26. ჩიქოვანი, მიხეილ: ხალხური სიტყვიერება. II. ქართული ხალხური ზღაპრები. თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1952.
27. ჩოლოყაშვილი, რუსუდან: უძველეს რწმენა-ნარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში. თბილისი: „ნეკერი“, 2004.
28. ჭავჭავაძე, ილია: რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. IV (პუბლიცისტური წერილები). თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1987.
29. ხინთიბიძე, ელგუჯა: „ევროპაში ქართული ლიტერატურის კვლევის მეცნიერული ღირებულებისათვის“. ქართული ლიტერატურა ევროპის მეცნიერებაში. თბილისი: „ქართველოლოგი“, 2003, გვ. 185-240.
30. ხახანაშვილი ალექსანდრე: ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ, წიგნი I. გაზ. ივერია, 27, 1891.
31. ჯავახიშვილი, ივანე. ქართველი ერის ისტორია. I. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“, 1960.
32. ჯაგოდნიშვილი, თეიმურაზ: ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია. I. თბილისი: „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2004.
33. Aarne, Antti: Verzeichnis der Märchentypen, Helsinki: Suomalaisen Tiedeakatemian Toimituksia, 1910.
34. Aarne, Antti: The Types of the Folk-Tale. Translated and enlarged by Stith Thompson. Helsinki: Academia Scientiarum Fennica, 1928.
35. Aarne, Antti; Thompson, Stith: The Types of the Folktale. A Classification and Bibliography. Second Revision. Helsinki: Academia Scientiarum Fennica, 1961.
36. Abrahams, R. D.: The past in the presence: An overview of folkloristics in the late 20th century. In: Folklore Processed. In Honour of Lauri Honko on his 60th Birthday. Helsinki 1992, pp. 32-51.
37. Assion, Peter und Reinhart Schmook: Von der Weimarer Republik ins „Dritte Reich“. Befunde zur Volkskunde der 1920er und 1930er Jahre. In: Völkische Wissenschaft. Gestalten und Tendenzen der deutschen und österreichischen Volkskunde in der ersten Hälfte des 20. Jahrhun-

- derts. Herausgegeben von W. Jacobei, H. Lixfeld, O. Bockhorn. Wien / Köln / Weimar: Böhlau Verlag, 1994, S. 33-85.
38. Bastian, Adolf: Vorstellungen von der Seele. In: Sammlung gemeinverständlicher wissenschaftlicher Vorträge. Herausgegeben von Rud. Virchow und Fr. v. Holtzendorff, X. Serie, Heft 217-240. Berlin: S. W., 1875.
 39. Bausinger, Hermann: Change of paradigms? Comments on the crisis of ethnicity. In: Folklore Processed, in Honour of Lauri Honko on his 60th Birthday. Helsinki 1992, pp. 73-76.
 40. Bausinger, Hermann: Gesunkenes Kulturgut. In: Enzyklopädie des Märchens. Bd. 5. Berlin/New York: Walter de Gruyter, 1987, S. 1214-1217.
 41. Benfey, Theodor: Pantschatanra. Fünf Bücher indischer Fabeln, Märchen und Erzählungen. Aus dem Sanskrit übersetzt mit Einleitung und Anmerkungen von Theodor Benfey. Leipzig: Brockhaus, 1859.
 42. Bone, Martyn: Where the New World Is: Literature about the U.S. South at Global Scales. Athens: University of Georgia Press, 2018.
 43. Briggs, Katharine M.: Clodd, Edward. In: Enzyklopädie des Märchens, Bd. 3, Berlin/New York: Walter de Gruyter, 1981, S. 77-79.
 44. Brednich, Rolf Wilhelm: Methoden der Erzählforschung. In: Methoden der Volkskunde. Positionen, Quellen, Arbeitsweisen der Europäischen Ethnologie. Herausgegeben von Silke Götsch und Albrecht Lehmann. Berlin: Dietrich Reimer, 2001, S. 57-77.
 45. Davenson, H.: Le Livre des chansons. Neuchâtel: La Baconnière, 1944.
 46. Dégh, Linda: Akkulturation. In: Enzyklopädie des Märchens. Bd. 1. Berlin / New York: Walter de Gruyter, 1977, S. 234-239.
 47. Dégh, L. What kind of people tell legends? Folklore Processed. In Honour of Lauri Honko on his 60th Birthday. Helsinki 1992, pp. 104-113.
 48. Derungs, Kurt: Struktur des Zaubermaßchens. I. Methodologie und Analyse. Bern / Stuttgart / Wien: Paul Haupt Verlag, 1994.
 49. Derungs, Kurt: Struktur des Zaubermaßchens. II. Transformation und narrative Formen. Hildesheim / Zürich / New York: Olms-Weidmann, 1994.

50. Dorson, Richard: Anthropologische Theorie. In: Enzyklopädie des Märchens, Bd. 1, Berlin/New York: Walter de Gruyter, 1987, S. 586-591.
51. Dorson, Richard: Diffusion and Acculturation of Folklore. In: The New Encyclopaedia Britannica, 15. ed., 7/1974.
52. Dorson, Richard: Folklore and Folklife. Chicago: University of Chicago Press, 1977.
53. Dorst, J. D.: Folklore's Cybernetic Imaginary, or, Unpacking the Obvious. In: The Journal of American Folklore. Vol. 129, No. 512 (Spring 2016), pp. 127-145.
54. Dosse, Francois: Geschichte des Strukturalismus. Bd. 1: Das Feld des Zeichens, 1945-1966. Aus dem Französischen von Stefan Bergmann. Hamburg, Junius, 1996.
55. Dundes, Alan: Morphology of North American Indian Folktales. Folklore Fellows Communications 195. Helsinki: Academia Scientiarum Fennica, 1964.
56. Dundes, Alan: The Study of Folklore. Prentice-Hall, Inc., Englewood Cliffs, N.J. 1965.
57. Fischer, Helmut: Philologische Methode. In: Enzyklopädie des Märchens, Bd. 10, Berlin/New York: Walter de Gruyter, 2002, S. 1008-1016.
58. Fisher, John L.: Funktion. In: Enzyklopädie des Märchens. Bd. 5. Berlin/New York: Walter de Gruyter, 1987, S. 543-560.
59. Folklore/Cinema. Popular Film as Vernacular Culture (Eds. Sharon R. Sherman and Mikel J. Koven. Logan, Utah: Utah State University Press, 2007).
60. Fontaine de la, Jean: Contes et nouvelles en vers. Lyon 1678.
61. Gerald, Thomas: The Two Traditions: The Art of Storytelling Amongst French Newfoundlanders. Montreal: Les Edition Bellarmin, 1983.
62. Gerndt, Helge: Komparatistik. In: Enzyklopädie des Märchens, Bd. 8, Berlin/New York: Walter de Gruyter, 1996, S. 105-111.
63. Golther, Wolfgang: Ein mingrelisches Siegfriedsmärchen. In: Zeitschrift für vergleichende Literaturgeschichte (13). Berlin 1899, S. 46-50.

64. Greimas, Algirdas Julien: Strukturelle Semantik: Methodologische Untersuchungen. Übers. aus dem Franz. von Jens Ihwe. Braunschweig: Vieweg, 1971.
65. Grimm, Jacob: Deutsche Mythologie. Göttingen: In der Dieterichschen Buchhandlung, 1835.
66. Grimm, Wilhelm: Altdänische Heldenlieder, Balladen und Märchen. Heidelberg: Mohr und Zimmer, 1811.
67. Grundriß der Volkskunde. Einführung in die Forschungsfelder der Europäischen Ethnologie (Hrsg. Rolf W. Brednich). Berlin: Dietrich Reimer Verlag, Berlin, 2001.
68. Honko, Lauri: Funktionalismus. In: Enzyklopädie des Märchens. Bd. 5. Berlin/New York: Walter de Gruyter, 1987, S. 560-568.
69. Jacobs, Melville (ed.): The Anthropologist Looks at Myth. Compiled by M. Jacobs. Austin-London, University of Texas Press, 1966.
70. Joycee, OJ: Reinvention of Folktales as Teleserials. In: International Journal of English Literature and Culture 2(10), 2014, pp. 241-249.
71. Kaivola-Bregenhøj, Annikki: The Context of Narrating. In: Folklore Processed. In Honour of Lauri Honko on his 60th Birthday. Helsinki 1992, pp. 153-166.
72. Koven, Mikel J.: Folklore Studies and Popular Film and Television: A Necessary Critical Survey. In: The Journal of American Folklore, Vol. 116, No. 460 (2003), pp. 176-195.
73. Lévi-Strauss, C.: Mythologiques. 1: Le Cru et le cuit. Paris: Plon, 1964.
74. Lévi-Strauss, Claude: Strukturale Anthropologie I. Frankfurt: Suhrkamp, 1977.
75. Malinowski, Bronisław: Myth in Primitive Psychology [1926]. In: Magic, Science and Religion and other Essays. Glencoe, III, 1948, 93-148.
76. Martínez, Matías: Intertextualität. In: Literaturwissenschaftliches Lexikon. Grundbegriffe der Germanistik. Herausgegeben von H. Brunner, R. Moritz. Berlin, Schmidt, 1997.
77. Methoden der Volkskunde. Positionen, Quellen, Arbeitsweisen der Europäischen Ethnologie (Hrsg. Silke Götsch, Albrecht Lehmann). Berlin: Dietrich Reimer Verlag, 2001.

78. Naumann, Hans: Primitive Gemeinschaftskultur. Beiträge zur Volkskunde und Mythologie. Jena 5/1921.
79. Naumann, Hans: Germanischer Schicksalsglaube. Jena: Diederichs, 1934.
80. Naumann, Hans: Grundzüge der deutschen Volkskunde. Wissenschaft und Bildung. Einzeldarstellungen aus allen Gebieten des Wissens. Bd. 181. Leipzig 1922.
81. Newall, Venetia: Gomme, George Laurence. In: Enzyklopädie des Märchens, Bd. 5, Berlin/New York: Walter de Gruyter, 1987, S. 1396-1397.
82. Nicolaisen, F. H. Wilhelm: Hartland, Edwin Sidney. In: Enzyklopädie des Märchens, Bd. 6, Berlin/New York: Walter de Gruyter, 1990, S. 528-530.
83. Nehring, Wladislaus: Anklänge an das Nibelungenlied im mingrelischen Märchen? In: Zeitschrift für vergleichende Literaturgeschichte (13). Berlin 1899, S. 399-401.
84. Olrik, Axel: Epic laws of Folk Narrative. In: The Study of Folklore, ed. Alan Dundes, Prentice-Hall, Inc., Englewood Cliffs, N. J., 1965, pp. 129-141.
85. Pöge-Alder, Kathrin: Märchenforschung. Theorien, Methoden, Interpretationen. Tübingen: Narr, 2011.
86. Penttinen, Juha: Diffusion. In: Enzyklopädie des Märchens, Bd. 3, Berlin/New York: Walter de Gruyter, 1981, S. 665-670.
87. Röhricht, Lütz: Erzählforschung. In: Grundriß der Volkskunde. Einführung in die Forschungsfelder der Europäischen Ethnologie. Herausgegeben von Rolf Wilhelm Bredrich. Berlin: Dietrich Reimer, 2001, S. 515-542.
88. Sturrock, John: Structuralism. Second Edition. With a new introduction by Jean-Michel Rabaté. London: Blackwell, 2003.
89. Sydow, Carl W.: Folktale Studies and Philology: Some Points of View. In: Alan Dundes: The Study of Folklore. University of California at Berkeley. Prentice-Hall, Inc., Englewood Cliffs, N. J. 1965, pp. 219-242.
90. Thompson, Stith: Motif-Index of Folk-Literature: A Classification of Narrative Elements in Folktales, Ballads, Myths, Fables, Mediaeval

- Romances, Exempla, Fabliaux, Jest-Books and Local Legends. Reprint ed. Bloomington: Indiana University Press, 1975.
91. Tylor, Edward B.: Primitive Culture: Researches into the Development of Mythology, Philosophy, Religion, Language, Art, and Custom. Vol. 1, 2. London: Murray, 1871.
 92. Uther, Hans-Jörg: The Types of International Folktales. A Classification and Bibliography. Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson. Part 1. Helsinki: Academia Scientiarum Fennica, 2004.
 93. Wagener, August: Essai sur les rapports qui existent entre les apollogues de l'Inde et les apollogues de la Grèce. Bruxelles 1854.
 94. Wardrop, Marjory: Georgian Folk Tales translated by Marjory Wardrop. Published by David Nutt in the Strand. London 1894.
 95. Yassif, Eli: Intertextuality in Folklore: Pagan Themes in Jewish Folktales from the Early Modern Era. In: European Journal of Jewish Studies 3(1), 2009, pp. 57-80.
 96. Коккъяра, Джузеппе: История фольклористики в Европе. Москва: «Издательство иностранной литературы», 1960.
 97. Мелетинский, Элеазар: Миф и сказка. В «Фолькор и этнография», Москва 1970, стр. 132-148.
 98. Сборник сведения о Кавказских горцах. Вып. I, 1868.
 99. Хаханов, Александр: Очерки по истории грузинской словесности, вып. I. Москва 1895.
 100. Хаханов, Александр: Этнографическое обозрение. В «Новое обозрение», N3529, 1894.
 101. Пропп, Владимир Яковлевич: Исторические корни волшебной сказки. Ленинград, «ЛГУ издательство», 1986.

მნიშვნელოვანი პერიოდული გამოცემები

ქართული ფოლკლორი. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების სამეცნიერო პერიოდული კრებული. გამოდის 1964 წლიდან.

Folklore. The Folklore Society. London. გამოდის 1878 წლიდან.

- American Folklore Society: Journal of American Folklore, AFS-News (Newsletter). გამოდის 1888 წლიდან.
- Folklore Fellows' Network. Newsletter. Finish Academy of Science and Letters. გამოდის 1907 წლიდან.
- Fabula. Internationale Zeitschrift für Erzählforschung. Göttingen. გამოდის 1957 წლიდან.
- Culture & Tradition: The Canadian Graduate Student Journal of Folklore and Ethnology. გამოდის 1976 წლიდან.
- Märchenspiegel. Zeitschrift für internationale Märchenforschung und Märchenpflege. Märchenstiftung Walter Kahn. გამოდის 1985 წლიდან.
- Marvels & Tales. Journal of Fairy-Tale Studies. Wayne State University. Detroit. გამოდის 1987 წლიდან.
- Folklore. Institute of Estonian Language. Tartu. გამოდის 1996 წლიდან.

ავტორის შესახებ

ელენე გოგიაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ფოლკლორისტიკის კათედრაზე. კითხულობს სალექციო კურსებს ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში: „ფოლკლორისტიკის საფუძვლები“, „ხალხური სიმბოლიკა“, „ამერიკის ხალხთა მითოლოგია“, „ზღაპრის მორფოლოგია“, „მითის პოეტიკა“ და სხვ.

დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1997) და ასპირანტურა ფოლკლორის სპეციალობით. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ჯადოსნური ზღაპრის მითოსური და რელიგიური ასპექტები“ (2002).

მიღებული აქვს საერთაშორისო სტიპენდიები (Dr. Günther Finzel Stiftung, Institut für Europäische Geschichte Mainz, DAAD, Herzog August Bibliothek, Fritz Thyssen Stiftung) მაინცისა და ერფურტის უნივერსიტეტებში, გოთას და ვოლფენბიუტელის სამეცნიერო ბიბლიოთეკებში.

- ფოლკლორისტთა საერთაშორისო საზოგადოებების წევრი:
- International Society for Folk Narrative Research (ISFNR)
 - Europäische Märchengesellschaft (EMG).

გამომცემლობის რედაქტორი **დალი გერმანიშვილი**
გარეკანის დიზაინერი **მარიამ ეპრალიძე**
დამკაბადონებელი **ლალი კურდლელაშვილი**
გამოცემის მენეჯერი **მარიკა ერქომაიშვილი**

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: +995 (32) 2250484, 6284; 6278
www.press.tsu.edu.ge

